# საქართველოს

# მოამბე

## 1863

№ IV აპრილი

წელიწადი პირველი

---

ტფილისი

გაბრიელ მელქუმიანცის და ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბაში

I. კაცია, ადამიანი. (მოთხრობა) ძ. ჯიმშერიძისა.

II. კონრად კიფერი, ანუ დარიგება უმაწვილების კარგად აღზრდა-სათვის . . . . ლევან ჯანდიერი შვილისა.

III. ლექსები.

IV. საქართველოს ისტორია . . . . თ. სულ. ბარათაშვილისა.

V. ბიძია თონიკებზედ . . . თერგ დალეულისა.

VI. სხვა და სხვა ამბავი: დავით ყიფიანისა.

VII. საბრალონი. რომანი ვიკტორ ჰუგოსი, თარგმ. გიორგ. ჩი-ქოანისა.

2

# საქართველოს მოამბე

## სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის

ი. ჭავჭავაძისაგან

ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს
იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცე-
ლნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.
(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

ტომი II.

ტფილისი

მ. მელქუმიანცისა და ა. ენფიანჯიანცის ტიპოგრაფიაში.

F10796

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ

*30-го Апрѣля. 1863 года. Г. Тифлисъ.*

# კაცია, ადამიანი.

## (მოთხრობა.)

«მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.»

(გონიერი ანდაზა.)

## I.

რიტორიკაში ჰსწერია: ყველა ფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია. ჩვენც ისე დავიწყოთ.

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დაიწყობს და «გიჟიას» დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედ ვჰსწერთ.

სხვამ რაც უნდა თქვას. მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: «მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.» სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულსა იმას, ვისაც «სხვისთვის» გული ჰსტკივა; მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის «სხვანივე» თავიანთ გულშემატკივარს გულისტკივილს ცოდვად უთვლიან. რა უყოთ? ზოგი გულის ტკივილს იმითი აჩენს,

რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორ გვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის ტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს.

---

კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუა გულსა ორი ეტაჟიანი სახლი ქვითკირისა. აი ის ეტაჟები რაფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი წალმით დახურული და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მუაჯირითურთ; მუაჯარს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საგვემაგებოსა თამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათონეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოლებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა სიგძეზედ, თუ სიგანეზედ კარგა ფართოდ იყო განზიდული. იმას ერტყა გარემემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიცა ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!...

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის კარებითა, რომლის ერთი კარი,—თუნდ ორი წელიწადია,—ისე საცოდავად და ღრეჯით გადმოჰკიდებია ერთს უუნწსა, ასე გონია, ბოძს დაუჭერია საცემლათაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიის კარიდამ იწყობა კალო, დიახ მოზდილი; მისი ბუჩო ერთ მხრივ გორასავით მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დაასწუდებოდა.

საბძელი იყო სასაცილო. ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდ აწეული მარტო ფრთა მოტეხილი ბატი თუ მინახამს.

ჩემ პატარა-ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა ამ ბუჩოზედა: აქ ხშირად უქეიფნიათ გრძობის აღმტაცის ხრუტუნით ნებიერ ღორებსა; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო, ისე გულმოდგინებით, ისეთის სინაზით ასე გონია მართლადა ღორები იყვნენ. მერე იმათი ოხუნჯობა! იმათი ალერსი! ოჰ. ეს კი აუწერელია. რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა, იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი. რა ყვირილი და ჭყივილი ასტყდებოდა ხოლმე. ეგრე ჩვენი გლეხ-კაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა ახალ მოყვანილ პატარძალსა. ვიღაცამა ჰსთქვა: «ქართული სიყვარული ლანძღვააო», მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია. ადმინისტრაციაში მაგას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემმაცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არი.

შიგ თვითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც მჭედლის ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო რომ პატრონამდინ ისე მიგეხწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბორების სურნელება თან არ აგეყოლიათ. ეს გარეგანი, ახლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავადს თათქარიძესა.

ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ვეწვევით ფთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა და შიგ ამოცვივნულან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილან. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოჰსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა,—და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს რომ ოთახი ნათელი იყოს; ვაი რომ არც ეს არის. თუმცა ორი სათოფეზედ კარგა მოდიდო ფანჯარა აქვს, მაგრამ მაინც კიდევ ოთახი ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგივ-

რად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს. აი ამაზედ არის ნათქვამი: «ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.» მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა ჯობია.

ბევრჯერ მინახამს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახამს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულის გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: «დათვი ხეზედ როგორ გავა, ივა ნანინაო!» . . . ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლადაც ესე იყოს, რა დასაძრახისია. მოჰსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოჰსწოლია, — და გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად, მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლადა გონება გასართველ საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: «ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა ჯობიაო».

იმ თაოქარიძის ოთახში იდგა ორი გძელი ტახტი, ერთი ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზა ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. ამ ორ ტახტ შუა აღმოსავლეთის კედელში მოჩანდა კბილებ ჩიცვივნულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქაიქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვა და სხვა ნაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მერალა ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვ. და სხვანი.

## II.

არ გეგონოთ, მკითხველო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და მისგამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავ-მინებებული — არა; ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კა-

ტი, ასე რომ ათ ურმამდის საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდე ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება, ახლა უსულო ჩამოვთვალოთ: ორი მოზრდილი ვენახი და ას ორმოცდაათ დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება ყმებიდგან დაწყობილი, ცხენამდინა და მიწამდინა — იმის ხელში, ვინც გამოიყენებს იცის — კაი ლუკმა არის. მაშ რაღათა დგას ეგრე ცუდად, მკითხავს გაკვირვებული მკითხველი? იმიტომ-რომ ქართველია, მოგვიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.

დიახ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქა ცხოვრებდა ტკბილად და აუმღვრეველად ორმოცის წლის კაცი თავად ლუარსაბ თათქარიძე თავის განუშორებელ მეუღლითურთ, რომელსაც ერქვა კნეინა დარეჯანი.

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი — უკადრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულობა ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიათ; წითელი თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები, სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმზნები ფაფუქი ღაბაბი; დიდრონი თვალები ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო; გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიახ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი; კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის «ცით მონაბერის სულის» ღირსეული სამკაული. ის «მონაბერი სული» არსად არა ჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გადატანილი, ის «მონაბერი სული» ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა ღვთის მადლით არა ფერისა არა ჰქონდა, რომ ჰქონოდა ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა: ხშირია ხოლმე, რომ რო-

ცა სული ჭლექდება ხორცის ღონობა მაშინ არის, როცა სული ყვავის — ხორცი ღნება. ამიტომაც ჭლექები უფროს ერთი ჭკვიანები არიან ხოლმე. ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, რატომ სწავლა არა მაქვსო სწორედ ამისგამო.

— ეგ ეხლანდელი ჭირიაო — იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო.

მართალიც ბძანდებოდა მისი ბრწყინვალება: მის აზრით კაცი ძირ გავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე ყოველ უნდა ჩაასხა-რო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ მაინც კიდევ ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ხედავდა თავის ბრწყინვალე გო-ნიერებით, რომა ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ას-რულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

— დრო გამოიცვალა, — იტყოდა ხოლმე ამოოხვრით ლუარ-საბი: დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური შკოლები შემო-იღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი ა-ღარ შერჩათ ჩვენ შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა ჰსჭამენ, სმით ისინი არა სმენ, რა კაცები არიან? წიგნი იციან? მე თუ წიგ-ნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავ; ხორცი მე არ მაკ-ლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, — ეგ ქალის საქმეა. ვე-ნაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის ღონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო, ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველსდროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი რა იყო სანატრელი ძველს დროშია? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლაკი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლა-ვი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველა ფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რო-მელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი აშენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშ-

ვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: «ერთი მაქვს ჰსჯობს ათასს მქონდას» — ეს ვჰსთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ . . . .

თუმცა ლუარსაბი ეგრე ჰსწუხდა ეხლანდელ დროების ჭირისაგამო, მაგრამ სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე. «ხარი ხართან დააბიო ან ფერს იცვლის ან ზნესაო» ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლშია. ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ «ერთ სულ და ერთ ხორც», როგორც ბძანებს საღმთო წერილი. მერე რა რიგად: იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი ერთ სულიანი და ერთ ხორციანი საკვირველად ტკბილად ცხოვრებდნენ ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყივლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლქმარს თვალები დაჭყეტილები ჰქონდათ. დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერ ლუარსაბმა ხანდისხან დაზანტება იცოდა. ქვეშაგებიდგანვე ისე გულგადაღეღილი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი ვაგლახით და კიდევ რაღაცებით . . . მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებივრობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან, ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო. მართალიც არის: პირუტყვები სულ იმისაგან არ არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რათა ცდილობს? იმისთვისა, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვსთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა ასე, რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ . . . მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდვენი დღეგრძელობა ამის დამწერსა ჰქონდეს, რამდენი იმისი ტოლი თავადიშვილი იმის ყოფაცხოვრებას შენატროდა. მარტო იმის

ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აენთო, რომ სხვა არაიყოს რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა სხვა უხეირო კაცსავით ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა, ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს და რომლისათვისაც ბედს, თუ მხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ «ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა ჰსჯობია.» ე. ი. ბუზის რეკა.

მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის კვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით— რაც აშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა,—ის აქ არაფერი არ არის, მაშ მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდე შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელი მკითხველის გასართველად არა ვჰსწერ ამ უხეირო მოთხრობასა: მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და თუ მოიწყენს ამის გამო მოიწყინოს, იმიტომ-რომ ფიქრი და მოწყენა განუყრელნი და ძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ-რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხეირა და შეჰსძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა რა და არცა მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხეირა, რა ვუყო? ამით ვინუგეშებ, რომ «ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა ჰსჯობია» ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია, მეც იმათში. . . .

როცა ლუარსაბი იმ ზემოდ აღწერილ განცხრომაში იყო, სიკვდილი იყო, რომ ვისმე მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა ე. ი. ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გოდმოგორება. სტუმარი ეჯავრებაო, ამაზედ ამბობდა უგუნური ხალხი, მაგრამ განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი? აბა თქვენგან არ მი-

ჰკვირს! სიმსუქნე და ქართველი ორივ ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთი ერთმანეთს არ დალევენ? თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არა ფერი, ეს ისე არ ეზარებოდა ლუარსაბსა: ტანთ ჩაცმა იყო ამისი სიკვდილი. მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგის და მის ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო. ზამთარში კიდევ პერანგზედ ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, ვსთქვათ თუნდა დიამბეგი. მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვჰსწერ, დიამბეგი დიდი ბობოლა იყო, ეხლაა, რომ რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიამბეგს დიდი კაცად არ აგდებენ, თორემ უწინ--უჰ! უჰ! რა დიდი ვინმე ბრძანდებოდა, ასეთი დიდი, რომ კინაღამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიამბეგზედ არ გადაკეთდა: კინაღამ დიამბეგის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობად არ შეიცვალა. რომ დიამბეგის სტუმრობა, ხუმრობა არ არის—ეს ყოველ გლეხ-კაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევ კი თავადიშვილმაც იცოდა.

დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი, ამაში კი, ღვთის წინაშე, ისინი ერთმანერთს არა ჰგვანდნენ: გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი არა. რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვავდა ჩითის კაბასა—ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა—შიშველა ფეხს შემოსავდა ჩუსტითა და—ჰერი ბიჭო—დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ე. ი. კაი ნაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნეინის ტყუილ უბრალო ფაცა-ფუცი. ეს ამოდენა დედა-კაცი ჩაგოდრებული, ჩასორსლებული ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც ჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა მოხ-

ქებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად ჰსწმენდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა. აქ იმას გაუწყრებოდა — რაზედ ?— თითონ კნეინამაც არ იცოდა რაზედ; აქ ამას გამოგილანძღამდა— რისთვის ? —არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაქოლავდა, დასტუქსავდა — ერთის სიტყვით— მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ,--და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა თუ გოგო დახვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, «მეხიკი დაგეცასაც» ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო,—და ეგრე ქანც გაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა ჰსთვლიდა. ერთხელ ფრიად ღირს-საცნობი ჰსჯა და ბაასი გამართეს. ეს იყო შუა ზაფხულის პაპანაქებაში, სადილ წინ, როცა დარეჯან გაათავა ერთი ზემოხსენებული გვარი მოგზაურობა და თავში ტყაპუნი და ოფლში გაწუწული შემოვიდა ოთახში. ლუარსაბმა შეხედა და დაინახა თუ არა,რომ ოფლი წურწურით ჩამოჰსდის წითურ ლოყებზედ, თავის გულში თქვა სრულიად კმაყოფილმა:—კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედა-კაცია ! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.

ესა თქვა და კმაყოფილი თავის უბრალო ბედისა გადატრიალ-და ერთი გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე.

—სად იყავ, შენი ჭირიმე?—ჰკითხა მერე კნეინასა: რომ ეგრე და·ღალე ?

—როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, სახლია, კა·რია, ყვალ ყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მიუგო კნეინამ.

—ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, გეთაყვანე ! დედა-კაცობაც ეგ არის და.

—მაშ? მიუგო ქებით თავ გაზვიადებულმა ცოლმა: ესე უნდა

თვალ-გაფაციცებული დაჰსტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოკლა უნდა.

—მაშ, მაშ!

—ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას.

—მაშ, არ იცის, თორემ რომ იცოდეს, კარგია, მაშ?

—ხანდისხან ტყუილ უბრალოთაც უნდა დაჰსტუქსო. რომ გამოლანძღო კიდეც ცუდი არ იქნება. აი მე გავლანძღავ კიდეც, გაუჯავრდები, დავსტუქსავ, დავჰსწყევლი, სულ რისთვის? იმისთვის რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი! . . .

—შენი მტერი! . . ოღონდაც! . . .

—ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით, თუ ერთხელ შედგა, მერე თუნდა შვინდის სახრით მიჰსდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

—ოღონდაც, დატუქსული უნდა გყავდეს, მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა: ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება.

—არა, გეთაყვა, ეს რაცა ვჰსთქვი, ტყუილია?

—ტყუილი რად იქნება? მართალია. შენოდენა დედა-კაცს სიზმარიც დაეჯერება, წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა «სიზმარი» რისთვის ჩააკერა ლაპარაკში.

ორივე დაჩუმდნენ. ლუარსაბმა ჭერს მიაპჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

—დარეჯან, აბა თუ ჭკვიანი დედა-კაცი ხარ, გამოიცან აიმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

—აბა სადა?

—აი ჭერის ფიცარზედ.

თურმე ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა.

—რამდენია? თქვა დარეჯანმა: მაიცა ჯერ დავთვალო.

—ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

—ისე გამოვიცნო? მაშ კარგი. ოცდა ათი იქნება.

—ოლოლო შენ, ვერ გამოიცან.

—მაშ რამდენია?

—რამდენიაა? გითხრა? არა, არ გეტყვი.

—თქვი, თუ იცი რაღა.

—თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლოშენ, მე გამოვიცან.

—დიახ, გამოიცან . . . დაგითვლია, როგორც იმდღეს ჭქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

—შენც არ მამიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

—მაშ საიდამ იცი, რომ ორმოცია.

—საიდამ? იქიდამ, რომ გონება მაქვს.

—განა მე კი არა მაქვს გონება?

—შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

—რომ არ იყოს ორმოცი?

—ჯვარიმა გადამახდევინე.

—მაშ დავთვალოთ.

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა, რომ ორმოცდაათზედაც მეტი იყო.

—გამოიცნო?! თქვა ნიშის მოგებით დარეჯანმა: დიახ, გამოიცნო. გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

—გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, თქვა სულელმა თავის გასამართლებლად: სწორედ გაფრენილან.

—უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოცდა ათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროხე, თქვა გულშია.

რომ ჩაათუხჩოს თავისი მახვ'ში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, თქვა:

—დალახვრა ღმერთმა—ეგ ველარ მოკიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო ოთხჯერ დავთვალე.

—აკი არ დამითვლიაო.

—შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა სოლომონ ბრძენი ხომ არ კიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა—შემცდარვარ; თორემ გაჯობებდი აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

თქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამ ჟამად გამარჯვებულს მეუღლეს.

– აკი არ დამითვლიაო, შე, ეშმაკო შენა! მიატანა ღიმილითვე კნეინამა.

—ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

—შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

—დარეჯან!... უთხრა გულნატკენად და მოქცხობით ლუარსაბმა: დარეჯან!... თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

—რატომ შენიჭირიმე? რატომ?

—ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

—მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა, მე შენგან ეგ პირველად მესმის.-მიუგო გულ ამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიობაზედ რო ხელი აიღოვო, ჭკჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გული ატკინა და ტყუილ უბრალოთაც ატკინა; და რომ ის გულ აყრილობის ფიქრი გაუფანტოს უთხრა კბილების კრაჭუნით:

– ჰო, გეთაყვა, ჰო! შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ? პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილის შვილი—თქვა თავის გულში ლუარსაბმა: მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა!.. რა ენის პატრონია!.. როგორ იხერხა?!..

თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირება დაადგებოდა, თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვ. გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა ამ საგნებით რა ალერს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა:

—შენ იცი ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვჰსთქვა? — თუნდა მარილი იყოს. კარგად არა ვჰსთქვი ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?

წამოროშა ესა და მხიარულების ნიშნად დააკრაჭუნა კბილები თავის პირწყლიანობით ალტაცებულმა ლუარსაბმა. არც დარეჯანი დარჩა უსიამოვნოდ. ხშირად გაუტარებიათ ამ რიგად დრო ჩვენ ცოლქმარსა. ნეტავი იმათ, მკითხველო!....

## III.

ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების «დაწიოკება». როგორც თითონ იტყოდა ხოლმე. მართალია ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ უნდა გენახათ რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხ-შიშველა, ლურჯი კალმუხის ქუდით თავზედ, წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის სინაბარას, გულ გადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მუაჯრის გადასაყუდებელთან და გადაჰსძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა:

—დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ).

—დიახ, შენი ჭირიმე.

—რა ნაჭერია?

—ჩალალაჯია.

—სამწვადეთ?

—სუკი ვიშოვე, შენი ჭირიმე.

—ძვირ ფასი კაცია, — გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე. მერე დათოს ეტყოდა: ბარაქალა, ჩემო დათო!: თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხერხოდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა.

—მეზვრემ მწვანილი მოიტანა? ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

—მოიტანა.

—ტარხუნა ხომ არის?

—გახლავს.

—კიტრი?

—კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს იმდა, ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ [illegible]ინც გადატრიალ გადმოტრიალდებოდა.

—მაშ სახლი სავსე ყოფილა, თქვა ბატონმა სიამოვნებით.

—როდის გხლებიათ ნაკლული შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?

—ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს, ბარაქალა! თუნდ ნაკლული იყოს, უნდა თქვა რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ—ეს ყველაფერი იცი.

—ამოდენა კაცი შენ ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენიჭირიმე!

—ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ,—თქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა მებატონემ: ურმები გაისტუმრე?

—გავისტუმრე, შენი ჭირიმე! ეხლა თუნდ ოროღობეებს იქნებიან გაცილებულნი.

—სად გაისტუმრე?

—ყანაში, შენი ჭირიმე!

—რამდენია?

—ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

F 10 796
ТБИЛИССКИЙ ФИЛИАЛ БИБЛИОТЕКА
საქარ[illegible]ელოს პარლ[illegible]მენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

—რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?

—ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა შენი ჭირიმე, და დღეს საიდამ იქნებოდა.

—ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეყო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარა ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, მე უჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან.

მართლა და ლუარსაბსა თავის დღეში ათი ურმის მეტი არ შებმია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა ეს წყრომა რის ნიშანი იყო, გაუკვირდა და ბატონს ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიჟდაო. დიახ, ლუარსაბი კი იქნება, რომ გაგიჟდეს!.. და თუ ტყუილ უბრალოდ გაწყრა, მაგისი საბუთები სულ გოგრაში ჰქონდა. როგორც ამისი მკვირფასი კნეინა, ისე თითონაც ძალიანა ჩემობდა მოსამსახურების და ყმის მოხმარებასა.

—გლეხ-კაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, იტყოდა ხოლმე დიპლომატი-თავადი: ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ, ღორის კბენარსავით, რომ გლეხ-კაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო. მაშ? შიში შეიქმს სიყვარულსაო.

ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონდაც!

ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, რომ უმიზეზო და ამ გვარ ტყუილ უბრალო აპილპილებაზედ გლეხებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვსთ ხოლმე. ეჰ, შენ რაც უნდა თქვი, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძღრები აქვსთ, ამ გვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგანა აქვსთ.

ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების «დაწიოკებასა». დარწმუნებული იყო, რომ ეს «დაწიოკება» ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცისათვისა. ამიტომაც, რომ შემოვიდოდა ოთახში თავის თავის კმაყოფილებით ეტყოდა ხოლმე ცოლსა:

—«ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს

ლუარსაბსა), ძლივს! დალახვრას ღმერთმა გლეხ-კაცი! ვეყო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დაჭყლეტავ... 

ხელს კი არ გაჭყლეტს და. გაგონილა!-მე რომ არ ვყოფილვიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა.

—ეგრე შენი ჭირიმე,-გაუკეთებდა გულს და თავს უფრო მოაწონებინებდა დარეჯანი: ეგრე უნდა. მას აქეთ რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

—ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის,-მიუგო ლუარსაბმა.

—მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?

—როგორ არა, იყვნენ: ჩვენი გვარი მაშინდელია.

—რას ამბობ? ისე ლაპარაკობ, ასე გონია არა იცოდე რა. მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა.

—მართლა, ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე. არა, გეთაყვანე ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?

—ხე ბოროტისა და კეთილისა.

—ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

—როგორ არა, ამბობენ რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო, იმაში არისო, სულ იაგუნდის ფოთლები ასხია.

—ზურმუხტისა იქნება, გაუსწორა ლუარსაბმა.

—ჰო, მართლა ზურმუხტისაა, ზურმუხტიც ფოთოლსავით მწვანეა; დიახ, ზურმუხტისაა, სულ ალმასები და იაგუნდი ასხია ხილის მაგიერად.

—ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

—ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

—მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?

—აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქ-

ცეულა, შაპარულა მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპამს და ისე გამოპარულა.

—წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!

—მაშ, წაუღია. მერე დედოფალი შებძანებულა, უნახავს რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია, რუსთ ხელწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყვია. ის ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.

—მაშ შერჩა, შერჩა?

—ვინ იცის? ჯერ ომი არ გათავებულა.

—ნეტავი მე მამეპარა.

—ხომ დაგახჩობდნენ.

—რომ არ შეგატყობინებდი: ჩავყლაპამდი და მუცელს ხომ არ გამიჭრიდნენ.

—გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

—რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

—შენი ჭირიმე, მკითხავს ვერ იშოვიდნენ, რომ ეკითხნათ.

—მართლა, ეგ აღარ მომაგონდა. დაიცა რა გითხრა: ადამმა რომ შეჭამა ის რაღა იქნა?

—კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვს.

—აბა, დახე ღვთის სამართალსა! მე მეპოვნა, უფრო მადლი არ იქნებოდა?

—მერე ვინ შეგარჩენდა? ორასი წელიწადია თურმე მაშრიყმა-ღრიბის ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.

—აქამდინ ვერ წაართო?

—ვერა.

—პაი, პაი, პაი! ღონიერი არა ყოფილა ისიც!..

—მეკი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა!.. ხელმწიფე და ულონო გაგონილა.

—ირაკლი მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ-ვაჟკაცს ამბობენ.

—ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის?

—ცოდო არ არის, ის ეხლა მიწაში უნდა ლპებოდეს და შენი მაზლი დავით კი ცოცხალი იყოს!

—აბა უყურე წუთის სოფლის მუხანათობას! ეგ რა კიდევ, თამარ დედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს!

—აბა, წუთის სოფლის ანგარიში ეგ არის და, დაატანდა ლუარსაბი და ამოიოხრებდა, მერე ისე რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა.

სადარიან ეხლა ამისთანა პოლიტიკები? მერე იმისთანა გაჭირებაში რა რიგად ხელს გაგვიმართამდნენ: რამდენი საწერი გვაქვს, აბა ისინი დაჰსწერდნენ, აი!

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოვო ოჯახის მოვალეობისაგან, რომლის ნიმუშიც ზევით მოვიხსენიე, მიუსხდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი; პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მგზავსად, როგორც ზემოხსენებული, სადილობაც მოვიდოდა. ერთი მაშინ მიძღებოდნენ «ძველებურათა ჩვენებურათა»,-და ლუარსაბი რაღაც დაღლილ სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: «გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძღე მე». ამას იტყოდა თუ არა და გამოისახამდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და სრულიად კმაყოფილი თავის ცხოვრებისა დაიკრავდა მუცელზედ ხელს და იტყოდა რაღაც ტრაბახობით: «მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი. . . რა ჭქვიან. . . მე ვიცი შიმშილით კუჭი მიდნება, დიახ! მიდნება ზედაც ემცნევა ჩემ სტომაქსა». გამოსაცდელად ერთი კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო კარგად არის გატენილი, თუ არა. და ნახავდა რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს

მეტის სიამოვნებისაგან; «დიახ, კიდევ იტყოდა: ლუარსაბი უსწავ-
ლელი გახლავსთ, იმიტომაც მშიერია». სადილს შემდეგ ძილი, მე-
რე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლოს ისევ
ის სატრფიალო ძილი-და ესრედ ტკბილად და აუმღვრევლად მი-
დიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის
სოფელში, რომელმაც ისე არა ფერი არ იცოდა ამათის ვინაო-
ბისა, როგორ ამათ არა იცოდნენ რა, ჭამა სმის-გარდა, ღვთისა-
გან განაჩენი ამ მუხანათის წუთის სოფლისა.

## IV.

ამ ყოფაში და გონიერ ჭკვის ვარჯიშობაში გადიოდა დილა.
როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, რო-
ცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის გძლად გამო-
წოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ
ბალახ გაცვივნულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბძანდე-
ბოდა ხოლმე თავ-მომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ
აჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც თავის განუშორებელ ჩი-
ბუხით ხელში ჩამოვიდოდა-და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხში-
რად წითელ პერანგის სინაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუ-
ხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით ბოლთასა ჰკრავდა გრილო-
შია.

საღამო ხანი—როგორც მოგეხსენებათ—ჩვენს სოფლებში და
ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყეული გა-
ნათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, მეტად თუ ნა-
კლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა, ასე რომ ზო-
გიერთნი განათლებით გაჩარხულნი ეხლა ვიზიტობენ, თორემ უ-
წინ კი საღამო ხანი დიდს პატივში იყო. ამიტომაც საღამოობით
დარეჯანი ეგრე გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ—უკაც-
რავოდ კი არ ვიყო—საკურტუმესაც კი გაიკეთებდა. მაშინ, როდინ-
დელ ამბავსაც მე გწერ, ჯერ კრინოლინი არ იყო-და თუნდ უო-

ფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდინ ვინ მიახწევინებდა მაგ იუპკების მეუფეს. ყველამ კარგად იცის რომ განათლება ფეხ-მძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილაობს, და აბა იმ სოფელში ეგრე ჩქა-რა როგორ მიიტანდა სახელოვანს «ხაბარდასა». სწორედ გითხრათ, ზოგიერთ სოფლის ორღობეებშიაც ვერ გაეტეოდა ეგ განათლე-ბული კრინოლინი, თუნდ რომ მისულიყო კიდენაც.

—ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა,--უთხრა ერთხელ ერთ-მა ლამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა გრძელ კავების ქნე-ვით და ცოტად ტუჩების პრანჭვითა.

---აი ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბალევ! რასა იქ, ხომ კარ-გადა ხარ? მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა, მაგრამ ისე კი, რომ პატივი კნეინობისა სრულიად არ დაუმცირებია.

- -რაღა რასავიქ, შენი კვნესამე? ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი გამბერი შაპარულა და მეველეებს დაუჭერიათ. ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი. ეხლა, შენი სახელის ჭირიმე, ამას გემუდარები გვაპატიებინოთ, აგრემც ჩვენი ნათელ-მირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე!

---რა? მითამ გამოვაშვებინოთ?

---ჰო, შენმა მზემ, ახლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატო-ნო.

--როგორ იქნება, ჩემო ბაბალე? ახლა მართალია შენ ჩემი ნათელ-მირონი ხარ, მაგრამ სოფელი აყაყანდება; ყველა მაგას მოჰ-ყვება.

---აგრემც ღმერთი ბატონის თავს გიდღეგრძელებს, და მაშინ როგორც გნებავთ დამსაქმეთ. აი ეხლაც შენი კვნესამე, ერთი-გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კი-დევ შეგვაძლევინებს, კიდენაც თქვენი ყურ-მოჭრილი ყმა ვართ.

ბაბალემ ჯიბიდამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი და მიართო კნეინასა. კნეინამ გამოართო და იმოიდო ქვეშ, ზედაც დაატანა:

---ეგ რომ არა ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლიან, არ

გაგირიგებდი. ლუარსაბ! ლუარსაბ! დაუძახა ქმარსა, რომელიც მორი ახლო ბოლოსა ჰსცემდა და ერთი ორჯერ მსუნაგსავით მაცდურის თვალით გადმოხედა კიდეც მოხდენილ პატარძალსა.

ლუარსაბი მოვიდა.

---ქა! ზაზალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება გამოაშვებინეო.

ლუარსაბმა შეხედა პატარძალსა, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა. ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდეც თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად. მითამ და სამაცდუროდ გაიღიმა.

—კამეჩიო!..

—ჰო, კამეჩი—დაატანა დარეჯანმა; აი ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვა.

—მაშ კარგი!.. დათო! ბიჭო! დათო! დაიყვირა ლუარსაბმა: ჩადი და უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ.

თქვა, ერთი კიდევ მაცდურად დაუკრაჭუნა კბილები და გამარჯვებულსავით ამაყად წავიდა ისევ ბოლოთის საცემლად.

—აი აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც გაგაპატიოსნოს ღმერთმა და ერთი კაი ვაჟი შვილი მოგცეს და მე ძუძუ მაწოებინოს, შენი კვნესამე, შენი, ბატონო და ქალბატონო!

ხედამ, უთხრა—დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავიდა; ხედამ რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს,

—დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

—ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში დავარდნილი. აი დავითი, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავინ აგდებს.

—აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოჰსწვდებათ თქვენამდის, ელისაბედიც მითამ თავადის შვილის ცოლია და თქვენცა?

—ახლა იმასა ჰკითხე ზოგი, იმისთანა დიდი კაცი აქ არავინ არის.

—ჰო, უწინამც დღე გაუქრება! გუშინ მეზობლიანთასა გახლ-

დი, იმათი გოგოც იქ მოვიდა. რაც იმან იმაზედ ილაპარაკა, ადამიანისაგან არ გაგონილა.

— რა, გეთაყვანე, რა? ჰკითხა აჩქარებით და მოუთმენლად დარეჯანმა.

— რაღა რა? ისა, რომ საწყალ გოგოს თავის თითებით მოგროვილ ფულით ერთი ჩითმერდინი უყიდნია, იმას უნახამს და წაურთმევია. ეხლა თურმე თავზედ აკრავს. გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბატონის მზემა, ისე გულ-ანატირად ლაპარაკობდა ზედშავი. მე ხომ თქვენი ფეხის ნატერფალიც არა ვარ, მაგრამ მაგას მეც ვითაკილებდი, მამა მიცხონდა!

— უი! უი! დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით, როგორღა ამბობს, რომ თავადიშვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ' რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზედ შემოკვრა კი სწორედ თავ-ლაფის დასხმაა. კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო, აი მეხიკი დაეცა, ისიც, ამას იქით ჩვენში ერევა, თავადიშვილის ცოლი ვარო! სხვა არა უთქვამს რა გოგოსა?

— სხვა არ მოუსხენებია რა.

— ნუ დამიმალავ, ჩემო ბაბალე! ხომ იცი მე შენი მწყალობელი ვარ: თუ უთქვამს კიდევ რამე, მითხარი.

— არაფერი არ უთქვამ, მამიჩემის ცხონებამ, თორემ რომ ეთქვა, რად დაგიმალავთ.

— რა ვიცი? იქნება გეშინოდეს, მეთქი.

— თქვენისთანა მწყალობელი, რომ კაცს სადმე ეგულებოდეს იქ ვიღასი უნდა ეშინოდეს.

— მეც ეგ უნდა მეთქვა, ჩემო ბაბალე!

— მართალია გლეხები გახლავართ, მაგრამ ჩვენც გვესმის ეგენი. ვისი უნდა მეშინოდეს, თქვენ აქა მეევხართ?

— მაშ სხვა არა უთქვამს რა?

— არა უთქვამს რა, აგრემც ჩემზედ მიწა ნუ გენახოთ.

— იტყოდა.

—ის ერთი დედის-ერთი შვილი არ გამიმიწდეს, არა უთქვამს რა.

—მართლა, შენი შვილი რასა იქს—ჰკითხა მერე დარეჯანმა, რომ ვერა გახდარა.

—რაღა როგორ არის, შენი კვნესამე, ქალბატონო! ავად შენი მტერი გყვანდეს, ავად მე ისა მყავს. რა არ უყავი: ბალახებში არ ვაბანე, არ შევალოცვინე, შანები არ შევაბი, მაგრამ ვერა ფერმა ვერ უშველა, აგრემც არა ეშველოს რა შენს მტერსა! თქვენთანაც კი მამასწავლეს, ვითამ თქვენ უებარი ლოცვა იცოდეთ, მიშველეთ რამე, აგრემც მაგიერს ღმერთი გადაგიხდით.

—მე მარტო შაკიკის ლოცვა ვიცი და დასუნთქვილისა. განა შენი შვილის სენი—შაკიკია?

—ო, თქვენმა მზემ, შაკიკი გახლავთ. ღამის თავი გაუხეთქოს.

—გოგო, ლამაზისეულო! დაიყვირა კნეინამ: წადი საწერკალამი და ქაღალდი, ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევია, ჩამომიტანე. მე დაგიწერ ლოცვას, ჩემო ბაბალევ, დაწერილი ქაღალდი იმ მხარეს დააკარ, რომელიცა ჰსტკივა, ეგრე იყოს ორი სამი დღე, თუ შაკიკია, გააქარწყლებს მაშინვე.

ვერ უყურებთ, მკითხველო, კნეინა დ. რეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ რაები ჰსცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ ამისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომ სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილის წამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ ელისაბედი კი ფიცით იჭეჭებოდა, რომ ეგ ეგრეა. მაინც არ დავიჯერებ: რძალი—როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი-რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა? ბოლოს შეიტყობთ რაებიც მოუგონია.

ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაში, დაიყეფა, მაგრამ რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი

მამავილი დედა-კაცი ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში წაჰყო. დარეჯანმაც მოიხედა ამ ხმაურობაზედ და დაინახა კნეინა ელისაბედი და იმის ჩითმერდინით დარბეული გულდაჩაგრული გოგო.

დარეჯანი ფეხზედ წამოდგა.

—მობძანდით, ჩემო რძალო! მიაგება სიტყვა ელისაბედსა: ძლივს არ მოგვიგონეთ.

—შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მაქვს. ეს ისა, ეს ესა, სახლია, კარია, ხომ მოგეხსენებათ.

—აქეთ მობძანდით, აქეთ უფრო ნიავია, მოიპატიჟა დარეჯანმა.

—სულ ერთია, თქვა ელისაბედმა და წაიძრო ფეხიდამ კროული ჩუსტები, გადმოვიდა ხალიჩაზედ და ჩაჯდა ქეთევანის გვერდით.

—სხვა როგორა ბძანდები, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავით ხომ კარგად სუფევს, — დაიწყო ისევ დარეჯანმა.

—კარგად გახლავთ. — მიუგო ელისაბედმა.

— შინა ბძანდება ?

—აბა ამისთანა დროს, კაცი შინ დადგება მამულის და მოსავლის პატრონი, — ყანაშია ეს ორი დღეც იქნება, თქვა რაღაც ნიშით ელისაბედმა და უნებლიეთ შეხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა ჰსცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიც და მამულიც.

დარეჯანს ეწყინა, ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სხრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნივა.

—რასაკვირველია, ვისაც კაცი არა ჰყავს და არ აბადია, რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა და ვინც ისე გაზდილა პატარაობითვე, რომ არც მზე დაჰსიცხამს და არც ავნებს ის შინ არ დადგება, ჩემი ლუარსაბი მაგას ვერა იქს.

—განა მაგაზედ მოგახსენე — დაასწრო ელისაბედმა.

—მეც განა მაგაზედ მოგახსენე — დატანა დარეჯანმა: მე მარ-

ცდო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გაჭსი-ჭრებია რა, რომ გლეხ-კაცობა ჩაიდინოს.

—გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბძანებთ, ჩემო რძალო? არა, თქვენმა მზემ! ვინც მოსვლის დროს შინ არა დგება, განა იმისა-გან რომ გაჭირებულია, ან გლეხობა ჩაიდინოს და მესვეურსა-ვით მკაში ბევრის ხალხთან ოფლი იწუროს? თქვენც არ მამიკვდეთ-აი თუნდ იქვენი მაზლი,—განა გლეხია, ან გლეხობას იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჰფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ლამა-ზე ნაგეში მიმინო უზის და ნადირობს. გუშინ საღამოზედაც, ჯე-რისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოუგზავნა. რა სათაკილოა, თქვენი ჭირიმე? შეფეები ნადირობენ და იმისათვის რა სათაკილოა!...

— არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთი სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი რომ სხვებსავით ხელებს არ დაიბებ-რებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხებს. განა არ ვიცი ნამდვილი სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს,—და სწო-რეთაც მოგახსენო, არც საკადრისია: თავადს თავადობა უნდა ეტ-ყობოდეს და გლეხს—გლეხობა.

—მართალი ბძანებაა, თქვენმა მზემ!

—არა და რომ არ იქნება: მთა და ბარი ვის გაუსწორებია?

—არავის თქვენა მზემ, ღვთის ბძანებას ვინ წაუვა?

ამ დროს ფეხის ხმაურობაც მოესმა დარეჯანსა; მოიხედა და დაი-ნახა თავისი გოგო, ლამაზისსეული, რომელსაც ხელში ეჭირა რა-ღაც ნაბარათევი და თავ-მოტეხილი წამლის მინა, რომელიც საწე-რელობას თამაშობდა.

—რა დაგემართა აქამდინ? ის კიდეც წავიდა. უბძანა დარეჯანმა.

— ჯერ კიდევ აქ გახლავთ, ჩალურშია თავლუსთან, მიუგო გოგომ.

—მაშ კარგი. თქვა ესა, დაიდო მუხლებზედ ქაღალდი და და-იწყო შაკიკის ლოცვის წერა. ამ დროს ლუარსაბიც მოვიდა ახა-

ლუხ და შალვარ ჩაცმული, მოიკითხა ზდილობიანად თავისი რძალი და გაგორდა იქავ ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ, დაასვენა რა ჩიბუხის ტარი თავის ღირსეულს მუცელზედა,—და დაუწყო პირ აღმა ყურება გუმბათიან ცასა.

მშვენიერ სურათს წარმაადგენდა ეს კრება. აღვსწერ თუ კი შევიძელ. ჯერ გოგოდამ დავიწყოთ

სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისსეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი. ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩევოდა რა ფერისა იყო; კალთები აქა იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა, დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალ საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშამო ჩამოკიდებული, მითომ და იუპკაა. აი მეხიკი დაგეცა! ამასაც კი ჰსდომებია იუპკა! თავზედ ეკრა შიგა და შიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის ჩამონაცვალი; იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი—უკაცრავოდ არ ვიყო—წილიანი დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდნენ ქუსლებ დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წუნწოსაგან შელებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული -- აი ამ გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი «ლამაზისსეულს» ეძახდა და რომელიც გულხელ დაკრეფილი დაჰყურებდა ბალან გაცვივნულ ხალიჩასა. ხალიჩაზედ ორი პატიოსანი და დარბაისელი ქნეინა იჯდა,—როგორც მოგახსენეთ წინათვე,—ორი კნეინა მაგრამ კი სხვა და სხვა ნაირი: ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო. მსუქანი თავჩაღუნული სწერს, გამხდარი კი თვალ დაფაცეცებით თვალს ადევნებს მწერალის ხელსა, იქნება როგორმე შევატყო რასა ჰსწერსო; ხანდისხან გოგოსაც თვალს უშვრება და თავს უქნევს იმის ნიშნად, რომ «წეღან რომ თქვა, წავიდაო, ვიზედა თქვაო.» გოგოც იქიდამ ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა. მაშინ გოგო პირზედ ხელს იფარებს, თავს იქით მიიბრუნებს, მითამ ეცინება კიდეც, რომ ელისაბედი ცდილობს და ვერ მიხვედრილა კი, და მორცხობს კიდეც.

რომ ბატონის რძალთან სიცილსა ჰბედავს. აქეთ ბალახებზედ ხალისიანად ჰქშენს ჩვენი ლუარსაბი, პირ აღმა წევს, აბოლებს ჩიბუხს და მინამ თვალში ცრემლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს, ვნახო ღრუბლემამდინ ავა, თუ არაო. იქით ხალიჩის დასწვრივ ღობის გადმოღმა ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძაღლი წევს, ისევ ისე მიწაში ცხვირ წაყოფილი და ქანც მიწყვეტილსავით თვალებ დახუჭვილი, ყოველს ხმაურობაზერ მძიმედ ახილებს თვალსა და გულზედ მოსულისავით ღრინავს, თითქო ჯავრობსო, რომ ძილს უფთხობენ. პატარა შორი ახლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი დგას, გვერდით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი დაგლეჯილი პატარა ბიჭი და რაც ძალი და ღონე აქვს უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, სადა ძაღლი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შენატრისო ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ვყოფილვიყავი!

ეს საძაგელი სურათი საძაგელის მიწისა სასაცილოდ ახამებდა იმ დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრიხებოდა ერთ გაუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი.

დრო გავიდა. დარეჯანმა გაათავა ლოცვის წერა და ბარათი მიჰსცა გოგოს ამ სიტყვის ზედ დატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეც თქო.

მერე მოუბრუნდა ელისაბედს და შესაქცევრად ჩამოუგდო ლაპარაკი. ლუარსაბი ისევ ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა.

—პურის მოსავალი როგორი გაქვსთ წელს? ჰკითხა დარეჯანმა.

— თქვენმა მზემ შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მაზლს ოცდაათის ურმის იმედი აქვს, დაიტრაბახა ელისაბედმა.

—ეგ, ბატონო, კაი მოსავალია. ოცდაათი ურემი ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვივა მაგდენი, მაგრამ ჩვენ ერთი ორად მეტი ნახნავი გვქონდა თქვენზედა, იტყუვა თავის რიგზედ დარეჯანმაც.

— რას ბძანებთ, ჩემო რძალო, ჩვენზედ მეტი თქვენ რად გექნებოდათ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა წელსა.

—რად გექნებოდათ? ჩვენ მკათათვის ნახევარში გუთანი გატანილი გვქონდა, თქვენ კი ენკენისთვეშიაც არ გაგეტანათ.

—არა თქვენმა მზემ, ჩვენ თქვენზე ადრე გავიტანეთ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა.

—აი, ბატონო, თუნდა ლუარსაბსა ვკითხოთ. ეგ კაცია, მაგას უფრო ეცოდინება. ლუარსაბ! დაუძახა ქმარს კნეინამა.

—რაო? ჰკითხა ლუარსაბმა და მოიღრიჯა ცოლისაკენ კისერი.

—შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედ ნაკლები ნახნავები გვქონდაო წელსა.

—ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნავები მქონდა,—მიუგო ლუარსაბმა, ამ გვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა: რას ბძანებთ! . . ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა. აი ნახამ რამოდენა ფრთა მოქცეულს წამოვაყენებ კალოზედა, ასეთს წამოვაყენებ, რომ . . . . რომ . . . . აბა რა გითხრათ? თუნდ თორმეტ ამ სახლის ოდენასა, ვაი არა აქვს ლუარსაბსა! ფიე! ნახნავი იყო, რომ ჩემი იყო. შარშან ვენახისა არ იყოს, ჩემოდენა ღვინო კახეთში ორს არ მოუვა, ქართლში ხომ ნახევრის ნახევარიც არ მოუვა. მაშ? თუ ეს მართალი არ იყოს, საიდამა ვცხოვრობ ეგრე მეფურად? საიდამ? ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არ ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს არ შავირცხვენ. სომეხი ხომ არავარ, რომ ქირაობით ვიცხოვრო, თავადი შვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი . . . .

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ელისაბედმა აღარ დააცალა:

—მართლა, ჩემო მაზლო, ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს?

—მართლა, მაშ? ის შერცხვენილი, გვარის დამცირებელი ისა!

—ნიკოლოოზიც ატარებს თურმე, დაუმატა დარეჯანმა.

—მაშ? უპასუხა ლუარსაბმა.

—უი ლაფი დაესხათ თავზედ, კარგი გვარის მასახელებელი ისინი ყოფილან, თქვა ელისაბედმა.

—ნეტავი თავადი შვილი მაინც არ იყოს! დაუმატა გულმტკივნეულად დარეჯანმა.

—ეგ არის და, რომ თავადი შვილია! თქვა წყრომით ლუარსაბმა: თავადიშვილი, რომ არ იყოს, ჯანი გავარდეს. ან გლეხი იყოს ან სომეხი კიდევ ჰო, ეგა მკლავს, რომ თავადი შვილია. ძალიან არ წახდა ხალხი, თქვენი ჭირიმეთ! ამასაც შევესწარი, რომ თავადი შვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!

—მერე რა დედ-მამის შვილი, წამოიძახა დარეჯანმა.

—ეგა თქვი და, მიუგო ლუარსაბმა.

—კაცმა ეგრე როგორ უნდა დაკარგოს პატივი, თქვა თავის რიგზედ ელისაბედმა.

—ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს. გლეხიცა გზავნის ურმებს ქირაზედ და თავადიშვილიცა, ისიც ქირითა ცხოვრობს და ესეცა. რით უნდა გაირჩიოს? იკითხა ლუარსაბმა.

—არა ფრით, თქვენმა მზემ, დაარწმუნა რძალმა.

—ოღონდაც, რომ არა ფრით, კვერი დაჰკრა ცოლმაცა.

—მშიერი, რომ ვკვდებოდე, მშიერი და ასი ურემი მებმებოდეს მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მამიკვდება. შენა, ჩემო რძალო?

—უი უწინამც დღე გამქრობია, ვიკადრებდი კი არა, მე ჩემის ხელით თავს მოვიკლავდი. ოხრად დამრჩეს ქირით შემოტანილი ქონება. რა თავადი შვილის საქმეა.

—შენა, დარეჯან? ჰკითხა ეხლა თავის ცოლის ცნობის მოყვარე თავადმა.

—არც მე, თქვა დარეჯანმა.

—მაშ არც მე, თქვა ლუარსაბმა იმ სახით, თითქო ამ სამის აზრით სამი ქვეყნის ბედი გადაწყდაო.—არა, დრო ძალიან გამოიცვალა, ჩემო რძალო! გააგძელა სიტყვა ლუარსაბმა: ხალხი წახდა, სისხლი მოითხარა. აბა ჩვენ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ თავადი შვილს თავი შეერცხვინა და ურემი ექირავებინა. ქვით არ ჩავქვავებდით? თავზედ ლაფს არ დავასხამდით? მაგრამ ეხლა—აი დასწყევლოთ ღმერთმა—სირაჯობენ კიდეცა. გაგონილა? თავადი შვილები სირაჯობენ! . . ოჰ, ღმერთო რატომ წარღვნა არ მო-

კა? სომხები გახდნენ, სწორედ სომხები; ეხლა ის და აგლიათ, ად-ლი ამოიჩაროს იღლიაში სოფელ სოფელ იაროს და «სავაჭრო, სავაჭრო» იძახოს.

—მაგასაც იქმონენ თქვენმა მზემ, თქვა ელისაბედმა: მე კი ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დროსა და!

—იქმონენ, თავი არ მამიკვდება, იქმონენ, წარმოჰსთქვა მწუხარებით ლუარსაბმა: ბატონო! სისხლი, რომ აღარ არის? წახდა სისხლი, მოითხარა.

—მართლა რომ წახდა, დაატანა დარეჯანმა.

—აი მაგალითად: გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია!. წამოიძახა ენა ჭარტალა ელისაბედმა: იცით რა უქნია? ბიჭს გაუჯავრებია... ზაქარიას ცოლი ხომ ანჩხლია?..

—მერე რა რიგი? საშინელი, დაჰკრა კვერი დარეჯანმა.

—ბიჭს გაუჯავრებია, დაიწყო ისევ ელისაბედმა:—გამოსდგომია, წაუძგრია ფეხიდამ ჩუსტი ყოფილა, თუ ქოში—ქოში იქნებოდა—ამდგენი უცემია, ამდგენი უცემია, რომ დაუოსებია თურმე.

—არა, თუ ღმერთი გწამს? ჰკითხა გაკვირვებულმა ლუარსაბმა.

—თქვენმა სიცოცხლემ!

—ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! იქნება პატარა ბიჭსა ჰსცემს?

—კიდევ ეგ არის, რომ არა. პატარა ბიჭს, რომ ჰსცემოს, ეგ არა ფერი: აი მეცა ვჰსცემ ხოლმე, თქვა ელისაბედმა.

—მეცა, თქვენმა მზემ, თქვა დარეჯანმა: პატარა ბიჭი და გოგო სულ ერთია. როგორც ქალბატონმა, რომ გოგოსა ჰსცემოს არ დაიძრახება, ისე პატარა ბიჭსა, რომ ჰსცემოს არა ფერია.

—რასაკვირველია, ჩამოართო სიტყვა ელისაბედმა: პატარა ბიჭის ცემაზედ ვინ დაიძრახება. ის კი ვაჟკაცი კაცი გხლებიათ, აბა ქალი რომ ვაჟკაცს შეებას, ვერაფერია თქვენმა მზემ.

—დიდება შენდა ღმერთო ჩემო, თქვა პირჯვარისწერით ლუ-არსაბმა; ეს რა მესმის თქვენი ჭირიმეთ: დედა-კაცმა ისე თავზედ ხელი უნდა აიღოს, რომ კაყკაცსა ჰსცემოს. ცემა არა ფერია, მაგაში ბატონს ვინ დაჰსძრახავს, იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვჰსცემ, მინდა არა; მაგრამ კაცმა კაცს უნდა ჰსცემოს, დედა-კაცისაგან რომ არა თქმულა, რომ არ გაგონილა? აი გოგო ჰყავს, გოგოს რამდვენიც უნდა ჰსცემოს, ეგ საკადრისია, კაცს კი . . ღმერთო დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან,

—ეგ რა კიდევ . . . უნდა დაეწყო კიდევ ელისაბედს ჭორიკანაობა, მაგრამ ამ დროს ჩაიც მოართვეს.

—სიტყვა კი არ დაივიწყოთ, ჩემო რძალო, უთხრა დარეჯანმა: ჩაი მიირთვით.

—მიირთვით, სულ ერთია, უპასუხა ელისაბედმა და წამოავლო სტაქანს ხელი.

ჩაი ჩამორიგდა.

ელისაბედმა მოსო ცოტა თუ არა, ისევ დაიწყო გაწყვეტილი სიტყვა:

—იმას მოგახსენებდით: იმ წუწკს ნიკოლოზს იცით რა უქნია? თავის მუახლისათვის არშიყობა დაუწყვია, ერთხელ ბინდი ყოფილა—აქ რაღაც წაჰსჩურჩულა დარეჯანს ყურში ბიჭებს დაუნახავთ, ქალბატონისთვის შეუტყობინებიათ, ის საწყალი ქალიც მისულა და გულს შემოჰყრია. აი, ბატონო! . .

—მართლა?

—თქვენზედ მიწა არ მენახოს! მოაჭორა ელისაბედმა და, მითამ ნიკოლოზის ცოლზედ გულიც შეჰსტკივა, დაუმატა: მე ის საწყალი ქალი მეცოდება, თორემ ნიკოლოზს თუნდა თავშიც ქვა უხლია.

—საშინელ დროებას არ შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ! მართალის გულით ჰსთქვა ლუარსაბმა: სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა: ვაყო! ქალს ქალობა აღარ ეტყობა, კაცს კაცობა. ტყუილად კი არ მოგვეჩვენებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები, ერთი ღვთის

რისხვა რამ უნდა მოვიდეს. რომ არ გაგონილა ყურით და ენით არათქმულა ქალისაგან ვაჟკაცის გალახვა და ქრმისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები. სირცხვილი აღარ არის ეხლანდელ დროში პირში წყალი გაგვშრომია.

—არა ისე ჩუმად მოუხდინა მაინც იმ სულის მტერსა, კიდევ არა ფერი იქნებოდა, თქვა დარეჯანმა.

—ჩუმად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდა? — გააწყვეტინა სიტყვა ლუარსაბმა: განა უწინ კი არ აყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ; მაგრამ უწინ სულ დაფარული იყო. ისე დაიჭერდნენ საქმეს, რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ-ბევრი მაგისთანაები მომხდარა უწინაც, მაგრამ აბა ერთი შეგიტყვიათ ირამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველა ფერი ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ. ეხლა, ბატონო, არაფერისა, ღარა ჰსცხვენიანთ. ნამუსი აღარ არის, არა. წახდა ქვეყანა.

—სწორედ მეორედ მოსვლის ნიშნებია, დაუმატა დარეჯანმა.

—სწორედ. აი ერთი კიდევ რა შევიტყვე; გოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებთ, თქვა ელისაბედმა.

გოგო და ბიჭი დაითხოვეს. ელისაბედმა შემოავლო თვალი გარეშემოსა და ნახა რომ არავინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა ყურები დააცქვიტა და ახლო მოიწია, დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაკეცა, რომ კარგად გაიგოს.

ელისაბედმა დაბალ ხმით დაიწყო:

—ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა ხომ გახსოვთ?

—დიახ, მიუგეს ერთ ხმით ცოლქმარმა.

—იმ დღეს თურმე გველაშაპი გამოჰსდგომოდა მზესა, ისიც ხომ გაიგეთ?

—დიახ, დიახ, გავიგეთ! წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმაცა.

—იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველაშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქომთ, რომ—აქ უ-

ფრო ხმა დაიდაბლა—და უთქომთ, რომ თავადი შვილებს ყმება ჩამოერთმევათო.

—ვაი შენს ლუარსაბსა! წამოიძახა ფერ წასულმა ლუარსაბმა: ეგ რა თქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნ-და მოვიდეს მეთქი. აი ღვთის წყრომა სულ ჩვენივე ცოდვებისა-გან მოგვევლინა. მამაჩემი ზაალ ნუ წამოწყდება, რომ წავალ, ზა-ქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოოზსაც წიხლ ქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. ქვეყანას შევყრი და სახლ გა-რიანად ამოვბუგავ. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!

—რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! მიატანა ლუარსაბის ცოლმა: სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ. შარშანწინ კი არა თქვეს რომ დედამიწა, რომ ხარის რქაზედა დგას, იმ ხარს ერთი რქა მოჰსტეხიაო და ქვეყანა უნდა გადმობრუნდესო, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოჰსტეხია და არც არა ფერიო.

— მართლა, ეგ კი აღარ მამაგონდა, თქვა ცოტაკი დამშვიდებულ-მა ლუარსაბმა: ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ნაბოძებს სომ-ხის კარაბადინის სიტყვით, ვინ წამართმევს. თუნდ ეგ არ იყოს, რაღას თავადი შვილი ვიქნებით თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბა-დინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს არ დავიჯე-რებ. ან რა დასაჯერია?

—რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა,- ეგ ცუდია თქვენმა მზემ! თქვა ელისაბედმა.

—ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძეობას წამართმევენ, მარ-შახ კი არ იმახსნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებათო, ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონათა, ყმა ყმათაო, როგორც აქა. ინგლიზის ხელმ-წიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისთვის, რომ «ნუ-გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდ-კაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებთ, რასაც მანდა ყბედობენო».

—რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონ-ყმობა ღმერთის და-

წესების და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! — თქვა დარეჯანმაც.

— უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო სახარებაში სწერია, კეისრები ჩვენა ვართ, დაუმატა ელისაბედმა.

— მართალი ბძანებაა, ჩემო რძალო! სახარების სიტყვას კი წაუვა? მიატანა დარეჯანმა.

— არავინ, თქვენმა სიცოცხლემ! დაამტკიცა ელისაბედმა და წამოდგა შინ წასასვლელად: მშვიდობით ბძანდებოდეთ!

— მშვიდობით, ჩემო რძალო! ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია თქო, ურჩია ლუარსაბმა.

— თქვენც, რომ ეგრე ქმნათ ცუდი არ იქნება: გლეხები არიან მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც. მშვიდობით, გამოესალმა და წავიდა ელისაბედი. თან აედევნა დაჩაგრული გოგო.

— ღმერთო, რა მეჭორეა! . . რა ენა ჭარტალაა! . . ქმარს უთხრა დარეჯანმა ელისაბედზედ.

— ის რა მაიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგვერთოსო! დაჰკრა კვერი ლუარსაბმა.

— შენ ხომ მაშინვე დაიჯერე.

— კარაბადინმა თქვაო, მოდი და ნუ დაიჯერებ; ის კი, ღვთის წინაშე, არ მამაგონდა, რომ გარეჯელ მკითხავსა ბევრჯელ გაუცრუებია სომხური კარაბადინი.

— გონება სადა გქონდა?

— ეჰ, შე დალოცვილო! აქა მქონდა, მაგრამ ვერ მამაგონდა. სულ, რომ მაგონდებოდეს, რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა: სოლომონ ბრძენი ვიქნებოდი. თუნდ ეგ არ იყოს, ქვეყანაზედ რა ვიცი რამდენი ეშმაკის მანქანებაა, ეგეც იქნება ერთი იმათგანი იყოს, ვექო! ცოდვილ ქვეყანაზედ რა არ მომხდარა ჩვენის ცოდვებისაგან? ეგეც შეიძლება, რომ მოხდეს, მაგრამ სიფთხილეს თავი არ აჰსტკივაო, ნათქვამია: ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია.

— რასაკვირველია, ცუდი არ იქნება: ჩვენ მაგითი რა დაგვაკლდება?

—არა ფერი, შენმა მზემ!—ეხლავ დავუძახებ დათოსა და ვეტყვი. დათო! დათო! დაიყვირა ბატონმა.

—ბატონო! საღაც შორიდამ მოისმა დათოს ხმა: ეხლავ გიახლებით.

ცოტას ხანს უკან დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა.

—რას გვიბძანებთ?

—იმასა, რომა ყმები ჩამოგვერთმევაო, რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავახჩობო, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

—გავიგე, შენი ჭირიმე! უპასუხა დათომა: განა მაგას ვინა ფიქრობს? აი რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილ-ფეხობის სიტყვა რა დასაჯერია. იუბედებენ, იუბედებენ, და დაჩუმდებიან.

—ეგრე თქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

—შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებით, შენი ჭირიმე!

—რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

—დიახ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ—ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე განა მამა შვილს არ გაუწყრება?

—ოღონდაც რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

—მართალი ბძანებაა. სხვას არა აქვს მაგის მიგნება, ამბობს, რომ რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოსო, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს სულ იმათ სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხ-კაცი რეგვენია.

—ოღონდაც, რეგვენია, ჩაერივა დარეჯანი: მაშ ბატონი რისა არის თუ არ დაჰსტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს

უცხო ხომ არ ართმევს ისევ თავისივე ბატონის.

—მართალი ბძანებაა; მამაა, უცხო რად იქნება? დაუმატა ქუ-მაკობით დათომ.

—დიდი და პატარაობა სად არ არის? თქვა ლუარსაბმა. აი თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? იმისთვის რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველ-გან უნდა იყოს. აბა დაიხედე.

—განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის პატარაც, მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმა-ნეთს არ უშლიან, თქვა ცბიერმა დათომ.

—მაშა? ყველგან არის დიდი და პატარაცა, ახლა როგორ იქ-ნება. რომ ჩვენში არ იყოს ან რა დასაჯერია? გააგძელა ლუარ-საბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

—ვისაც თავში ტვინი აქვს აგი არ იჯერებს შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

—როგორი მართალია? დაატანა დარეჯანმა: ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვართოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგააზატონ. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

—მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერი-ათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს.

—ტყუილია, მაშ რა არის? დაიყვირა ლუარსაბმა: აბა რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგასა, თუ არ იუდას კერძო?

—აი მეხიკი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.

—თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს, იცი რაუთქვამს, ჰკით-ხა ლუარსაბმა.

—არა, შენი ჭირიმე! რა მოგახსენათ?

—ისა, რომ ტყუილიაო.

—აბა იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ. დაუ-მატა დარეჯანმა.

—მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია; აბ

უბატონოთ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკე-ბი დაეპატრონებიანო. გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე მო-გვივა. ახლა ამითი გვატყუებენ თავადებსაც და გლეხსაც, რომ ქვეყ-ნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია?

—თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოლბელის არ იყოს ქვა ქვაზედაც ნუ იქნება, თქვა ლუ-არსაბმა: ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თუ მე და შენ არ ვიქნებით ქვეყანა რად გვინდა? ჯანიმც გავარდნია. არა, დათო?

—დიახ, შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მით-ქომს, რომ ტყუილია და როდის მიჯერებენ.

—შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბძა-ნა თქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? უბძანა ლუარსაბმა.

—მაშინ კი რაღა ეთქმით, შენი ჭირიმე!

—ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.

—ბატონი ხარ. მაშ გიახლოთ?

—წადი.

დათო წავიდა; ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირ-მოთნე ყმასა?

—არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, უთხრა დარეჯანმა, რო-ცა დათო წავიდა.

—ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა-უპასუხა ლუარსაბმა.

V.

—ყველა-ყველა და ამაღამ რა გვაქვს ვახშმად? ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის ცოლსა ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დრომ მოახწია: დარეჯან! არ გეყურება, დედა-კაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

—რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვალოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს, ანუგეშა დარეჯანმა.

—მაინც?

—სადილიდამ დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია, კარგი . . . .

კიდევ უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღორის სუკების ხსენებაზედ აღტაცებულ ლუარსაბმა სიტყვა გააწყვეტინა:

—უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რომ რათაც უნდა ღირს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზედა ვარ.

—ზურგიელიცა გვაქვს. ღვინოები რომ იყიდა, იმისი ფეშქაშია. ასეთია, რომ ქონი გაზდის.

—უჰ! ეგეც კარგია. სხვა?

—ყველი, პური და კაი გული.

—არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ! ჩვენისთანა ვახშამი ხელმწიფესაც არ ექნება.

გაიკეთა ჩიბუხი მადა წახალისებულმა მებატონემ და მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ მოუთმენელად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა ჰსცემდა. ხანდისხან რაღაც ფიქრში გართული უეცრად წამოიძახებდა: «ღორის სუკები? შენმა მზემ, რომ კარგია!»

ვახშამსაც, როგორც ყველა ფერსა ამ წუთის სოფელში, ბოლო მოეღებოდა. გამაძღარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ახლა ხვალისათვის დაიწყობდა ზრუნვასა. მაშ? ოჯახის კაცი იყო.

—ესეც ვახშამი ღვთის მადლით გადავაგორეთ, ახლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?

—ხვალ? ჩაიფიქრდა დარეჯანი,—ვითომც და ძნელი გამოსარჩევი საქმე მიანდეს:—ხვალ? დაიცა ერთი მოვიგონო . . . ხვალ? არტალაზედ როგორა ხარ?

—უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე. არტალაზედ? კაცივითა ვარ, კაცივით, უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა კნიაზმა: ბარაქალა, დარეჯან! ერთი კარგი, მსუქანი არტალა, ჩვენი თეძოს მოხარშული, ნივრით—ერთ სახელმწიფოთა ღირს, მე

და ჩემმა ღმერთმა. ეგ ძალიან კარგი. სხვა? მარტო ეგ რას გვეყოფა.

—ერთი კარგი ჩიხირთმა? ჰკითხა მაცდურის ღიმილით კნეინამ.

—ჩიხირთმა? . . ჰა, ჩიხირთმა? . . არა, გეთაყვა, ბოზბაში ჰსჯობია, მიუგო მცირე დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

—ახლა მაგას დაიჟინებ. რითა ჰსჯობია?

—ვა!.. ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში?!..

ისეთის ხმით წამოიძახა ლუარსაბმა, თითქო უკვირსო, ეს ამისთანა უბრალო ჭეშმარიტება, როგორ არ ესმის ამისთანა ჭკვიან დედა-კაცსაო.

—შენც არ მამიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა ჰსჯობდეს.

—ვა!... უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა: ტყემლით გაკეთებულ ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო?... შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო! ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს... რას ამბობ? რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბს ჩიხირთმას მირჩევნია ამის უკან შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა ჰსჯობია? მაშ კაცი აღარა ვყოფილვარ, ქუდი აღარა მხურებია.

—შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, იტყვი; რომ კაცი ველარ გადაგათქმევინებს? არ იყო რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაჟინებულს ლუარსაბს.

—მაშ? კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია დღეს ერთი თქვას, ხვალე სხვა? თქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.

დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადააგდო:

—მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

—ვამჯობინებ.

—მაშ შენ პირში გემო არა გქონია, ეხლა კი გულზედ მო-

სულსავითა თქვა დარეჯანმა.

ლუარსაბი აიტკიცა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო, რომ მაინც ცოტა წყენით არ უპასუხა:

—შენ არა გგონია, რომ ჩიხირთმას ამჯობინებ, თორემ მე ხომ ბოზბაში მირჩევნია.

—აბა რას მიედ-მოედები? ეხლა კი გაანჩხლდა დარეჯანი: ბოზბაში როგორა ჰსჯობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მომაგონდება პირში—წყალი მომივა, თუ მშიერიცა ვარ, მაშინუფრო; ბოზბაშზედ კი—არა, მაშ ჩიხირთმა ჰსჯობნებია. ახლაც დაინიყებ?

ისეთ გულდაჯერებით და ზათრიანად წარმოჰსთქვა ეს კნეინამა, რომ, ასე გონია, უნდა ეთქვაო: «შე სულელო, ამისთანა საბუთი მაქვს და შენ კი მაინც შენსას ამბობ?»

მაგრამ არც ამის მოპირდაპირე იყო სუსტის ჭკვისა, რომ ის საბუთი უფრო ძლიერ საბუთით არ დაერღვია. მართალია პირველშივე ძალიან ჩაფიქრდა, მაშინვე ვერა მოახერხა რა ეთქვა, მერე კი—დვთის წყალობა თქვენა გქონდეთ—ყოჩაღად ლუარსაბმა იმას მიუგო.

—მაგ სიტყვაზედ ჰსდგეხარ? ჰკითხა ჯერ ლუარსაბმა და ფეხზედ წამოდგა.

—ვსდგევარ.

—მაშ კარგი: შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში—მაძღარსაცა. აი თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ ბევრი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირთამდინ პურჩაყრილი, ჩაყუყუნებული ბოზბაშით სავსე მათლაბა, თუ ზემოდამაც ერთი კარგი განჯი ამევს! . . . რას ამბობ, დედა-კაცო? მე მოგიკვდე თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც თართი თევზებისა. შენ რა იცი, დედა-კაცი ხარ.

—აბა შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი: ორაგული თქმულა თევზების მეფედ და არა თართი . . . აბა სულ ეგრე ტყუი ხოლმე,—უკიჟინა ნიშის მოგებით გახარებულმა კნეინამა, რომ ტყუილში დაიჭირა.

შერცხვა ცოტად ლუარსაბსა, მაგრამ არ შეიმცნივა და გაიძრახა, რომ პატივისათვის რაც უნდა დაემართოს უნდა დაამტკიცოს, რომ თართი არის (მეფე).

—ახლა მაგას დაინიყებ. თართია, მეთქი.

—ორაგულია.

—ეჰ, თართია, თავი არ მამიკვდება, არც ეხლა დაიჯერებ.

—ორაგულია, ორაგული! დაჰსძახა კნეინამ.

—აბა საიდამ იცი, რომ ორაგულია ?

—შენ საიდამღა იცი, რომ თართია ?

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეშია. მერე რა რიგად? ხსნა არ იყო, ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქო კიდეც, რომ «კარაბადინში ჰსწერია»; მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო ნაკითხია, ვეღარ გაბედა.

დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო — როგორც იცის თითონ მკითხველმა—ნახა რომ ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფრო და უფრო დააყარა თავმოწონებით:

—მითხარ, საიდამ იცი? მაშ? რაც არ იცი, ნუ იტყვი. აბა ეხლა თქვი: ჩიხირთმა არა ჰსჯობია?

დარეჯანმა იფიქრა, რომ ეგრე დაჭერილი ლუარსაბი თუ გატყდება, ეხლა უნდა გატყდეს; ამისთანა გაჭირებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ, თორემ სხვა დროს ვეღარა. ამიტომაც ეგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ.

ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო ! ისევ თავ ჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბაშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა, რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად დება ეთაკილებოდა, სხვა დროს იქნება დაეთმო, მაგრამ ეხლა რაკი საქმე სახუმარი აღარ იყო, რაკი ჯაბრზედ შედგა, ეხლა დათმობა სათაკილო ეგონა. მართალია, იყო წუთი, როცა ისე დამარცხებული ნახა თავის თავი, რომ თითქმის დააპირა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის ღვიარება, მაგრამ ამ დროს თვალ წინ წამოუდგა მაორთქლავი მათლაბა ლავაშ ჩაყრილის ბოზ-

ბაშისა, მოაგონდა ზემოდამაც გადახირული ნატვრის განძი, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი: ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყა სირცხვილიც, დამარცხებაც, გამარჯვებაც და ათქმევინა ეს ღონიერი სიტყვები:

— მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორაგული იყოს თქმული თევზების მეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში ჰსჯობია ჩიხირთმასა.

— ჩიხირთმა, ადამიანო!

— ბოზბაში, დედა კაცო!

— ეჰ, წეღანდელი არ იყოს, მტყუანი ხარ და არა ტყუილები, უთხრა უგედრებით დარეჯანმა.

— შენა ხარ მტყუანი.

— დახე? შენ არა თქვი. თართიაო?

— მე ეგ არ მითქვამს-ეგ შენა ჰსთქვი, იცრუვა ლუარსაბმა და თავის სიტყვა თავის ცოლს გადააბრალა. მე ორაგული, ვსთქვი.

— დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ! . . ეს რა მაიგონა? წამოიძახა ეხლაკი სწორედ გულზედ მოსულმა დარეჯანმა.

— ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! დაბლა ხმით უთხრა ლუარსაბმა და წავიდა, რომ გარედ გავიდეს. კარებში, რომ მივიდა, ერთი კიდევა ჰსთქვა:

— მე ორაგული ვჰსთქვი. თქმა ამისი და იმისი გარედ გასვლა ერთი იყო.

— მტყუანს! . . მიჰსძახა გაკაპასებულმა ამ უსირცხვილობისაგან მოთმინებიდამ გამოსულმა ცოლმა: გაუწყრეს წმინდა გიორგის მადლი და ნეკრესის ღვთის მშობლისა?

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა, არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამ წყევლამ დარეჯანსა მშვიდობიანად ჩაუარა.

ხშირად შუადამეთდინ ცოლქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ. «დღეს რა ვჭამოთ» იტყოდნენ დილით; «ხვალ რა ვჭამოთ» იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა.

რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

—კაცო! მე ვარისხებ ღმერთსაო? გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი: წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს,—რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს—ერთის სიტყვით—რაც არ უნდა გექმნა, არ გიქმნია—ესეც კარგია: ურარაობას ეგა ჰსჯობია; მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექმნა, ისკი გიქმნია?

— დიახ, მეტყვი შენ: მისვავს და მიჭამია, არც ,ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ.

—მითამ პასუხი ეგ არის? წარვა-ლოცვას არ გაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: «ვითა მამა ზეცის იყავ შენც სრულიო». აბა ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისათვის ცდილ ხარ? არა, შენ მაგისათვის არა ცხოვრობ: შენ იმისათვის ცხოვრობ, რომ ჭამო და სვა და არა იმისათვის, რომ ჰსჭამ და სვამ, იცხოვრო ე. ი. ეცადო, რომ ვითა მამა ზეცის იყო შენ სრული.

(დანარჩენიც სხვა ნომერში იქნება).

მ. ჯიმშერიძე.

---

# კონრად კიფერი

ანუ

## დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის.

გაგრძელება

## VIII.

კონრად კიფერს უნდა, რომ შეიქმნას თავის მშობლებისა ბრძანებელი, და იმაზედ, თუ როგორ აისრულა ეს ბძანებლობის სურვილი.

კონრადი ძალიან მხიარული ყმაწვილი იყო, ამასთანვე საშინელი მოლაქუცე; ამისაგამო იმის სურვილსა ზედ თვალებზედ შავატყობდით ხოლმე. რაზედაც კი ხელს გაიწვდიდა, სუყველაფერს ვაძლევდით; უარი რომ გვეთქვა ერთი იმისი დაჭყივლა გვეყოფოდა, რომ აგვესრულებინა იმისი სურვილი.

ეს—მე ვიფიქრე—ქვეყანა გადმობრუნებულა მეთქი. უწინ ასე იყო, რომ შვილები უგონებდნენ თავიანთ მშობლებს, ეხლა კი მშობლები შვილებს უგონებენ. თუ მართლა დიდხანს გასწია ამ ამბავმა ყმაწვილი რომ გაიზდება მაშინ ჩვენ ამის ხელში ვიქმნებით და ყოველთვის იმას გვაქნევინებს, რაც იმისი ნება არის,—და აბა ეს რას ეგვანება.

კარგი იქნება რომ მშობლებმა ყური მიუგდონ თავის შვილებს მაშინ როდესაც ისინი თავიანთს სჩადიან ხოლმე; თუ მართლა კარგად ყური მიუგდეს და დაამშლევინეს ყმაწვილს თავისი წადილის

ასრულება, მაშინ შვილები კარგები იქნებიან, მაგრამ აი ამ შემთხვევაში—ხშირად შესცდებიან ხოლმე მშობლები. ყმაწვილის პირველი ტიტინი—ახალი ამბავია მამისათვის და დედისათვის; ეს იმათ მოსწონთ და ამ ტიტინით გაერთვიან. ყოველი ახალი სიტყვა, რომელსაც ყმაწვილი გამოსთქვამს, ძალიან ასიამოვნებს და აცინებს მშობლებს. ყმაწვილი სასაცილოდ გამაიჩენს თავის ნდომას და აღისრულებს ხოლმე კიდეცა. თუნდ რომ სულელურიც რამ სთქვას ყმაწვილმა, მშობლები მაშინაც გაუცინებენ; თუნდ რომ შეუძლებელიც რომ მაითხოვოს რამე, მაშინაც უარს არავინ არ ეტყვის. ამ ნაირად ყმაწვილი თავის ნებაზედ ხან ერთს გააკეთებინებს, ხან მეორეს და ამ რიგად ეჩვევა ყოველთვის თავის ბრძანების გასვლასა. როდესაც ყმაწვილები გაიზდებიან, მხოლოდ მაშინ იგრძნობენ ხოლმე მშობლები რომ ცუდი არის ამ ნაირად ყმაწვილის დაჩვევაო და მაშინ მოინდომებენ დაამშლევინონ ეს ხასიათი: მაგრამ მაშინ ძნელი იქნება ამათი გადაჩვევა. მაშინ მშობლები ძალას დაატანენ ყმაწვილს; ყმაწვილი ჯავრობს, აწუხლობს და შეუპოვარი ხდება; სიყვარული მშობლებისა ნელდება; მოხდება ჩხუბი, ჩივილი შვილების შეუპოვრობაზედ, მაგრამ ამას კი არა ჰგრძნობენ, რომ ეს ყველა თავიანთივე ბრალია.

ყველა ეს მე კარგად მესმოდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ გამესწორებინა საქმე. ერთხელ სტოლზედ მაკრატელი იდო, ყმაწვილმა გაიწოდა ხელები და უნდოდა აელო. არა, არა, კონრაშა, ვუთხარ მე სულ შენს ნებაზედ არ უნდა იყო; მაკრატელს არ მოგცემენ; ამ ლაპარაკში მაკრატელი პატარა იქით მივწიე.

რა ჰქმნა კონრადმა? რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაიყვირა. მე ჯავრი მომივიდა. მე მიუახლოვდი და რამდენჯერმე ხელებზედ დავარტყი. ის ადრევეც ყვიროდა, ეხლა უფრო მომატებულ დაიწყო ყვირილი, ტირილი და ხელებისა და ფეხების ფორთხალება; არ ვიცოდი რა მექმნა. ჩემს ბედზედ დედაც ამ დროს აქ არა ჰყვანდა. აქ რომ ყოფილიყო, უეჭველია ყმაწვილს დაესარჩლებოდა და ჩხუბი მოგვივიდოდა.

არ ვიცოდი რა მექმნა. ავიღე, კონრადი იატაქზედ დავსვი და ვიფიქრე, დეესხენ რამდვენიც უნდოდეს იყვიროს მეთქი. თითონ მე კი დავდეგი ფანჯარასთან და გარედ ვიცქირებოდი. როდესაც ყვირილი მოსწყინდა, მიველი ავიყვანე ხელში და ჩავაბარე თავის დედას მეკი წაველი მინდორში, რომ სხვა ფიქრებით გავრთულვიყავ.

სწორე მოგახსენოთ, ყოველი ასო მიკანკალებდა ტანში: ერთის მხრით უმაწვილი მეცოდებოდა, მეორე მხრით მე თითონ ჩემს თავს უჯავრდებოდი ამისათვის, რომ არ ვიცოდი როგორ დამემარცხებინა ამისთანა ბავში. დიდად ჩაფიქრებული მე მიველი ყანასთან.

ამ ყანაში ერთი მწყერი თავის წიწილებით დავინახე. რა წამსაც დამინახა მწყერმა—მაშინვე გაიქცა და დაუძახა, თავისი წიწილები ერთს წამში სულ გარშამო შამოეხვივნენ; არც ერთი არა დარჩომილა უკან.

ჰო! ვიფიქრე მე ჩემს თავად, ეს ჩვენი ქვეყანა საოცარია: მწყერმა, რომელსაც არა აქვს ჭკვა, არ უვლია სასწავლებლებში, არ დაუჭერია არც ერთი ეგზამენი, იცის, თუ როგორ უნდა მოექცეს თავის შვილებს;-კაცსაკი—მაგ ჭკვიანსა—რომელიც ამთვენსა სწავლობს, არ ესმის, თუ როგორ უნდა მოერიოს თავის ბავშვს. მაშინ როდესაც ამას უფრო უნდა ესმოდეს! თუ ღმერთმა იმას ის მოხერხება მისცა რომ შეუძლიან დაბადოს უმაწვილი, უეჭველათა აღზრდის მოხერხებასაც მისცემდა.

ამ ნაირის ფიქრებით შინ წაველი, და ვცდილობდი რომ იმისთანა ღონისძიება მომეგონა, რომ სხვა ფიქრში შამეყვანა უმაწვილი მაშინ, როდესაც ის იმისთანებს მოითხოვდა, რომლის მიცემაც არ შეიძლებოდა. მაგრამ ვერა მოვიგონერა.

შინ რომ მიველი კონრადი ისევ ხელში ავიყვანე. ორი წამი არ გასულიყო, რაც ხელში მეჭირა, მაშინვე დედასაკენ იწევდა, მაგრამ იმ დროს დედას არ შაეძლო იმისი აყვანა, ამიტომ რომ სხვა საქმე ჰქონდა. მე წუხილი დავიწყე, მეგონა რომ ისევ დაიწყებდა ყვირილს. მაგრამ ჩემს ბედზედ ერთი მუშა კაცი შამოვიდა ჩემთან და ერთი პატარა ქაღალდიც თან შამოჰყვა. მე ვუჩვენე კონ-

რადს ის ძაღლი, რა დაინახა ძაღლი, დაუწყო იმას ყურება, დედაკ სრულებით დაავიწყდა. მე ცოლს თვალი ვუყავი, რომ გამოსულიყო. მინდოდა გამომეცადნა კონრადი ისევ იმისაკენ გაიწევდა, თუ არა; ჩემი ცოლი შამოვიდა, მაგრამ კონრადმა თვალიც არ ათხოვა, და სუყოველის ფერმა კეთილად ჩაიარა.

ჭო! ვიფიქრე მე, თუ ამ ღონისძიებით კონრადის დაწყნარება შაიძლება, მაშ ჩვენი საქმე კარგად წავა მეთქი. —

და მართლაც, საქმე ძალიან კარგად წავიდა. მე ყოველთვის მზათა მქონდა ის, რაც კი მოსწონდა ყმაწვილს; მაგალითად: სურათი, პატარა რამ პირუტყვი; როდესაც იმისთანას მოითხოვდა რასმეს, რის მიცემა არ შეიძლებოდა, მე მაშინვე გამოვუტანდი ხოლმე რაღაცაებსა, ვაჩვენებდი და ამაში ისე გაერთვებოდა ხოლმე ყმაწვილი, რომ სულ ადრინდელს დაივიწყებდა, და დიდათაც ხარობდა იმითი რასაც ვაჩვენებდი და ავუსხნიდი ხოლმე. ამ ნაირად მე ვისწავლე დიდი ხელოვნება, რომლითაც ყმაწვილის შეუპოვარი თხოვნა შეიძლებოდა მოგვეშალა. აი ეს ხელოვნება ის არის, რომ ყმაწვილის გონება, როდესაც იგი ითხოვს რასმეს და თქვენ მიცემა არ გინდათ, უნდა მიაქციოთ სხვა რომელიმე ნივთზე, იმ ნივთზედ, რომელიც მოსწონს.

მაშინ იმას დაავიწყდება ის, რაც ადრე ითხოვა, და ყმაყოფილიც იქნება ამ ახალი ნივთის ნახვითა.

მაგრამ მარტო ნივთის ჩვენება—არ არის საკმაო. როდესაც ნივთს აჩვენებთ, მასთანვე იმისთანა ხმით უნდა ელაპარაკოთ, რომ ყმაწვილი დარწმუნდეს, რომ იმას აჩვენებენ უმაღლესს რასმესა. მე ასე რომ მეთქვა კონრადისათვის: «შაჰხედე, აგე ძაღლი! მაშინ უეჭველია ყმაწვილი ისევ უწინდებურად დაიწყებდა ყვირილს, მაგრამ მე ასე არ მოვქცეულვარ. სიცილით ვუთხარი მე: შე, პატარა გოშიავ! აქ რამ მოგიყვანა? შენ კონრაშას სანახავად მოხველ განა? აი შაჰხედე, კონრაშა აქ არ არის.» ამითი საქმემ კარგად ჩაიარა.

## IX.

### კონრადმა ძალიან შააშინა თავისი მშობლები.

როდესაც კონრადი ცხრა თვისა შეიქმნა, ერთხელ დილით ძალიან სამწუხარო ხმით დაიწყო ტირილი. ავიყვანე ხელში და ვცდილობდი დამემშვიდებინა. შავიყვანე თავლაში, სამტრედოში, ვიხმარე ყოველი ჩემი ხელოვნება მაგრამ სულ ფუჭად გაიარა. ისევ ისე ტიროდა; ლოყები ეწოდა, პირიდამ ფურთხი ჩამოზდიოდა, ხან ძ ხან განკალსაც დააწყებინებდა და იტენდა პირში მუშტსა. გაუშინჯე პირი და შავატყე, რომ უკანა დიდრონი კბილები ამოსდიოდა- მაგრამ რა უნდა მექმნა ამ შემთხვევაში — არა ვიცოდი რა. ამისა გამო ყმაწვილი სრულებით ბუნებას მივანდე, ცოლს კი ვთხოვე რომ ცოტა მოთმინებით ყოფილიყო, იმანაც აასრულა ჩემი თხოვნა.

სადილის შემდეგ თავისმა დედამ ქვეშაგებში ჩააწვინა, ამიტომ რომ როგორც ვატყობდით ეძინებოდა; მაგრამ არ გასულა ნახევარ საათი, რომ საშინელის სახით და ყვირილით ოთახში შემოვარდა ჩემი ცოლი: გულს შამოეყარაო, მითხრა იმან·

მე რომ შამშინებოდა საკვირველი არ იყო; მაგრამ მე ყმაწვილის მდგმოიარებამ ისე არ შამაშინა, როგორც ჩემი ცოლის სახემ; ისე შაჭშინებოდა, რომ შამეშინდა ამასაც არა დაემართოს რა მეთქი. რა დავატყე რომ შაშინებული იყო, ვთხოვე რომ მეორე ოთახში დარჩომილიყო, მე კი მარტოკა შაველი ყმაწვილთან და მოვიხურე კარი. —

საშინელი სანახავი იყო. ხელები და ფეხები ეკრუნჩხებოდა, პირი სახე სრულებით გამოსცვლოდა, ტუჩებზედ გადმოზდიოდა ქაფი. ჯერ პატარა ხანს ვუყურებდი იმის ტანჯვას. მერე მივუტანცხვირთან გახეხილი ხახვი; დამშვიდდა, და ორ დღეს უკან ორი უკანა შუა კბილები ამოუვიდა.

მაგრამ—მე კი ჯერ ვერ დავმშვიდდი: ჯერ შუა კბილები ჯერ

კიდ ვ ბევრი აკლდა, წინანი კი არცკი ჩანდნენ. თუ ყოველს კბილის ამოსვლაზედ ყმაწვილი ასე შესწუხდება, ვფიქრობდი მე, რა ხეირს დააყრის! რა უნდა მექმნა? მე ჩემს ძმასთან წაველი მეკითხნა რამ. იმან თორმეტი წითელი პარაშოკები მამცა და მითხრა: რომ ყოველთვის როდესაც დავინახავ, რომ ყმაწვილს გულს ეურება, წყალში გამერია და ისე დამელევინებინა. მართლა და იმ პარაშოკებმა ძალიან მიშველეს. არც ჩემს კონრადს და არც სხვას, რაკი დავალევინებდი, გულს აღარ ეურებოდათ. ამასკი ვწუხვარ, რომ არ მითხრა ჩემმა ძმამ რისაგან იყო გაკეთებული ის პარაშოკები, თორემ სიამოვნებით მოვახსენებდი მკითხველსა.

## X.

### კონრადს მისდის საჩუქრები, იოლკისათვის (*) და მამა საჩუქრების მნიშვნელობას უხსნის.

მალე, ამის შემდეგ დადგა დღე ქრისტის შობისა, და ამისაგამო ყოველი ნათესავი უმზადებდა მას სხვა და სხვა საჩუქრებსა.— ბებიამ მოუმზადა მას ნავძნარი (елка), პაპებმა კიდე—სხვა და სხვა საჩუქრები. შობის წინადღის ღამეს რვა საათზედ დაიწყო საჩუქრების მორთმევა.

ბებიამ დაუდგა კონრადს ნაძვნარი, მორთული ქიშმიშითა, ნუშითა, ვაშლებითა და თხილებითა; მამამ მოართვა იმოდენა და იმ ნაირად გაკეთებული მარხილი, რომ ყმაწვილი თავისუფლად გაი-

(*) შობის წინაღამეს ევროპიელები თავის შვილებს უქმეს და დღეობას გაუმართვენ ხოლმე. აიღებენ ნაძვნარის ხეს, მოურთამენ შტოებს ათასნაირ ხილითა, კონფეკტითა, სათამაშოებითა; გააჩაღებენ წმინდა სანთლებით და კარს შემოახვევენ პატარა ყმაწვილებს, რომელთაც სიხარულით არ იციან რა ქმნან. მერე წილის ყრით ვისაც რა ერგება, მიიღებენ და გაიწილადებენ. ამ შექცევას ეძახიან იოლკას რუსები,—თვით ხესაც რუსულად იოლკას ეტყვიან-

მართებოდა შიგ; ჩემმა სიმამრმა მოუმზადა სხვა და სხვა იარაღები, რომ სიარული გაადვილებულიყო, დედამ მოუტანა თავისგან შაკერილი პერანგი, და მეც მივართვი ერთი სურათებიანი წიგნი, იქ იყვნენ გამოხატული ცხენები, ფურები, ცხვრები, ირმები, ქათმები, მწყერები და სხვა. როდესაც სუყველა ეს მომზადებული იყო, მე მოვიყვანე კონრადი და შემოვახედე გაჩაღებულს ოთახში. მოხუცნი გარს შემოეხვივნენ საჩუქრებს, რომლებიც იმისთვის მომზადებული იყო.

მითამ რა ჰქმნა კონრადმა? დააჭყიტა თვალები და ისე უყურებდა სუყველაფერსა, როგორც ფური მთვარესა.

არა სიამოვნება არ დააჩნდა რა სახეზედ. ამის მიზეზს მალე მივხვდებით. აქ იმდვენი სხვა და სხვა ნივთები იყო, რომ ყმაწვილს არ შეეძლო ყველაფრის გაშინჯვა, მაშასადამე ვერც გაიხარებდა. მოხუცნი სცდილობდნენ, რომ აეხსნათ იმისთვის მნიშვნელობა ამ ამბავისა და ყველანი ერთად დაუძახებდნენ ხოლმე: «კონრაშა! შეჰხედე, აი რა მშვენიერი მარხილია. უყურე რა ლამაზი სტოლია!» მაგრამ უბრალო იყო ეს ლაპარაკი. კონრადი ასე გონია დაყრუებულაო და ვერასა ჰხედამსო,—არა, ვუთხარი მე, ყმაწვილი იმიტომ არა ხარობს, რომ არ იცის თუ რის გამოხადეგნი არიან ეს ნივთები; ამისათვის მე ვფიქრობ, რომ სანთლები გავაქროთ და დავაძინოთ ყმაწვილი. მეორე დღეს მე ვუჩვენე კონრადს—სუყველა თითთო თითოდ და ავუხსენი ყველაფრის მნიშვნელობა; მაგრამ იმას ამისთანად არა მოსწონებია რა, როგორც ხმელი ხილი და სურათიანი წიგნი. როდესაც მე გავუხსენე წიგნი,—რა სიამოვნებით გაიცინა კონრადმა,-და რა გაუხარდა!

მე გადაუშალე ყველა სურათი და ვცდილობდი, რომ სხვა და სხვა მოძრაობით კარგად აღმეხსნა ყოველი ფერი.

აბა ვცდი, შევიძლებ ამ თანამდებობის აღსრულებას, თუ ვერა? ეს რა არის? დიახ, ეს მტრედები არიან! შეჰხედე, რა ნაირად ჰკენკავენ მარცვლებს! პიკ, პიკ (ხელით სტოლზედ ვაპრახუნებდი), აგე ქერსა ჰკენკამენ. აი კიდე ერთი წყვილი მტრედები ღრრუ,

ღრრუ, ასე იძახიან მტრედები. ეს ვიღა არის? ჰო! ეს ქორია! აი, რა ნაირად ტრიალებს (თითს ვატრიალებდი ჰაერში), აი, რა ნაირად დაჰყურებს მტრედებს, აი იმისი კლანჭები—აი თავის კლანჭებით ჩამოუშვა ზეციდამ—ცაპ! ჩაიგდო მტრედი კლანჭებში; აი გაპტყვნა ნისკარტით და სჭამს.

კონრადი იყო მთელს სიამოვნებაში. მაგრამ, მომატებულად იმან გამაკვირა, რომა სუყველა პირუტყვსა სცნობდა, რომლებიც აქამდინ ნამდვილად ენახა, მაშინ როდესაც სურათები პატარები იყვნენ. ყმაწვილში მაშინვე ეს ნიჭი შევნიშნე,—და რაკი ვუჩვენე და ავუხსენ ერთი ორი სურათი მერე ახალს აღარ ავუხსნიდი ხოლმე და მხოლოდ ვკითხავდი: აბა ცხენი? ძაღლი? ფური? და ყოველთვის შეუმცდარად ყმაწვილი მაჩვენებდა ხოლმე, რასაც კი ვკითხავდი, იმ სურათისა.

როდესაც ვუანბე სუყველაფერი სურათებზედ, მერე დავუწყე ლაპარაკი იმ იარაღებზედ, რომელიც სიარულის გაადვილებისათვის იყო გაკეთებული, კონრადს კი არა, ჩემს ცოლს. მოდი ეს საქმე მიყავ, ჩემო მეგობარო, ვუთხარი ჩემს ცოლს; ყველა ეს იარაღები სხვენში აიტანე. ამ იარაღებით, მხოლოდ ყმაწვილს გავაცელქებთ, სხვა კი ხეირიანი არა გამოვა რა.

როდესაც სიარულს დაიწყებს, მაშინ ჭოჭინებზედ ექმნება იმედი; მერე კი როდესაც მოუვა დრო, რომ უჭოჭინოდ იაროს, მაშინ კიდე ხელ ახლად სიარული უნდა ისწავლოს და ყოველს წუთს იქცევოდეს. ჩვენმა შავკამ უჭოჭინოთაც კარგი სირბილი ისწავლა.

ჩ. ცოლი.—ეგ სრულებით სხვა არის. შავკას ოთხი ფეხი აქვს, კონრადს კი ორი.

მე. ჰო,—აი როგორ ყოფილა! მაგაზედ კი სრულებით არ მიფიქრია. მაგრამ იცი, ჩვენ რა ვქმნათ? დეესხენ კონრადმა ჯერ ოთხის ფეხით ისწავლოს სიარული და მერე ორით.

იმას რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ჩემს ბედზედ ამ დროს მღვდელი შამოვიდა.

თქვენ კარგს დროს შემობძანდით, ვუთხარი მე. ჩვენ ცოტაო-

დენი ლაპარაკი გვაქვს და მგონია თქვენ უფრო კარგად გაარჩევთ.

მე კუამბე ჩვენი ლაპარაკი და იმან ნახა, რომ მე ყოვლის მხრით მართალი ვიყავ. ეხლა, დაუმატა მღვდელმა, მეც ერთი რამ უნდა მოგახსენოთ. განა თქვენ, მადამ კიფერო, არ გინახავთ იმისთანა უმაწვილები, რომელთაც ბრუდე ბეხები აქვთ? ამისი სიზეზები უფრო ჭოჭინები და სხვა მაგისთანა იარაღები არიან. სად არის ეგრე მოგახსენებთ, უმაწვილს ნება რომ მივცეთ, მხოლოდ მაშინ დადგება ფეხზედ, როდესაც შაატყობს, რომ ძვალში ღონე აქვს; და დასდება მაშინ, როდესაც დაიღლება. ეგ იარაღები რომ ახმაროთ, მაშინ თუნდა ღონეც რომ არა ჰქონდეს ძვლებში — უნდა ადგეს ფეხზედ; და თუნდ დაჯდომაც რომ უნდოდეს — ძალას დაატანთ და არ დაჰსვამთ, ამიტომ რომ თქვენს ჭკვაში უმაწვილი რაც ადრე ფეხს აიდგამს მით უფრო კარგი არისო. როდესაც ძალად ფეხზედ აყენებთ, მაშინ ჩჩვილი ძვლები ვერ იმაგრებენ უმაწვილის სიმძიმეს და ამისაგამო იგრიხებიან.

— აბა რას იტყვით ამაზედ, ქალო?

არაფერს! მიუგო ჩემმა ცოლმა, რაღა მეიქმის — მღვდლისა და ჩემს ქმრის რჩევას მივიღებ.

## XI.

## კონრადის მამა კონრადს უუმაწვილდება.

მე დიდი ხანია რაც დავაჯერე და დავიყოლიე ჩემი ცოლი ამაზედ. რომ მალ-მალ დაეყენებინა უმაწვილი ფეხზედ და დაეწყო იმის გარეშემო სხვა და სხვა სათამაშოები, მაგალითად: ბურთები, სურათები და სხ. ჯერ კონრადი წაიქცეოდა ხოლმე, მაგრამ რბილად, ამიტომ რომ ყოველთვის იდო რამე ლბილი მის ახლო. როდესაც წაიქცეოდა — მაშინვე ავაყენებდით, ამიტომ რომ ერთი ერთი ჩვენგანი ყოველთვის იმასთან იყო; რაკი რამდენჯერმე წაიქცა მერე თითონვე ცოტ-ცოტად ფეხზედ ადგომა ისწავლა. ხან და ხან

ბურთი შორს გაუგორდებოდა ან თითონ გადააგდებდა ხოლმე ასე, რომ არ შაეძლო მიწდომა. მაშინ თითონვე ჰგრძნობდა საჭიროებას, რომ წასულიყო ცოცვით და მოეტანა. მე რომ ვხედავდი იმის მარდად ცოცვასა, ძალიან მიხაროდა. ბევრჯელ მინახავს, რომ ზოგიერთნი მამები წაავლებენ ხელს უმაწვილს და დაჰყავთ მითამ იმ განძრახვით, რომ უმაწვილმა სიარული ისწავლოსო. მე არას დროს არ მამწონდა ეს ღონის-ძიება. ლეკვები განა ვის დაჰყავს, მაგრამ კარგად ისწავლიან კი ხოლმე სიარულსა ნუ თუ მარტო კაცია იმისთანა უგონო, რომ თითონ ვერ ისწავლის სიარულს? ამის გარდა ესეც უნდა ვიფიქროთ, რომ თუ უმაწვილს ძვლები არა აქვს კარგად გამაგრებული და ძალად ატარეს, მაშინ, როგორც ზემოთაა ვსთქვით, არ იქმნება კარგი უმაწვილისათვის, და როდესაც ძვალში ღონე ექმნება უმაწვილსა — მაშინ იმას თითონვე მოუვა სიარულის სურვილი.

ამისაგამო მე ნება მიეცი კონრადს, რომ იმდენი ეცოცა — სანამ არ მოსწყინდებოდა და თითონ მეცა ვცოცამდი იმასთანვე, როდესაც კარგს გუნებაზედ ვიყავ. ეს ძალიან მოსწონდა კონრადსა ასე, რომ ერთი ორად იმატებდა სიმარდესა.

ერთხელ, როდესაც მე და კონრადი დავცოცავდით ოთახში, მღვდელი შემოვიდა და მითხრა: აი ეს არის, რომ იტყვიან უმაწვილს უნდა გაუუმაწვილდესო. ვისაც ჰსურს, რომ უმაწვილები კარგად გაზარდოს, თითონაც უნდა უმაწვილური სახე მიიღოს, გაუმაწვილდეს, თუნდ რომ სიარულს ასწავლიდეს, თუნდ რომ სხვას რასმეს; მაშინ უმაწვილები შაიყვარებენ იმას; უხარიანთ როდესაც ის შამოდის ოთახში და მალეც გაიგებენ ხოლმე იმის დარიგებასა. თუ უმაწვილებს იმათებურად არ მოექეც, რომ მოჰსთხოვოთ, რომ, ჩემოდანობა უნდა გასწიოვო, ჩემოდენა გახდეო მაშინ შასძულდებით მას; სწავლაც უსიამოვნო იქნება იმისათვის, მაშასადამე ძნელიც. მაცხოვარი ამბობს: რომელიც მეორედ არ დაიბადება და ისეთი არ იქმნება, როგორც უმაწვილი — ვერ შავა სამოთხეშიაო. შეიძლება ესეცა ვსთქვათ: თუ თქვენც უმაწვილებისავით არ იქმნებით, ბაშვს

ვერც გაუყმაწვილდებით. ვერც იმათ აღზრდასა მოახერხებთ.

## XII.

## კონრადი სწავლობს სიარულს და ჰგრძნობს პირველ— შობილ ცოდვის განდევნებასა.

ერთი ორი კვირა რომ იცოცა, მერე სცადა კონრადმა— სკამის ფეხზედ ხელის წავლება და ფეხზედ დადგომა,-და მართლ დადგა კიდეცა. უვლიდა გარშამო სტოლსა და იყო დიდს სიამოვნებაში.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ხელიც რომ არაფერზედ მოეკიდნა-დადგებოდა ხოლმე ფეხზედ; ვინიცობაა ატოკებულიყო მაინც არ წაიქცეოდა—ჩაჯდებოდა ხოლმე. ამ რიგად იმან სრულებით ისწავლა ხელფეხის მოხმარება, და როდესაც ჰგრძნობდა, რომ უნდა წაქცეულიყო, ისე მოიქცეოდა, რომ არაფერს არ იტკენდა. ბოლოს ეს ძალიან გამოადგა.

ერთხელ ჩემს სახლში დიდი სიამოვნება იყო. მე ვიჯექ სტოლთან და ჩემის ერთის კვირის შემოსავალსა და გასავალსა ვწერდი; კონრადი კიდე—ცოცვიდა ჩემს გარემემო; ხან და ხან ფეხზედაც დადგებოდა. ერთბაშად მე დავინახე, რომ კონრადმა გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, მერე ჩაჯდა, პატარა ხანს უკან ისევ დადგა ფეხზედ გაიარ გამოიარა და ბოლოს მთელი ოთახი გადაიარა. მე გავეშურე სამზვარეულისაკენ ჩემს ცოლთან, დავუძახე და ვუთხარ, რომ ერთ რასმეს გიჩვენებ მხოლოდ ნურაფერს ნუ იტყვი მეთქი.

ჩემს ცოლს რომ მაღლა ეთქვა რამე, ან გაეცინა, ყმაწვილი შაკრთებოდა.

როდესაც ჩემი ცოლი შამოვიდა ოთახში და ისე აჩვენა, რომ მითამ ყმაწვილს ვერა ჰხედავს, კონრადმა შამოურბინა მთელს ოთახს, ისე გავიხარეთ ამ სიარულზედ როგორც გაიხარებს ხოლმე

ჩიტი, როდესაც დაინახავს რომ იმისი ბარტყები ერთ სახლიდამ მეორეზედ გადაჭფრინდებიან.

ამ დღის შემდეგ კონრადი თან და თან გაიმართა სიარულში, ასე რომ ერთის წლისას შეეძლო ისე ევლო, რომ არ წაქცეულიყო. სხვებს, რომელნიც ჰხედავდნენ ყმაწვილს, არასჯეროდათ თუ ერთის წლისა იყო. ჩემი დისწული, რომელიც ორის წლისა იყო, უფრო ცუდად დადიოდა, გადადიოდა ხან იქით—ხან აქეთ, როგორც იხვი. მაშინ როდესაც იმას ყოველ დღე ჭოჭინითატარებდნენ; როგორ მოხდა ეს?

ერთხელ ჩემი და თავის ქალით ჩვენთან იყვნენ. მე ჩვეულებისა მებრ კონრადს ვეთამაშებოდი, სკამზედ დავჯექ, დაუჭირე ორივე ხელები, დავაყენე ჩემს ფეხებზედ და ვაქანებდი.

ჩემს დისწულს მოეწონა ეს ამბავი, გამამიწოდა ხელები და იმითი მაჩვენებდა, რომ მეც გამაქანო. კონრადი ჩამოვსვი და ჩემი დისწული დავიყენე ფეხებზედ. მაგრამ ეს კონრადს არ მოეწონა; დაიწყო ყვირილი, გაწითლდა, როგორც ალუბალი, წაავლო ხელი ქალსა და უნდოდა რომ ჩამოეგდო. ეს ძალიან მეწყინა მე; არ ვიცოდი რა მექმნა. გაჯავრებული გამოვარდი მეორე ოთახში დავჯექი სტოლთან და ხელზედ დავეყრდე.

აქამდინ ვფიქრობდი მე, და ვეუბნებოდი ჩემს თავს შენ კონრადით ხარობდი, ამიტომ რომ ის ყოველთვის მრთელი და ჭკვიანი იყო. მაგრამ რაღა იქმნება ამის შემდეგ, თუ ის შურიანი გახდება და იჯავრებს მაშინ, როდესაც იმისი მოყვასი ხარობს. მართლა თუ ასე იქმნება,-იმას თავის დღეში ვერ მოიმადრიელებ. რა ვქმნა? ვცემო—შამიძულებს; არ შავხედო იმის ყვირილს და ავიყვანო ქალი—უფრო ჯავრობას დაიწყებს. წამოვხტი სკამიდამ დ დავიწყე წინ და უკან სიარული ოთახში. ერთბაშად ერთი საკვირველი აზრი მამივიდა ჭკვაში. მაშინვე გაველი სხვა ოთახში—აუსრულებლად. სიმღერით დავჯექ სკამზედ, დავიწყე აწევა და დაწევა ფეხისა. კონრადი მაშინვე მოვარდა და დამადგა ფეხებზედ, ქალი ნაღვლიანად ჩვენს თამაშობას შორიდამ უყურებდა.

საწყალი დუნია! ვსთქვი მე ნაღვლიანის ხმით, იმასაც უნდა გაქანება. კონრადო, არ გაუშვებ დუნიაშას? კონრადი ჩამოვიდა და დუნიამ იმისი ადგილი დაიჭირა. როდესაც რამდენჯერმე გავაქანე— ჩამოვიდა დუნია და ისევ კონრადი დადგა, ორჯელ რომ გავაქანე- მაშინვე ჩამოხტა,-მიუშვირა ხელი ჯერე დუნიას, მერე ჩემს ფეხს და სთქვა: ნუ, ნუ! მაშინვე დავაყენე ქალი, მაგრამ მალე ჩამოვსვი. დიდათ ხარობდა კონრადი, როდესაც ვაქანებდი, მაგრამ მომატებული სიამოვნება და მხიარულება უფრო მაშინა ჰქონდა, როდესაც დაინახა, რომ დუნიაც მხიარულად იყო.

ერთხელ, ორჯერ რომ გავაქანებდი — მაშინვე ჩამოხტებოდა მიიშვერდა ქალისაკენ ხელსა და მეტყოდა: ნუ! მაშინვე დუნიასაც გავაქანებდი.

ეს ჩვენი თამაშობა ნახევარ საათამდინ გაგრძელდა და მე სრულიად ვხარობდი, რომ იმთკენი შავიძელ და გაუქრე პირველი შურის მოძრაობა. ამის შემდეგ ვთხოვე ჩემს დასა, რომ ყოველდღე გამოეგზავნა ჩვენთან დუნია, როდესაც კონრადი ყვირილს დაიწყებდა, დუნიაშა რომ იმის სათამაშოს აიღებდა ხოლმე, მე მაში ვე მწუხარებისხმით ვეუბნებოდი: საწყალი დუნია! — ამ სიტყვების შემდეგ კონრადი ყოველთვის თავის სათამაშოებს იმას დაუთმობდა ხოლმე.

მე ეხლაცა დავხარი იმ საკვირველს აზრსა: მე ვიცი, რომ იმითი მე ვასწავლე ჩემს კონრადს — გამხიარულებულიყო მაშინ, როდესაც იმისი მოყვასნი მხიარულობენ. ამ გზაზედ დავაყენე და უფრო და უფრო წინ წავიყვანე ჩემი კონრადი და სიხარულით ავივსებოდი, როდესაც თავის საჭმელს დუნიასაც გაუყოფდა ხოლმე.

რასაკვირველია იმაზედაც თვალს ვადევნებდი, რომ დუნიას მომატებული არა ეთხოვნა რა და იმასაც თავის რიგზედ კონრადისათვის ყველა ფერში წილი დაედო.

როდესაც ეს ამბავი ჩვენს მღვდელს ვუამბე,—ძალიან მამიწონა და მითხრა: თქვენ, კიფერო, ძალიან კარგად დაგიჭერიათ საქმე. თუ მაგრე მალე არ მოგერჩინათ თქვენი შვილი, ის უეჭველად შურიანი და ანჩხლი კაცი გახდებოდა, ამასაგამო ბევრს უსია-

მოვნობასაც ჰნახავდა. თქვენ დაიწყებდით ჩივილს და პირველ-შობილს ცოდვას დააბრალებდით. აბა ეს სამართალი იქნებოდა? მაშინ სულ თქვენი ბრალი იქმნებოდა. დიახ, პირველ-შობილი ცოდვა არის: მიდრეკილება ცუდისადმი და უკუქცევა კეთილისან; მაგრამ ეს ცოდვა უფრო დედ-მამისაგან და აღზრდისაგან წარმოდგება, ვიდრე დაბადებითვე.

## XIII.

### ლაპარაკი კონრადის და იმის მამის შუა

კონრადს წელიწად ნახევარი შეუსრულდა; იყო ჯან მრთელი, გონიერი და ისე დარბოდა, რომ ყველას უკვირდათ. მაგრამ ლაპარაკი ჯერ არ დაეწყო; მხოლოდ მიჰბაძავდა ხოლმე პირუტყვების ხმას. მუ! ჰნიშნავდა ფურსა, ბეე!—ცხვარსა, ამ, ამ!—ძაღლსა, მიაუ—კატასა, ყიყლიყო—მამალსა, ღუღუ-მტრედსა. ჩემი ცოლი გაჯავრდებოდა ხოლმე ამაზედ და ამბობდა: ეს საძაგელი მგონია თავის დღეში ველარ ისწავლის ლაპარაკს; მაგრამ მე ყოველთვის ვეუბნებოდი: მოითმინე, როგორც თითონ სირბილი ისწავლა, ისევე ლაპარაკსაც თითონ ისწავლის. დაეხსენ დაიწყოს კი, თორემ მერე კარგად წავა საქმე.

ერთხელ მე სხვაგან წაველი ცხენის სასყიდლად: სამი დღე შამიგვიანდა. როდესაც მოველი შინა და ოთახში შაველ, ყმაწვილმა ისეთ ნაირად გაიხარა, რომ მაშინვე გამოიქცა ჩემთან მოსაგებებლად და დაიძახა: მამა! მამა! (Попа! Попа!) ამან რასაკვირველია ჩვენ გაგვახარა. ავიყვანე ხელში და ვაკოცე, დედამ ხომ ველარ გაათავა თავისი ლაქუცი და ალერსი. ამის შემდეგ ყოველს ნივთს თავის სახელს ეძახოდა, მაგრამ სწორე გამოთქმა კი ჯერ არა ჰქონდა ისე ლამაზად ლაპარაკობდა, რომ ვერ ვითმენდით მე და ჩემი ცოლი, რომ არ აგვეყვანა ხელში და არ გვეკოცნა.

მე ვფიქრობდი რომ ამ შემთხვევაში ცუდად ვექცეოდი ჩემს

შვილს, ჩვენმა მღვდელმაც მითხრა, რომ მომატებული ლაქუცობა ცუდი არისო. ერთხელ მღვდელი, ჩვენთან სადილად რომ იყო, ჩემს ცოლს ყმაწვილი ხელში ეჭირა; ჩემი ცოლი შასცინოდა და მალ-მალ ჰკოცნიდა ყმაწვილს, რაკი ის წარმოსთქვამდა რასმეს; თქვენ მაგას ცუდათა ჰშურებით, უთხრა მღვდელმა. ეხლა თქვენ ყოველი ყმაწვილის მოქმედება გიკვირთ და ამისა გამო ჰკოცნით და ელაქუცებით. მაგიოი ყმაწვილი აი რას დაეჩვევა: როდესაც გააკეთებს რასმეს,-გაკვირვების და ლაქუცობის იმედი ექნება; და თუ ბოლოს არ ულაქუცეთ და არ გაიკვირვეთ იმისი მოქმედება, მაშინ ის შაგიძულებთ და დაღრუბლულის სახით იქმნება. ამისაგამო მე ურჩევ ყველა მშობლებს ნუ ელაქუცებიან ძალიან თავიანთ შვილებს, და ნურაფერს იმათ მოქმედებას ნუ გაიკვირვებენ.

ამის შემდეგ ჩვენი ლაქუცობა და კოცნა—ცოტად დავაყენეთ, მაგრამ ამ სიამოვნებას სრულებით თავი კი ვერ დავანებეთ. ამ სიამოვნებას მე მგონია-სრულებით თავის დანებებაც არ უნდოდეს. თუ კი შვილი ჭკვიანი, და ჩემი მასიამოვნებელი მყავს—მითამ რატომ არ უნდა ვაკოცო; ეს არაფრით არ წაახდენს ყმაწვილს, მხოლოდ ნუ გადაამატებ.

მართალია, კონრადი მხოლოდ რამდენსამე სიტყვას ამბობდა და ამასაც ისე, რომ მშობლების მეტი—სხვები ვერ გაიგებდნენ, მაგრამ მე კი შემეძლო იმასთან ლაპარაკი ყოველის ფერზედ და დიდათაც მიხაროდა, როდესაც ვატყობდი რომ ყმაწვილს ესმოდ ჩემი სიტყვები და თითონაც თავის აზრს გამოსთქვამდა ხოლმე. ბევრნი, რომელნიც ყურს უგდებდნენ ჩვენს ლაპარაკს, დაგვცინოდნენ და ამბობდნენ რომ ეს სიყმაწვილეაო სისულელეაო; მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ამ ლაპარაკებს დიდი სარგებლობა მოჰქონდათ და არავის არ ვუგდებდი ყურს. აი ერთს მაგალითს მოვიყვან აქა.

კონრადს ეს ხისიათი ჰქონდა, რომ რაკი ვახშამს გაათავებდა მაშინვე დაიძინებდა ხოლმე. მე არ უშლიდი ამას, ამიტომ რომ აგებულება მაშინ მოითხოვდა ძილსა, და მაშ რა უნდა ექმნა. მაგრამ ხან და ხან ისე მოხდებოდა, რომ კონრადი მაშინ გაიღვიძებ-

და—როდესაც უფროსები დააპირებდნენ ძილსა, დაიწყებდა ყვირილს, ლაპარაკს, ხან გამოძვრებოდა—ხან შაძვრებოდა თავის საწოლში, ასე რომ მშობლები ვერ ისვენებდნენ.

რა უნდა გვექმნა? მე არა ვიცოდი რა,—ჩემს ცოლს უფრო რა ეცოდინებოდა. მე ჩუმად ვფიქრობდი, რომ მომეხერხებინა რამე. ჩემი ცოლი კი იმ ღონის-ძიებასა ხმარობდა, რომლებსაც ხმარობენ ყველა დედები, როცა შვილის დაძინება უნდათ. აიყვანდა ხოლმე ხელში, ნელ-ნელა უსვამდა ხელს ტანზედ ამ ხმითა: პშშ, პშშ!—მაგრამ ეს არა ფერსა ჰშველოდა. კონრადი სცდილობდა რომ გამოსხლტომოდა ხელებიდამ—და როდესაც დედა არ უშვებდა, დაიწყებდა ხოლმე ყვირილს. დედამ ვეღარ მოუთმინა, გაუჯავრდა და უთხრა: კონრად! დაწექ და დაიძინე,-თორემ გცემ.

აქ კი ჩემი გარევის დრო იყო. მე ავდექ და ვუთხარ! ჩემო მეგობარო! შენ რომ არ გეძინებოდეს და იმისათვის ცემა დაგიპირონ,-როგორ მოგეწონებოდა ეს? აქ მამეცი ეგ ყმაწვილი, მე მოვახერხებ საქმეს.

იმან მამცა ყმაწვილი, მაგრამ ჯერ არ ვიცოდი რა მექმნა. ჯერ დავაპირე სურათებიანი წიგნის მოტანა—იმის საჩვენებლად; მაგრამ ვიფიქრე: ერთხელ რომ ასე დავაჩვიო, მერმეც ყოველთვის მაითხოვს, მაშინ როდისაც სხვებს ეძინებათ, და მოსვენება აღარ გვექნება მეთქი. ჩემს ბედზედ ამ გაჭირებაში ერთი ფიქრი მამივიდა. კონრაშა! ვუთხარ მე, არ გინდა რომ გიამბო რამე? იმან მანიშნა ყურის გდების სურვილი. მაშ წავიდეთ ჩემ ქვეშაგებში; იქ გიამბობ. მე ჩავისვი ჩემს ქვეშაგებში და დავუწყე შემდეგი ლაპარაკი:

მე.—ეხლა სუყველასა სძინავთ, მამლებსაცა სძინავთ, ქათმებსაც. მტრედებსაც.

კონრადი—ღორი?

მე—ღორსაცა სძინავს, ძაღლსაც

კ.—დედა?

მე.—დედასაც სძინავს, კონრაშაც დაიძინებს, მამაც ხვალ კი გეტყვით: კონრაშა! გინდა გარეთ წაგიყვანო?

კ.—კაში. (კარში).

მე.—დიახ კარზედ გავალთ, ქათმებთან.

კ.—ბუზი?

მე.—დიახ, ბუზებსაც დავიჭერთ და წავიყვანთ. . , .

კ.—მამალი.

მე—დიახ მამალი მოვა დაიყვირებს: ყიყლიყო! ქათმები შეგროვდებიან და ბუზებს შაშჭამენ.

კ.—მტრ.

მე.—დიახ, მტრედებთანაც წავალთ.

კ. ფ.

მე.—დიახ, ფეტვს თან წავიღებთ; კონრადი გადაჰყრის ეზოში, მტრედები მოცვივდებიან და შასჭამენ.

კ.—ღუ, ღუ!

მე.—დიახ, მაგრე ამბობენ მტრედები.

კ.—შა.

მე.—შავკა! (*) ჰო, რა ნაირად გაუხარდება როცა ჩვენ დაგვინახავს.

კ,—ამ, ამ!

მე—დიახ, მაგრე დაიყეფება.

კ.—პურა.

მე.—ჰო, დიახ, პურს აჭმევ მას?

კ.—დედა.

მე.—დედა პურს მოქცემს, კონრამა შავკას მისცემს; შავკას გაუხარდება და კუდს გაიქნევს.

ამ ნაირად თან და თან ამოთ ამოთ ველაპარაკებოდი; ამ ლაპარაკში თვალებიც დაეხუჭა. მე ვაკოცე გაწითლებულ ლოყებში და ორივემ დავიძინეთ. ასე მოვექცეოდი ხოლმე ყოველთვის როდესაც არ ეძინებოდა და ყოველთვის საქმე კარგად დაბოლოვდებოდა ხოლმე: ამასობაში მე დავრწმუნდი, რომ ყმაწვილებთან ლაპარაკის მოხერხება კ რგი რამ არის.

---

(*) შავკა—ძაღლის სახელი.

როგორ მოგწონს ჩემი ღონის-ძიება ყმაწვილების დასაძინავად? ვკითხე ჩემს ცოლს. არ არის ურიგო, მითხრა იმან, მე დიდი მადლობელი ვარ შენი, ამიტომ რომ ღამე,—ყმაწვილი რომ არ მაწუხებს, კარგათა მძინავს ხოლმე.

ნეტავი ესეც მოახერხო, რომ თითონ თავის ხელით დაიბანოს ხოლმე პირი. აი ეს რამდენიმე კვირაა ხელები დამაწყდა იმის ბანებით. როგორც რომ დაინახავს ხოლმე რომ ცივი წყალი მომაქვს—მოჰყვება ერთ ნაირს ყვირილს, ასე გონია გაგიჟებულიყოს.

ეხლავე ვერ მოვახერხებ მაგას და მერე კი ვეცდები, იქნება მოვიგონო რამე, რომ თითონ თავის ხელით დაიბანოს პირიც ან ტანიც,

## XIV.

### კეთილი მაგალითი.

რამდენსამე დღის შემდეგ—მართლა და რაღაც რამ მოვიგონე. მე დიდი ხანია ჩვეულებათა მქონდა, რომ ყოველთვის ცივს წყალში მებანა. რამდენჯერმე ვუბძანე, რომ ცივი წყალი ჩემს ოთახში შემოეტანათ; შავიდოდი, დავკეტამდი კარებს და მივყვებოდი ბანაობას: ჯერ თავს დავიბანდი, მერე კისერს და მთელს ტანს. ერთხელ, როდესაც ასე ვბანაობდი, კონრადი თანა მყვანდა; მინდოდა რომ ენახა ჩემი ბანაობა. რა გავათავე ვუთხარ: აი, გავათავე. შენკი არ გინდა კონრად ბანაობა?

—ჭყუპ, ჭყუპ, მამიგო მან.

—კარგი, ვსთქვი მე, კონრადი იბანებს, გავხადე ტანთ, ჲ ისე გავბანე,-როგორც მე. როდესაც ბანაობა გავათავეთ, ტანთ ჩავაცვი, მოვკიდე ხელი და ვუთხარ: ეხლა დედასთან წავიდეთ და ჩვენი ბანება ვუამბოთ.

აი კონრადი მოგგვარე, ვუთხარ ჩემს ცოლს: მე და ამან ერთად ვიბანეთ.

— ჭყუპ, ჭყუპ, იძახდა კონრადი, დედამ მოჰხვია ხელი და უთხრა:

— იბანე ქაჯან? აი ეხლა ჭკვიანი ხარ!

მეორედ რომ წაველ საბანებლად ვკითხე კონრადს: წამოხვალ საბანებლად? იმან მაშინვე გადაყარა სათამაშოები, გამამიშვირა ხელები და მითხრა: ჭყუპ! ჭყუპ!

ხუმრობით შავედით ოთახში. ბანაობა თუმცა გაათავა, მაგრამ კიდევ იჯდა ტაშტში და ჭყუპალაობდა, მერე გამოყო ფეხი ტაშტიდამ და რა დამინახა, რომ მე ვიცინოდი ისევ ჩაჯდა და დაიწყო კიდევ ბანაობა.

ყმაწვილს შაუყვარდა ბანაობა და ცივს წყალსა რულებით შაეჩვივა; როცა კარგად მოიზარდა ერთად ვბანაობდით მდინარეში. იმის ჯან მრთელობას და ტანის სიმაგრეს — ამ მალ-მალ ბანაობას ვაწერ. როდესაც კაცი მალ-მალ ბანაობს ცივს წყალში ტანი ეწმინდება და ძარღვები (нервы) უმაგრდება და თუ მოხდება ხოლმე როდისმე, რომ წვიმამ დაასველოს — ვერა ფერს ვერ დააკლებს, ამიტომ რომ ტანი გამაგრებული ექმნება.

ჩვენს ბანობაზედ — ჩვენს მღვდელსაც ვუთხარ; იმასაც ძალიან მამიწონა. უპირველესი საქმე აღზდაში, დაუმატა მან, ეს არის, რომ თითონ მშობლებმაც ის გააკეთონ — რასაც თავის შვილს მოსთხოვენ. ვისაც ამისი გაკეთება შეუძლიან, თავის შვილს საცა უნდა წაიყვანს. მაგალითი უფრო კარგად მოქმედობს, მინამ დარიგებაები.

შემდეგ რამდენჯერმე დავრწმუნდი ამ სიტყვების სიმართლეზედ. მაგალითად: კონრადი ორის წლისა რომ იყო, ერთხელ თავის ტკივილს უჩიოდა და ისრესდა თვალებს. მაშინ მეზობლობაში წითელა დადიოდა, და ვფიქრობდი, რომ უთუოდ ამასაც შაეყრება მეთქი. დოკტორი მოვიპატიჟე. იმანაც მითხრა, რომ წითელა გისშირებული არისო, მაგრამ დამაიმედეულა რომ საშიშარი არ არის ეგ ავანტყოფობაო, მხოლოდ ჭაერს მოარიდეთ ხოლმეო. ჭაერი კარგი რამ არის, მაგრამ იმ ყმაწვილებისათვის, რომელთაც წითელა სჭირთ-

არაფერია. რომელსაც წითელა სჭირს—უნდა მოარიდოთ ხოლმე წმინდა ჰაერს და სიცივეს—არა თუ მაშინ, როდესაც ავად არის—მერეც, სანამ სამჯერ სასაქმებელს არ დაჰლევს. დოკტორმა რამდენიმე დარიგება მამცა, რომლებიც სრულად აღვასრულე. ეს აღსრულება მამაჩემისაგან ვისწავლე, რომელიც ყოველთვის იტყოდა ხოლმე: თუ მე ანუ ჩემი შინაურობა ავად არიან, მაშინ ან მამინდებს დოკტორი და ან არა; თუ არ მამინდა მე ჩემის ჭკვით ვირჯები; და თუ მანინდა—მაშინ სწორედ აღვასრულებ დოკტორის რჩევას და დარიგებაებას.

როდესაც კონრადი კარგად შეიქმნა და წითელა გადაუვიდა, მაშინ დოკტორმა სასაქმებელი წამალი გამოუგზავნა.

მე დოკტორის დარიგებით წამალი წყალში გაურივე და მინდოდა დამელევინებინა. მაგრამ როგორც რომ პირთან მიუტანე—მომიბრუნა ზურგი და სთქვა: არ მინდა! მე ვეხვეწებოდი, რომ დაელია, მაგრამ ის სულ არ მინდას იძახდა მე დავპირდი, რომ სურათებიან წიგნს გიჩვენებ მეთქი, გარეთ წაგიყვან, მაგრამ ვერა გავაწყე რა. გავჯავრდი და მინდოდა ძალად დამელევინებინა; მაგრამ პატარა დაფიქრების შემდეგ აღარა ვქენ ესა. თუ დალევა არ გინდა, დიახ ნუ მიირთმევ, ვუთხარი მე და გადავღვარე წამალი.

ავიღე ქუდი ხელში და წაველი დოკტორთან—სხვა სასაქმებულის გამოსართმევად და რჩევისათვის. მაგრამ ჯერ დოკტორის კარებამდინ არ მივსულიყავ, რომ მღვდლის სიტყვები მამაგონდა: მაგალითს უფრო მეტი მოქმედება აქვს ყმაწვილზედაო, სანამ დარიგებაებსა. ვიფიქრე იქნება აქაც მაგალითით უფრო მოვახერხო, მინამ თხოვნითა მეთქი და დავბრუნდი შინ. მეორე დღეს დუნია მოვაყვანინე და პირობა შევკარი ჩემს ცოლთან,—თუ როგორ დამეწყო ეს საქმე. შემოიტანეს ჩაის იარაღი და მე მაღლის ხმით, ისე რომ კონრადს შეეძლო გაეგონა, ვთქვი: დღეს მე წამალს მივიღებ. მერე დავასხი კოვზზედ წყალი, გაურიე ცოტა შაქარი, რომელიც პატარა ქაღალდში იყო გახვეული, მივიღე და მერე ჩაი დავლიე. ჩემმა ცოლმაც ისე ჰქმნა. ჯერი დუნიაზედ ჩამოვარდა; ი-

მანაც ასე დალია. მაგრამ მინამ წყალს ჩაჰყლაპამდა—მიჰვარდა კონრადი და სთქვ: შეცა! იმასა სასაქმებელი წამალი მიეცით; სიხარულით გადაჰყლაპა.—ამ ნაირად, მაგალითიდ, მე სხვასაც ბევრს ვახერხებდი.

წელიწად ნახევრისა იყო, მაგრამ როდესაც გარეთ გასვლა მოუნდებოდა ხოლმე არ შეგვატყობინებდა. ეს ძალიან მაწუხებდა. ხანდისხან მე და ჩემი ცოლი პურსა ვჭამდით და კონრადი გვერდით რომ გვეყვანდა ისეთი სუნი ასტყდებოდა ხოლმე, რომ საჭმლისათვის თავი უნდა დაგვენებებინა. ერთხელ დედა ჩემიც ამ ნაირად შეაქცია კონრადმა, ის გაუჯავრდა და უთხრა:

არა გრცხვენიან, საძაგელო! გარედ ვერ წახვიდოდი? ხელიც აიქნია უნდა გაერტყა, მაგრამ მე ვანიშნე, რომ თავი დაენებებინა. ყმაწვილმა დაიწყო საცოდავად ტირილი, ძალიან შემეცოდა. მე უეჭველად გავამართლებდი, თუ ჩემს გულს არ ეთქვა, რომ ცუდის დამნაშავის გამართლება.

როდესაც დედა ჩემი გამოვიდა, მე გავყევ უკან და ვუთხარ, რომ ყმაწვილი დამნაშავე არ არის, ამიტომ ჯერ არ მისწავლებია გარედ გასვლა.

—შენ ხომ ჭკვა გაქვს, მითხრა იმან, მაგის ნება როგორ უნდა მისცე. . . .

—დედა ჩემო, მივუგე მე, ნება მიბოძეთ, რომ მე ჩემი ნება მქონდეს. როდესაც ყმაწვილი პატარა ჭკვაზედ მოვა, მაგ შეცოდებას თითონვე გადაეჩვევა.

—დიახ, როგორ არა! დაიძახა იმან; მალ მალ როზგით უნდა სცემო ხოლმე და მაშინ უფრო ფაქიზად იქმნება.

—როზგით? დედა ჩემო, აბა რისთვის უნდა გავლახოთ ყმაწვილი? ის ურიგოს არაფერსა ჰშვრება! ის მხოლოდ იმასა ჰშვრება, რასაც ბუნება მოითხოვს.

დედა ჩემს კიდე უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ მე გავათავე ლაპარაკი და საფურეში წაველი.

მაგრამ მე ერთი ფიქრი მაწუხებდა, იქნება დედა ჩემი მართალს ამბობდეს მეთქი. დარწმუნებისათვის, მე წაველი მღვდელთან და ეს შემთხვევა ვუამბე.

იმან გაიღიმა და მითხრა: მე ძალიან მოხარული ვარ, უფ. კიფერ, რომ თქვენ სწორე გზაზედ მისდიხართ. სწორე მოგახსენო არ მამწონს, ყმაწვილების აღზდაში, როზგის ხმარება. მგონია მეძებრის და ყმაწვილის აღზდაში ცოტა რამ განსხვავება უნდა იყოს. ძაღლს ჯოხებით ზდიან, კაცს კი კარგის მაგალითებით, სიყვარულით და გონიერულის ჩაგონებით.

მართალია საღვთო წერილში არის ადგილები, სადაც პირდაპირ ხსენებულია, რომ ყმაწვილებს უნდა ჰსცემონო და გადასტეხონ, მინამ ჯერ კიდევ პატარები არიანო, მაგრამ ამის დამწერნი სხვა დროების მცხოვრებნი არიან, იმ დროებისა, როცა ჯერ კიდევ ისე კარგად და ღრმად არა იყო გაშინჯული აღზრდის საქმე, როგორც ეხლა. ჩვენი ეხლანდელი გამზდელები სრულიად უარ-ჰყოფენ ცემასა. თუ კარგად ჩაფიქრდა კაცი, უსათუოდ შეიძლება მოიპოვოს იმისთანა ღონის-ძიება რომ ყმაწვილი კაი გზაზედ წაიყვანოს უჯოხოთაც და არ მოეპყრას კი როგორც ძაღლსა. მხოლოდ ყმაწვილის დაყინებაში და გაჯიუტებაში შეიძლება ხანდისხან ცემა იხმაროს ღონის-ძიებად. თუ მართლა საჭიროა, რომ ამ ღონის-ძიებას მიმართოს კაცმა, მაშინ უნდა ეცადნენ, დასჯა ისეთი იყოს, რომ ბაშვმა იგრძნოს ვინც გაუწყვეტლად ჰსცემს, ის ამით გვაჩვენებს, რომ არ იცის როგორ მოექცეს ყმაწვილსა. მართალია, კაცს უფრო ადვილება ცემით ყმაწვილის გამართვა, ვიდრე სიმშვიდითა და დარიგებითა, ამისაგამო ბევრნი მშობელნი და შკოლები ძალიან იმედეულობენ ცემაზედ, და თითქმის თავის დღეში არ შეუძლიანთ ყმაწვილებ შორის ყოფნა უჯოხოთა და უროზგოთა.

მაგრამ . . . მაგრამ. . . რასაც ისინი ერთის მხრით ასწორებენ, მეორეს მხრით ამრუდებენ და აფუჭებენ. როცა მე ჯერ კიდევ კანდიდატი ვიყავ, მე ორ ყმაწვილს ვასწავლიდი, ივანესა და პეტრესა. ორავეს არ ვიცი რისგან გაუჩნდა ქავანა. მამამ ექიმი დაიბარა; ე-

ქიმმა ურჩივა რომ მოთმინებით იყვნენ და ტანი წმინდათ შეენახათ. მერე წამალიც დაუწერა. ერთი კვირა იხმარეს წამალი, ვერაფერი არგო—კიდევ ერთი კვირაცა—მაინც ისე ურცებელად დარჩნენ. ექიმმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს ქავანის მორჩენა, თქვა მოახლემა. მე თუ დამიჯერებთ ერთ დღე და ღამეში მოგარჩენთ. მე დავუშალე ყმაწვილებს რომ მოახლისაგან წამალი არ მიეღოთ. ივანემ დამიჯერა, პეტრემ რაღაც წასასმელი მოახლისაგან მოცემული გაისვლისა და მეორეს დღესვე კარგად შეიქმნა. მაგრამ სნეულობა გულზედ ეცა და სული შეუხუთა. დიდ ხანს სწამლობდნენ საწყალსა; იმან ბევრი წამლით ბოთლები გამოცალა—მაგრამ აქამდისინ ძლივსღა ქშინავს, სულს ძლივს იბრუნებს, როგორც ჩასუქებული ბატი; ძალიან უჭირდება, როცა ის მთაზედ ადის. ივანემ კი ექიმის წამალი იხმარა. ის წამალი მოქმედობდა თუმცა წყნარად მაგრამ კარგად კი. სამ თვის შემდეგ სრულიად გადურჩა ქავანსა.

რაც ქავანაზედ მოხდა, სწორედ ის მოხდება ხოლმე ყმაწვილების ნაკლულოვანებაზედა. ცემით შეიძლება მალე გადაარჩინოს ნაკლულოვანებისაგან ბაშვი, მაგრამ ის ნაკლულოვანება მაშინვე გულს ეცემა ხოლმე. ყმაწვილები შეიძულებენ ხოლმე მცემელსა, გულ-დახურულნი შეიქმნებიან, ეჩვევიან სიცრუესა, მოტყუებასა და სხ. და სხ. ამისთანა ზნეობითნი შინაგანი ნაკლულოვანებანი, ჩემს თვალში, უფრო ძლიერნი და საშიშარნი არიან მინამ გარეგანნი. თუ კი გამზდელი ყმაწვილების ნდომას და სიყვარულს დაჰკარგავს, მაშინ საქმე ნახევრამდის გაფუჭებულია.

## XVII.

## კონრადის დროების გატარება ზამთარში.

დადგა ზამთარი, მაგრამ ხშირად არ ვიცოდი, რით გამერთვა ყმაწვილი. სულ რომ ოთახში ყოფილიყო, არვარგოდა, ამიტომ რომ განებივრდებოდა, გარეთ რო გამოვიყვანდით მოჰხვდე-

ბოდა სიცივე და დაიწყებდა ყვირილს. ეხლა ამაზედ დავფიქრდი, თუ როგორ შავაჩვიო სიცივეს. რამდენჯერმე დღეში წავიყვანდი თავლაში. აქ ნახევარ საათამდის დარჩებოდა ხოლმე, მაგრამ მერე სიცივე რომ მოჰხვდებოდა დაიწყებდა ყვირილს და იტყოდა: დედაო! ეს ჰნიშნავდა რომ დედასთან წამიყვანეო. წავიყვანდი ოთახში. ახლა მინდოდა გამეხსნა ხალისი, რომ მარხილით ევლო; ამისაგამო ერთს დღეს წავიყვანე, სადაც ბიჭები იყვნენ შეგროვებულნი და მარხილით დასცურავდნენ. ბიჭები რასაკვირველია მხიარულათ იყვნენ: დახტოდნენ, ყვიროდნენ და ცურავდნენ, — კონრადი იმათის ყურებით სიამოვნებდა. ჩვენკი არ გვინდა ცურვა მარხილით? ვკითხე მე კონრადს. იმან გამიცინა და დამეთანხმა. ჩავსვი მარხილში და აქამდის ვატარე, სანამ არ მითხრა: დედაო! ოთახში შევაქცევდი — ხან ერთის რითიმე ხან მეორით, თუ შევაქცევდი რითიმე მხიარულათ იყო თუ არა და — მოჰყვებოდა ჭინჭულიანობას მე მგონია რომელსაც ეს მოხერხება აქვს, რომ შეუძლიან შეაქციოს თავისი შვილი, ეს ცოტა შეუწუხებასა ჰნახავს იმისაგან. გიამბობთ მაგალითად, თუ რით შევაქცევდი ხოლმე კონრადს. მე აუხსნიდი ხოლმე სურათებს.

ამაზედ დიდი მადლობელი იყო. მხოლოდ ეს იყო ძნელი, როდესაც იმას უხსნიდი რასმეს, მე არ შამეძლო რომ გამეკეთებინა რამე. რა მექმნა? ხელში მიველი წიგნი; მაგრამ ამითი ვერა გავაწყე რა. პირველი ესა, რომ მაშინვე დაჰგლეჯდა წიგნსა, მეორე კიდე, რომ მალ მალ წამოხტებოდა, მივიდოდა ვისთანმე და სთხოვდა რომ აეხსნა; თუ პასუხს არ მისცემდნენ ყვირილს მოჰყვებოდა. მე სხვა ფიქრი მომივიდა. კონრად, ერთხელ უთხარი, არ გინდა შავკა დაგიხატო? იმან გაიცინა და სთქვა: შავ, შავ! დავისვი მუხლებზედ, დავიდე წინ ერთი თაბახი ქაღალდი და დავხატე რაღაც რამ შავკას მზგავსი. სიხარულისაგან არ იცოდა რა ექმნა. მაშინვე აიღო ქაღალდი, რის იმედიცა მქონდა, დაიდო წინ და დაუწყო ბღაჯნა; მიბღაჯ მობღაჯნა მერე ჩამოუარა ყველას და აჩვენებდა, რომ შავკა არისო. მაგრამ ამ ხუმრობით — დიდი ხათაბალა გავიხადე.

ყოველს წამს თხოულობდა მელანს; არ მიგვეცა ყვირილს დაიწყებდა—მიგვეცა და—სულ გაითხუპნიდა პირსა და ტანისამოსს; ამაზედ—ცოლი მიჯავრდებოდა. მაგრამ ჩემი შეცდომა მალე გავასწორე,.მელნის მაგიერ,-მივეცი ერთი დიდი კარანდაში, ამითი რამთვენიც უნდა ჯღხაზნა არა უშავდა რა. მერე ბურთიც უყიდე. ამ ნაირად მე და ჩემმა ცოლმა უშოვეთ სხვა და სხვა სათამაშოები, რომლითაც შაექცეოდა და სიამოვნით ატარებდა დროებას. მაგალითად: უშოვეთ პატარა დროშები, ქაღალდის ცხენები და სხვა ოღონდ მშობლებმა იფიქრონ ცოტა, თორემ სხვა ღონის-ძიებათსაც ბევრს იპოვნიან, რომ ყმაწვილი შეაქციონ.

ყმაწვილებს რასაკვირველია ჯერ დაარსებული არა აქვთ ხასიათი და მალე მოსწყინდებათ სათამაშოები, გადაჭყრიან იქით აქეთ, დაიწყებენ ტირილს და ნაღვლობას; ამ შემთხვევაში არ უნდა მისცეთ ადრინდელი სათამაშოები და არც ძალა დაატანოთ, რომ მხოლოდ იმითი ითამაშონ. პირველათ მე ასე უშვრებოდი კონრადს, მაგრამ მერე რომ დავატყე რო არა გამოდიოდა რა—გამოუცვლიდი ხოლმე სათამაშოებს.

ხან და ხან ეხეც არაფერს ჭმუელოდა. მაგალითად,—აიღებდა უსიამოვნოთ ბურთსა, გადააგდებდა, დაიწყებდა თვალების ფშვნეტას და ამთქნარებდა. მაშინ შავატყობდი, რომ ძილი უნდოდა და დავაწვენდი ქვეშაგებში. ხან და ხან დაიწყებდა ტრიალს და ტირილს რა მექმნა? ავიღებდი ქაღალდის ცხენსა და ვეტყოდი: კონრად! ცხენს ეძინება, წადი დააწვინე ქვეშაგებში—დაიძინოს. წაიღებდა,—დააწვენდა ქვეშაგებში, თითონც გვერთ მოუწვებოდა და დაეძინებოდა.

ამ გვარ მოტყუებით—დავამშვიდებდი ხოლმე ყმაწვილს და ასე მეგონა მითამ კარგსა ვშვრებოდი. მაგრამ ერთხელ ჩემი დისწული მოვიდა ჩვენთან და სრულებით მამიშალა სიხარული. როდესაც ერთხელ ცხენის მოტყუებით კონრადი დავაძინე, შამიბრუნდა ისა და მითხრა: ეჰ, ბიძაჩემო! თქვენ ძალიან ცუდათ მიგყავთ საქმე! ყმაწვილს თავის მამასთან სრულიადი ნდობა უნდა ჰქონდეს. და ვისაც უნდა, რომ იმასთან ნდობა ჰქონდეთ,—იმან ტყუილები

არ უნდა სთქვას. თქვენ ეუბნებით, რომ ქაღალდის ცხენს ეძინე-ბაო, განა ეს მართალია? როდესაც ყმაწვილი გაიზრდება და შეიტ-ყობს რომ ატყუებდით, — მითამ ის გენდოთლა თუ?

მე დავაღე პირი და არ ვიცოდი რა მეთქვა. წაველი მღვდელ-თან ამ სიტყვების სათქმელათ და რჩევისათვის. იმან გაიღიმილა, გაიქნია თავი და მითხრა: შენს დამრიგებელს გაუგონია, რომ ზარ-სა რეკენ, მაგრამ არ იცის კი სადა, ე. ი. გაუგონია რაღაცა, მაგ-რამ საქმეს კი ვერ მიხვდომია.

მართალია, ყმაწვილს ყოველთვის მართალი უნდა უთხრათ. მაგ-რამ ესეც უნდა მოიგონოთ, თუ რათ არის ეს საჭირო. ამისათვის არის საჭირო. რომ არ დაჰკარგონ იმათ თქვენი მინდობა. ამისა-თვის, როცა ჭკუაში შედის ყმაწვილი, ყოველთვის მართალი უნდა უთხრათ — და ტყუილის თქმას, რო არა უთხრათ რა ისა სჯობია. მაგალითად, — ექვსისა ანუ შვიდის წლის ყმაწვილს რომ, ეყოლოს ძმა ან და და გკითხოთ საიდამ მოვიდა ეს პატარა ყმაწვილიო, თუ არ გინდათ რომ ნამდვილი უთხრათ, — აი ასე უთხარით: ეხლა მე შენ მაგას ვერ აგიხსნი; და მერე კი შენ თითონ გაიგებ; ამისი თქმა სჯობია, ამის თქმასა, რომ ყვავმა მაიტანაო. პატარა ყმაწ-ვილებსაც, მაგალითად, როგორც შენს წელიწადნახევრის კონრადსა ტყუილები არ უნდა უთხრათ; ტყუილები ყმაწვილს აშინებს და ეს შიში დიდობაშიაც შაჰყვება. მე ეს ძალიან მეჯავრება, როდესაც უნ-დათ რომ ყმაწვილი დააჩუმონ. დაურაკუნებენ კარებსა და ეტყვიან ტურა მოდისო ანუ სხვა რამე, ანუ ყმაწვილმა ბაყაყს ხელი რომ ახლოს — შიშით დაუძახებენ: შხამიანია, ხელს ნუ ახლებო! მაგრამ პატარა ყმაწვილებს. რომელთაც ჯერ სრული გრძნობა არა აქვთ, ტყუილის თქმა არ წაახდენს. თქვენ, ყოვლის უშიშოთ, შეგიძლიან უთხრათ კონრადს, რომ ცხენს ეძინებაო. სანამ ის ჭკვაზედ მო-ვა, მგონია ეგ მოტყუება ათასჯერ დაავიწყდეს.

თუ პატარა ყმაწვილებს ტყუილს არ ვეტყვით, ვერც ვათამა-შებთ. მაგალითად: მაშ თქვენი კონრადი თავის ცხენზედ ვერ შაჯ-დება და ვერც არა ფერსა ჭმევს, ამიტომ რომ ეგ მართალი არ არის: იმისი ქაღალდის ცხენი ვერცა სჭამს და ვერც ივლის.

# XVIII.

## კონრადი დასეირებს.

მთელს ზამთარის განმავლობაში კარგათ შავაქციე ჩემი კონრადი; მერე დადგა გაზაფხული და საქმეები უფრო კარგათ წავიდნენ.

ამ მშვენიერს დროში — მე და ჩემი ცოლი სულ ბაღებში და მინდვრებში დავდიოდით; კონრადიც რასაკვირველია თან დაგვყვანდა. რადგანაც კონრადს გულის ყური სულ ბუნებასთანა ჰქონდა, სხვა და სხვა შექცევებსაც მალე ჰოულობდა. ხან დაუგდებდა ყურს ყვავსა, რომელიც ხეზე შემოჯდებოდა, ხან დააცქერდებოდა ფუტკარს, რომელიც ქანაობდა ყვავილზედ, გამოუდგებოდა ხან ბუზს, ხან ბაყაყს და სხ.

რა დაინახავდა რომელსამე ჰირუტყვს, მაშინვე დაიყვირებდა და მე მაჩვენებდა.

ერთხელ მე იმის თვალ წინ ქვა გადმოვაბრუნე და უთხარ: უყურე! რა ნაირად გაუხარდა, როდესაც დაინახა რამდენიმე ჯიანყელები, ჯიანჭველები და სხ. რაკი ეს ისწავლა სადაც კი წავიდოდით, მაშინვე ქვებს აბრუნებდა და, რაკი ჰნახავდა რასმეს, ძალიან გაუხარდებოდა ხოლმე. მაგრამ ამასთანავე ერთი ცუდი ჩვეულება მიიღო, რომელიც არ მესიამოვნებოდა — აიღებდა ხელში ჭიებსა, დაუწყებდა სრესას და მერე გადააგდებდა. მე ამ ფიქრზედ ვიდექი, რომ ყმაწვილმა არ უნდა აწვალოს ჰირუტყვი; თუ ჰირუტყვს დასდევს იმას უნდა ცდილობდეს რომ ასიამოვნოს რითიმე და არა შააწუხოს, რომ შეეჩვიოს და შემდეგ ყველა კაცს გამოადგეს. დიდხანს ვფიქრობდი, და ვწუხდი რომ ქვების გადაბრუნება და ჰირუტყვის ტანჯვა მე გასწავლე ბევრჯელ ვეტყოდი ხოლმე: ცოდვაა, ეტკინება მეთქი,- მაგრამ ის ყურს არ მიგდებდა.

ერთხელ მწუხარებით უყურებდი ქვას რომ აბრუნებდა; ერთი თითი ქვეშ მოჰყვა, დაიწყო ყვირილი და დედის ძახილი,-დედაო!

კო, ვიფიქრე, ეხლა კი გავასწორებ საქმეს. კონრადი წავიყვანე დედასთან და რა მეორეთ დაბრუნდა და დაიჭირა ბუზი მე უთხარ: კონრად! თავი დაანებე თავის დედასთან მიდის. მაშინ გაუშვა ბუზი და მისძახოდა უკან: დედა! ამ ღონის-ძიებით მე დავიხსენი სიკვდილისაგან ის პირუტყვები, რომელნიც კონრადს ხელში ჩაუვარდებოდა ხოლმე.

(შემდეგი მას უკან).

ლევან ჯანდიერი — შვილი

(თ. ალ. ავჭავაძის ლექსი)

შენის გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად,
შვენებაც გინა არა გქონდეს, მით იმნათობებ;
შვენება შენი ესრედ მძლეველობს ამ ქვეყნიერად,
რომე გონების უმწეოდაც ნამდვილ იმფლობებ.

მარა რას ხელჰყრი, მარქვი, მაგა ნიჭთა კეთილთა,
თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს ?
მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა.
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს:

# მძინარე ქალი

მე შენ დაგყურებ
მშვიდ მძინარესა
და დავსტრფიალებ
შენ ბროლის მკერდსა;

მესმის მის რხევა
შუქ შესხმულისა
და ნელი ღელვა
წრფელის გულისა;

აგწითლებიან
ნაზი ლოყები,
ღიმილით თრთიან
ტუჩთა ლალები;

წრფელი გაქვს ძილი,
ვით ხილვა ცისა,
ზედ გადგა ჩრდილი
ანგელოზთ ფრთისა;

შენ თვითან წრფელსა
წრფელიც გაქვს ფშვენა,
ნეტა მის ბედსა,
ვისიც ხარ შენა! . .

# ს ი ზ მ ა რ ი

(ლერმონტოვით)

შუადღის მზისა სიცხის ქვეშა დაღისტნის ველად.
ტყვიითა გულში მე უძრავი ვიყავ მწოლელად,
ღრმა წყლული ჩემი ოშხივარით აბოლდებოდა,
და წვეთ წვეთადა მუნით სისხლი მეწურებოდა.

მეგდე ველისა ქვიშაზედა მარტო და ობლად,
დიდროვან კლდეთა გროვა ჩანდა აქეთ იქითა
მზე ჰსწვავდა იმათ წვეტიან თავთ, მჩინართა ყვითლად,
მეც მწვავდა, — მაგრამ მე მეძინა მკვდრისა ძილითა.

და მესიზმრა მე მხიარულად გაჩაღებული
ღამის მეჯლიში ჩემს სამშობლოს ტკბილ მხარეზედა.
იქ ყმაწვილ ქალებს მხიარული, გალაღებული,
ჰქონდათ ბაასი ლაპარაკი ჩუმი ჩემზედა.

მაგრამ მათ შორის ერთი იჯდა ჩაფიქრებული
და იმ მხიარულ ლაპარაკში არ ერევოდა,
მჭმუნვარ სიზმარში მის უბიწო, ყმაწვილი სული,
ღმერთმა თუ იცის, მაშინ რითაც დაინთქმებოდა.

და ესიზმრა მას ქვიშიანი დაღისტნის ველი,
ნაცნობი გვამი იმა ველზედ ეგდო უძრავად,
და იმის გულში მაორთქლავი სჩნდა წყლული ბნელი
და სისხლი ჰსჩქებდა გაცივებულ უწყვეტ ნაკადად.

4 აგვისტოს 1860 წ.

# პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

ზეცა მნიშნავს და ხალხი მზდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღუვის ცეცხლი გულში,
რომ ხალხისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვაში და სიხარულში.

ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული;

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ: მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისსა 1860 წ.

# II.

## ...ილთა ლაშქრობის ეპოქა საქართველოში,

...ი მეზობლად მდებარე სამეფოების მიქცევ მოქ-
...ბის დასაწყისში.—რომაელთა ლაშქრო-
ბ... ...რიდატთან სომხეთის მეფეს ტიგ-
რანთან ... ...სამხედრო ღონის-ძიება.—
რომაელებთან ... ...ს. შერიგება—რო-
მაელთა არის ყოფნა ...ს შედეგი.—

არშაკ პირველის შემდგო... ქრისტეს წინად დაჯდა ქართლის სამეფო ტახტზედ ...ალი არტაგი. ამ ხელმწიფის მეფობაში, როგორც ამბობს გ...კლი მატიანე, სპარსელებმა დაუწყეს ომი ამასა ვითამ იმისათვისა, რომ იმისმა მამამ არშაკმა გამოაგდო საქართველოს მეფე ფარნაჯი—შვილი მირვანისა, რომელიც შთამამავლობით იყო სპარსელი. მაგრამ მხედველობაში რომ მივიღოთ ქვემოთ მოყვანილი გარემოება, ცხადი არის, რომ მატიანე ჰსცდება: დროც შეშლილი აქვს და იმ ხალხის სახელიცა, რომელიც იმ დროსა საქართველოს ეომებოდა. ეს გარემოება არის: პირველი, რომ არც მირვანი, არც ფარნაჯი არ ეკუთვნოდნენ არშაკიდების დინასტიასა, რომელიც მაშინ მეფობდა სპარსეთშია, მაშინ როდესაც არტაგი კი იყო დისწული სპარსეთის ხელმწიფისა; მეორე, რომ თვით ფარნაჯიცა, რომელიც გაიქცა საქართველოდგან პონტოს და რომელსაც ჰყვანდა პონტოის და საბერძნეთის ჯარი, არშაკთან მთელის ბრძოლის დროების განმავალობაში არც ერთხელ არ მიქცეულა სპარსეთის ხელმწიფესთან შემ-

წეოჲის სათხოვნელად, ალბად იცოდა რომ ინტერესი არშაკისა და ინტერესი სპარსეთის ხელმწიფისა ერთიერთზედ გადაბმულია; მე-სამე, რომ, თუ ჰქონდა ვისმეს უფლება ფარნაჯის გულისათვის შუ-რის გებისა, ის უნდა ყოფილიყო უფრო მიტრიდატი. ეს მიტრი-დატი უნდა წასარჩლებოდა ფარნაჯისა ჯერ როგორც შეურაცხად გახ-დილს თავის ნათესავსა, მერე როგორც სტუმარსა, რომელმაც ამის მფარველობას მიჰმართა: მიტრიდატი ჩამომავალი იყო სპარსეთის ძველ ახემენიდების დინასტიისაგან ისე, როგორც ფარნაჯის დედაცა; და ბოლოს, მეოთხე რომა მიტრიდატი, როგორც ჩვენ ზემოთა ვნა-ხეთ, მართლა ლაშქრობდა საქართველოში, რომელზედაცა ქართუ-ლი მატიანე არაფერს არ იხსენებს. არტაგის მეფობის დროს კი, დიდი მიტრიდატი და იმისი თანამეზავე სომხეთის ხელმწიფე ტიგ-რანი, დამძიმებულები რომაელებზედ სალაშქრო მზადებითა ყო-ველ ღონის—ძიებასა ხმარობდნენ, რომ დაუახლოვდნენ მეზობლად მყოფს მეფეებსა, მეტადრე საქართველოსას და ალბანიისასა. სპარ-სეთის არშაკიდებმა კი, არტაშეს პირველის შემდგომ დაუთმეს გვარ-ში უფროსობა სომხეთის არშაკიდების შთამომავლობასა, იყვნენ და-უძლურებულნი და ამ ეპოქაში ისტორიისათვის არაფერი შესანიშნა-ვი როლი არა ჰქონიათ.

სელევკიდების დამცირებამა განავრცელა ერთნაირად რომაელებ-შიაცა და არშაკიდებშიაცა აზიაზედ მფლობელობის მიმართვა. გაა-განიერეს თავის საზღვრები და წინ წაიწიეს ზოგმა დასავლეთიდ-განა და ზოგმა აღმოსავლეთიდგანა. მაგრამ ვიდრე რომაელნი იყვნენ გაბმული შინაურ შფოთებ შორის, არშაკიდებმა მოასწრეს და დაიპყრეს თავის მფლობელობის ქვეშა მთელი ძველი სპარსეთი ეფრატამდინ და მრავალი მაზრები მცირე აზიისა, მდებარენი ამ წყლის დასავლეთით. რომის სენატი შეწუხებით უყურებდა მათს მსწრაფლს გამარჯვებასა, მაგრამ არ შეეძლო წინა აღედგინა მათთვის თავისი ჯარი. როდესაც არტაშესმა შერთო თავისი ქალი დიდ მიტრიდატსა და ამასთანავე

მისცა მთელი შავის ზღვის პირის ქვეყნები და მფლობელობა კავ-
კასის ხალხზე, ბოსფორის სახელმწიფოზე და სკვითებზე, მაშინ
სენატსა შეეშინდა აზიაში თავისის გავლენის დაკარგვისა და ამი-
სათვის მოსთხოვა მიტრიდატსა, რომ გამოსულიყო სკვითეთიდ-
განა, ბოსფორის სახელმწიფოს და კავკასის ქვეყნების მითვისება-
ზედაც ხელი აეღო. პონტოის ხელმწიფემ, იმ ახლო ხანის ბრწყინ-
ვალე გამარჯვებისაგან შეგულიანებულმა და გამხნევებულმა არ-
ტაშესის მკვიდრი პირობის შეკრულების იმედით, უარი უთხრა
სენატს, და მას შემდგომ მაშინვე არტაშესი დაიძრა მცირე აზიი-
საკენ დანარჩენ დასავლეთის ქვეყნების დასაპყრობლად.—როგორც
ამბობენ სომხეთის მწერლები, იმან მიაწია კიდეცა ეგეისის ზღვის—
პირამდინა, მაგრამ 96 წელს ქრისტეს წინად ის მოჰკლა ერთ-
მა მისმა გულამღვრეულ ჯარის კაცთაგანმა არტაშესის შემდგომ
სომხეთის მეფის ტახტზედ დაჯდა იმისი შვილი ტიგრანი, ერთ-
გულად მომხმარებელი თავისი მამის პოლიტიკისა; მაგრამ ამ დრო-
ებიდგან პირველი როლი რომაელთა აზიაში მფლობელობის მტრო-
ბაში ჰქონდა დიდ მიტრიდატსა და არა ტიგრანსა. შემდგომ ცხრ
წლის განმავლობაში მიტრიდატი იქამდისინ გამძლავრდა, რომ სულ
ერთიანად დაიპყრო რომის მაზრები აზიაში, ეგეიის არქიპელა-
გი, სადაცა იმის ბძანებით რამდენსამე დღეში გასწყვიტეს 80000
რომაელნი, შემდგომ გავიდა ევროპაში და დაიპყრო ათინის ქა-
ლაქი და არაკეთი. რომმა, ელდანაცემმა ამ საშინელის მრისხანე მტრი-
საგან, თუმცა შინაურულ შფოთისაც ვერ ასვლოდა, მაგრამ მაინც კი-
დევ მე 87 წ. გაგზავნა იმის მოპირდაპირედ თავისი საუკეთესო ჯა-
რითა განთქმული სარდალი სილლა. სამ წელიწად ნახევრის განმავა-
ლობაში, რომელიც გამოჩენილია მრავალ სისხლის მღვრელობითა,
სილლამ ბოლოს კი მოახერხა მიტრიდატის ოტება საბერძნეთიდ-
გან და მცირე აზიიდგან, და დაუდო დაზავების პირობა თვით პონ-
ტოის სამძღვარშია. მაგრამ შერიგების და ზავის დროსაცა მიტრი-
დატი ხედავდა, რომ სენატს თვით სამართლიან თხოვნაზედაც ვერ
დაიყაბულებდა ხოლმე და რადგანაც არ ჰკარგავდა ადიიდგან რომა-

ქლების განდევნის იმედს, ხელახლად სალაშქროდ მზადება დაიწყო. რომაელნი, რომელნიც თვითონ იყვნენ ბრძოლის მიზეზნი, მზად იყვნენ აგრეთვე საომრად და პირველსავე შემთხვევაში მე 73 წელ. წამოვიდნენ მიტრიდატზედ ლუკულლას წინამძღოლობითა. რამდენსამე გამარჯვების შემდგომ ლუკულლამ, რაკი გაჰყო ორი დაზავებული ლაშქარი, პონტოისა და სომხეთისა, თავდა პირველად აიგდო ნახევარი სომხეთი, შემდგომ გამოუბრუნდა არეზის წყლიდგან ჩრდილოეთით მიტრიდატსა, რომელიც მიმალული
კოლხიდაში, გაიარა სამხრეთ-დასავლეთის ნა
ქართველოსი, რომელსაც პლუტარხმა
სა, (13) და სუყოველის თ
გულამ უმსხვერ
ა ა მი-
ტრიდა ა, იძულებული იყო
ამ ლუკუ თავის სამფლობელოს დატ-
ვაჩედ ეფ ლუკულლა ამის შემდგომ მაშინვე დაიბარა
სენატმა რო ქალაქში. საქართველოს მეფეს ესმოდა, რომა იმისი შეძლება სხვების შეუწევნელად საკმაო არ იყო რომაელებთან შებმისათვის, და ამისათვის შეუთვალა მიტრიდატსა და ტიგრანსა პირობის შეკვრა ერთი ერთმანერთის საშველად. იმათ დაუდეს პირობა და ამაზე მოიწვიეს ალბანიის ხელმწიფე ორეზიცა (14), რომელიცა, როგორც გვარწმუნებს ერთი უკანასკნელთაგანი ქართველი მემატიანე, იყო ღვიძლი ძმა არტაგისა, იმისაგანვე ალბანიის სახელმწიფო ტახტზედ აყვანილი, (15) რომლისაგამოცა ისეთის ხალისით მიემხრო იმათა. როგორც გვარწმუნებს პლუტარხი არტაგსა ჰყვანდა ჯარი 40000 კაცი (16), და აპპიანეს სიტყვით

---

(13) Plutar.; vie de Jueul

(14) Sbid; vie de Pemp.

(15) ისტორია თეიმურაზ ბატონი შვილისა. გვერ. 126

(16) Plutar. vie de Pomp.

70000 (17).

ქართველი ჯარი განთქმული იყო ყოველთვის თავისის გულადობითა და კარგის დაწყობილებით; ამითი დავალებულნი იყვნენ ისინი, ალბათ, ფარნაოზ მეფისაგან, რომელმაცა სხვა და სხვა დაწყობილებათა შორის, «ქართლის ცხოვრების» სიტყვით, დააწყსა საქართველოში სამხედრო იერარხია. ისტორიკოსები და ლათინთა პოეტები, პოლიბიიდგან დაწყობილი, რომელიც ცხოვრობდა მეო- [illegible] საუკუნეში ქრისტეს წინად, ტაციტამდინ, რომელიც არის გან- [illegible] ტესაქეთპირველი საუკუნის მემატიანებში, ვირგი- [illegible] ანი, რომელნიც თითქმის იყვნენ საქართ- [illegible] ასმქრობისა თანამედროვენი, ამბობენ [illegible] მწერლებმა დაგვიტოვეს იმი- [illegible] სი ა [illegible] წითელი ქულაჯები (кафтанъ) დ [illegible] ოლდ ქვეითი ჯარათა. ამ ჯარის გაო [illegible] სლვა- გადმოსვლისათვის როგორც ს [illegible] ოველდო- სა ჰქონდა დიდი ღონის—ძიება თავ [illegible] აგორათაც ადგილის მდებიარებაში აგრეთვე იქ მცხოვ [illegible] ვაჟ-კაცობაში. რომ არ გაგვიტაცოს სტრაბონის ნაჩვენებმა, რომელიც ამბობს, რომა მხოლოდ ერთს სვანეთს შეეძლო 200,000 შეიარაღებული კაცის გამოყვანაო, მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომა ყველა ქართველი ხალხი კარგად ხმარობდა იარაღსა და შეეძლოთ დაცვა თავისი სამშობლო, მჭიდროდ დასახლებულის ხეობებისა. აირა იყო სამხედრო ღონის—ძიება საქართველოსი პირველსავე სახელმწიფოს დაარსების საუკუნოებში; ისინი ყოველთვის წარმატებით წინ დაუგდებოდნენ ყველა მეომარსა თუ რომ მათი მეფენი ყოველთვის ნიჭიერად მოიხმარებდნენ. ლუკულლას განშორების შემდგომ, მიტრიდატი, გაცოცხლებული ახალის დაზავებითა, შეიქმნა უწინდებურად საშიში რომაელთათვის. 67 წელ. იმან დაამარცხა ზელეს მახლობლად რომის ჯარი მდგომარე პონტოში. ლუკულლას მო-

(17) Appien tom. I. p. 339

ადგილისა, ტრიარის ბრძანების ქვეშ მყოფი, და დაიბრუნა თითქმის სრულად თავისი სახელმწიფო, მაგრამ სენატმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე შეჰკრიბა მრავალ რიცხვი ლაშქარი, და გამოატანა-პომპეისა.

ამ სარდალმა თავდაპირველად თავისაკენ მოიმხრო ქრთა-მითა და მლიქვნელობითის დაპირებითა ტიგრანისა და მიტრიდატი-სა შვილები და ამითი მოშალა მათი შინაური თან-ხმობა პონ-ტოში და სონხეთში. დასასრულ 66 წელ. გაბედა მიტრიდატზედ დაცემა, რომელიც იდგა ბანაკად ეფრატის წყალზედა, ღამის ბრძო-ლამ დააბოლოვა ლაშქრობის საქმე,—მიტრიდატი გაიქცა, გაიარა სამეგრელო და გავიდა დიოსკურიაში, პომპეიმ კი მაშინათვე გა-მოაცხადა მიტრიდატის ტახტიდამ ჩამოცლა.—დანიშნა რა პონტო-ის მეფედ შვილი იმისი ფარნაკი, ის წავიდა სომხეთში ტიგრანის საძებნად, რომელიცა იქაური ხელმწიფის შვილის შემწეობით თით-ქმის ხმის ამოუღებლად დაუმორჩილდა პომპეისა. აქედგან პომპეიმ გასწია მტკვრის პირისაკენ, დაიზამთრა იქა, გაზაფხულზე მტკვარ-გაღმა გავიდა და შეება ალბანიის ხელმწიფესა, რომელიც ელოდა თა-ვის სახელმწიფოს სამძღვარზედა.

რამდენსამე ომის შემდგომ ორეზმა ჰსთხოვა შერიგება, პომ-პეიმ შეირიგა და გამოართვა მძევლად შვილები.

ალბანიის დაპყრობის შემდგომ, პომპეიმ დაიწყო საქართველო-ში ლაშქრობა. ამ ლაშქრობის ამბავს გვაცნობებენ ჩვენა დიონ კას-სიე, აპპიანი და პლუტარხი (18) ისრე ყრუთა, რომა არ არის შესაძლო არამცთუ აღწერა იმისი ზედ-მიყოლითა, არამედ არ შე-გვიძლიან ვსთქვათ ისიცა, რომა საიდგან მოვიდა პომპეი ამ ქვე-ყანაში—სომხეთითგანა, თუ ალბანიითგანა; გაიარა იმანა თუ არა შიდა მაზრები, თუ რომელსამე საქართველოს ნაწილში ამისი მოქ-მედება დაბოლოვდა. ჩვენ ვგონებთ ვარაუდითა, რომა შემოესივა მხოლოდ მესხების ქვეყანასა, ეხლანდელის ახალციხის მაზრასა და

(18) Plutar. vie de Pomp. Dion—Cassius; L. XXXVI, C. 33, 36 et 37; et XXXVII, c. 1. Appien 1. t. p. 399.

ბორჯომის ხეობას, იქმნება სურამამდისაცა. ამ ლაშქრობაზე არაფერი არა არის რა მოხსენებული უმთავრესს ქართულს მატიანეში « ქართლის ცხოვრებაში », რომელშიაცა საზოგადოდ იშვიათად არის მოხსენებული ამბავი იმ შემთხვევაზე, რომელიც ქართლში არ მომხდარან. რომაელების მწერლების ნაჩვენებიდგან აჲსჩანს, რომა პომპეი შემოსულა საქართველოს სამძღვარში გაზაფხულზე, 65 წ. ქრისტეს წინად. არტაგს სურდა დაეშლევინებია ამისათვის შემდგომი წინ წამოდგომა, ან შეოკება მაინცა იქამდისან, ვიდრე მოეშველებოდნენ მოსარჩლენი და გაუგზავნა იმასა დეპუტაცია მოსარიგებლად. პომპეი ალბად მიუხვდა მორიგების განძრახვასა და დაუყოვნებლივ მივიდა რაღაც აკროპოლისამდინა, რომელიც მდებარებდა მტკვრის პირზე;—ორს მთის ქედებთა შორის. ხელმწიფე გავიდა წყალ-გაღმა და დასწვა იმწუთის ხიდი. ამით პომპეი აქამდისინ დაბრკოლდა იქა, ვიდრე აკროპოლისის ჯარსა არ დაათმობინა ციხე. რომის ჯარი გავიდა მტკვარში ათი ათასის ნავტიკითა და დაეშვნენ ტყით შემოსვილს ხეობაში არტაგის საძებნელად. ამ ხეობაში მცხოვრებელნი აჲიდნენ ხეებზედა და მახლობლად მდებარე სიმაღლეებზედა და იქიდამ მიუშვეს პომპეის ჯარზედა მრავალი ისრები და ქვის სეტყვა. ყოველი ფეხის გადადგმა ძვირად უჯდებოდათ რომაელთა. მასთანავე ისინი მსწრაფლ შეემთხვნენ ახალსა და უფრო დიდის ხნის დაბრკოლებასა. არტაგი გავიდა პელორის წყალშია და დააწვევინა ხიდი. პომპეი უნდა დამდგარიყო აქა, ვიდრე არ დაიკლებდა წყალი, უნდა ეჩეხა და გამოეწვა გარეშემო ტყეები, რომ გადაერჩინა თავისი ჯარი ყოველის დღის დიდს დასაკლისსა. შემდგომ, როდესაც წყალმა იკლო და ფონიც გაიხსნა და თვით არტაგმაც გაიგო, რომა წინასწარის გარემოებით ზავი კიდეც მოიშალა, გაბედა თავისი საკუთარის ღონის—ძიებით მტერთან შებმა: წყალში გასვლის დროს მოხდა დიდი ომი, რომელშიაცა, როგორც ამბობს პლუტარხი, საქართველოს ჯარი დამარცხდა, 1000 კაცი მოკვდა და 9000 დარჩნენ ტყვედ.—ხელმწიფე მსწრაფლ უკან დაბრუნდა და მაშინვე შერიგება ითხოვა. რომის სარდალი, თუმცა შერიგების თანახმა შე-

იქმნა, იმ პირობით, რომა არტაგს უნდა მიეცა ამანათად ერთი შვილი, მაგრამ კი მაინც შეუდგა დევნასა იმავე გაჭირვებით, რომელიცა შეემთხვა ხეობაში შესვლის დროსა. ამ ამანათის თხოვნამ ცოტაოდენს ხანს დააფიქრა მეფე; მაგრამ რო ნახა რომა ვერაფრით შეეძლო შეოკება პომპეის წარმატებისა, იმან ბოლოს გამოუგზავნა თავისი შვილი და საჩუქრები: სარეცელი, სტოლი და სკამი, ჩაფოსხმულები წმინდა კრივის ოქროსი. (19)

არტაგის შერიგ ბის შემდგომ, პომპეი დაეშო რიონის აუზზედ და მიაღწია სამეგრელოსა და სხვა ზღვის პირს მდებარე საქართ...
რებამდისინა, რომელნიცა ვაგარშაკის, რო...
ბის შემდგომ განუდგნენ სა...
ქშესის დროს შ...
ში მა...

...ა, დასასრულ
... დიდის მიტრიდატისაგან მიე-
...ეთვე ამოირჩიონ ხოლმე თავისი მმართებლე-
...ის დროებითგან იმათი მმართებელი იყო აქაური მცხოვრებელი სახელად ოლთაქი. პომპეიმ შერიცხა ისინი რომის ქვეშევრდომებად. წაიყვანა ოლთაქი ამანათად და იმის მაგიერად დანიშნა ერთი თავისი მოღვაწეთაგანი, არისტარქი. სამეგრელოდგან იმან გასწია ავხაზეთისაკენა და უნდოდა მისვლა დიოსკურიამდე, ეგონა, რომ იქ მოასწრობდა მიტრიდატსა, მაგრამ ძნელმა გზამა, გაუწყვეტელმა ზიანმა, რომელსაც აძლევდა მთის ხალხი და ამასთან ალბანების ალელვების ამბავმა აიძულეს, რომ დაბრუნებულიყო და წასულიყო ისევ ალბანეთში. ამ ქვეყნის დაშოშმანების შემდგომ პომპეიმ გაილაშქრა გელლებზედ, ლეკებზედ და გირკანელებზედ და მერე სომხეთით გავიდა სირიაში.

პომპეისა, საქართდელოში ყოფნის დროს, აცნობეს, რომა მტკვრისა და რიონის წყლით შეიძლება ინდოეთიდგან შავ-ზღვამ-

---

(19) Plut. vie de Pomp.

დინ სავაჭრო საქონლის მიტანა. მარკ ტერენტი ვარიონმა, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ამისი გამოძიება, ამაზედ შეაგროვა ნამდვილი ცნობანი; მაგრამ რაში მოიხმარეს ის გამოძიება, ის კი არვიცით. ალბათ სამხედრო გარემოებისაგან, პომპეიმ ვეღარ მოიცალა ამისთანა უპირატესი საქმისათვის და სავაჭრო შარა გზა, საქართველოზე მომავალი, დარჩა იმავე საცოდავს მდგომიარებაში, როგორრათაც ამას წინად იყო მიყვანილი.

ლუკულს ეგონა კავკასია ათასის ხელმწიფის ბუდეთა. იმის შემდგომ პომპეი დაერწმუნა კავკასის ხალხის გაუკაცობაზედ და იქიდგან დაწყობილი, როდესაც რომაელნი დაიწყობდნენ ხოლმე დიდს ლაშქრობასა სომხეთში ან სპარსეთში, ცხადია რომა იმათ ჰქონდათ იმ ხალხის დაცემის შიში და იმათ თავი და თავ ქართველებისა, რომელთ ქვეყანაშიაცა მეფობდნენ მეფენი, სომხეთის და სპარსების ხელმწიფების დიმასტიის შთამომავლობისანი. ეს დაცემა შეიძლებოდა მომხდარიყო მარცხენა ფლანგიდანა ან უკანით — ეგ იმაზედ იყო დამოკიდებული იმო დენად, რამოდენსაც რომაელნი აღმოსავლეთში შორს შეიწევდნენ. ამისი შიში არ მოასვენებდა ხოლმე იმათა, როდესაც ევფრატია დ ტიგრი შეკრული ჰქონდათ გარდონებითა და ამისთვის პომპეის შემდგომ ყოველთვის ცდილობდნენ ქართველის მეფეების დამორჩილებასა. იმათ იცოდნენ, რომ ქართველებსა, თავის თავათაც კაჟ-კაცებს, ეჭირათ კავკასის მთის კარებები, რომელიცა იმათის ნებით გაიღებოდა აზიაში შემოსასვლელად სარმათის ველურის და მტაცებელის ურდოებისათვისა; და ამისთანა შემოსევანი როგორც ზემო აზიის ხალხისათვის ამაოხრებელნი იყვნენ, ისე იქა მდგომარე რომის ჯარისათვისაც იყვნენ საშიშნი. რომ რომაელთა ვერ განავრცელეს თავისი მფლობელობა ტიგრს იქითა — ეს იყო იმისი მიზეზი. ამ ნაირი გეოგრაფიული მდებიარება საქართველოსი, ევფრატისა და ტიგრის წყლებითა გაყოფილ სახელმწიფოებთანა, იყო უპირატესი მიზეზი, რომ თვითეულად ყველა ამ სახელმწიფოებთაგანი სტრატეგიის მოსაზრებითა ყოველთვის სცდილობდნენ დაეპყრათ საქართველო. ესე ეკიდებოდნენ ერთის მხრით

რომაელნი პომპეის შემდგომ, საბერძნეთის იმპერატორები რომაელთ შემდგომ და ოსმალები ბერძნებს შემდგომ; მეორეს მხრით სპარსები ძველის-ძველადგანვე რომაელთა, საბერძნეთის იმპერატორებთა და ოსმალებთა მთელს ჩვენის მტრობის დროს ეგრეთვე აქცევოდნენ.

## III.

## გარემოება არტაგის სიკვდილიდგან ფარსმან პირველის გამეფებამდე.

ბარტომის მეფობა (65—53) იმისი ზრუნვა საქართველოს კეთილ განწყობილებაზე—მირვანის ლაშქრობა—მირვან მეორის მეფობა (33—23)—არშაკის მეფობა (23—3)—იმისი მოკვლა.—საქართველოს დასავლეთის მაზრების სვე ამ პერიოდში.

საქართველოდგან რომის ჯარის წასვლის შემდგომ ცოტას ხანში მოკვდა არტაგი და იმის მემკვიდრედ დარჩა იმისი შვილი ბარტომი—ქართული მატიანე გვაჩვენებს, რომა მომატებულმა დროების ნაწილმა ამის გრძელ-ჟამიერ მეფობისამა განვლო სახელწიფოს კეთილ-განწყობილებაში მოყვანის, მცხეთის გალავნის განვრცელების და ქალაქების გამშვენიერების ზრუნვაში; რომ იმის მეფობის დასასრულს ჟამს საქართველოს მშვიდობიანობა მოშალა უცხო ქვეყნის ჯარების შემოსევამა, რომლითა წინამძღომელი იყო მირვანი (შვილი არშაკიდებისგან განდევნილ საქართველოს ხელმწიფის ფარნაჯისა), რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა თავისი უფლება საქართველოზედ. მაგრამ სხვა წყაროთაგან ჰსჩანს, რომა მირვანის შემოსევის მიზეზი, შთამამავლობის უფლების გარდა, იყო სხვა გარემოებაცა. 34 წ. ქრისტეს წინად მარკ-ანტონიიმ რომ დაუწყო ლაშქრობა სპარსეთსა, მოსთხოვა სომხეთის ხელმწიფეს არტავაზდასა შეწევნა რომის ჯარისათვის, მაგრამ რომ შეამჩნია იმასა თავის მორიდება და

ამასთან სპარსეთში დამარცხდა კიდეც, მაშინ მიმართა ის ომრად სომხეთსა. არტავაზდას თხოვნით, ქართველები მოეშველნენ ამასა (20). ვიცით რომა ეს ლაშქრობა გათავდა იმითი, რომ არტავაზდა დაატყვევეს, დასაჯეს და გაჰყვეს ნაწილებად სომხეთი. ბარტომიც არ შეიძლებოდა დაუსჯელად დარჩენილიყო და უსათუოა რომ მირვანის დაცემა, რომელსაც თავის დღეში ღრმა სიბერემდინ არ გაუმხილებია საქართველოს მითვისება, იყო დამოკიდებული მარკ ანტონის პოლიტიკაზედ.

მოძრაობა მირვანისა, როგორც ამბობს «ქართლის ცხოვრება» ცოტაოდენს ხანს შეოკებულიიყო დებედას წყლის მარცხენა მხარესა, ხუნანის ციხის მახლობლად. ომი იყო გამართული გაუწყვეტელი ერთი ერთმანერთის ფალავანების გამოწვევით და თვითონ მირვანმა, თუმცა ხნიერი იყო, მაგრამ ბრძოლაში მოჰკლა სამი საუკეთესო ბარტომის თანამოღვაწე. ეს ლაშქრობა გათავდა მე 33 წ. ბარტომის სიკვდილითა, რომლის შემდგომაც გამარჯვებული მირვანი საქართველოს მეფედ მიიღეს.

ამისი ათის წლის მეფობა არ იყო გამოჩენილი არაფერის ისტორიულის საქმითა. ის მოკვდა მე 23 წელიწადზედ და იმის მემკვიდრედ დარჩა იმისი შვილი არშაკ (21). ქართველი მემატიანეები უწოდებენ ამას არშაკად, მაგრამ მგონია უფრო შესაძლო იყოს, რომ მირვანი, მტერი არშავიდებისა, რომელსაც თვითონ ერქვა ძველებური სპარსული სახელი, ამჯობინებდა შვილისათვისაც დაერქმია არბაქი და არა არშაკი.

არბაქის მმართებლობა ქალაქების გამშვენიერების და ციხეების განვრცელების ზრუნვის მიხედვით წარმოიდგენს ბარტომის მეფობის დამატებასა. ამ მეფეებმა ერთი ორად გაამშვენიერეს საქართველოს ბუნება იმითი, რომა ხელოვნებაც შეურიეს; მიიყვანეს თა-

(20) **Моисей Хоренскій Кн. II. гл. 22.**

(21) Additions et ecclairsissements a l' hist. de la Georgie p. 12

ვისი სახელმწიფო კეთილ მდგომარებაში. არბაქის თანა მედროვე, სტრაბონი, რომელიც იძიებდა საქართველოს ამბავსა, თუმცა ცოტაოდენად იმაზედ გვიან, ამბობს, რომ ეს ქვეყანა იყოვო მოჭედილი მდიდარი ქალაქებითა, რომელნიც გამოჩენილნი იყვნენ ყოველ არხიტეკტურის წესზედ აშენებულ სახლებითა, ჰქონდათ ლამაზი მოედნები (ფორუმი) საყოველთაო შენობები. სახლები უფრო აგურით შენდებოდნენ და კრამიტითა იხურებოდნენ (22) იმას გარდა, როგორც ჩვენა ვსთქვით კიდეცა ზემოთ, ქართველებმა ძველადგანვე იცოდნენ ხმარება თლილის ხიპი ქვისაცა და კირისაცა.

არბაქმა დაასრულა თავისი ხელმწიფობა ისე როგორათაც ბარტომმა. მე 3 წელ. ქრისტეს წინად, მოვიდა, საქართველოში უცხო ქვეყნის ჯარებითა ბარტომის შვილის შვილი, ფარსმანი, რომელმაც გამოითხოვა არბაქი ხელ და ხელ საომრად. მოჰკლა ისა და დაჯდა ხელმწიფედ გაუქმებულ სამეფო ტახტზედა.

ამ ცვლილების დროსა საქართველოს დასავლეთი ქვეყნები, რომელნიც შეადგენდნენ სამთავროს დიდის მიტრიდატისასა და რომელსაც უძახდნენ კოლხიდასა, ხან ერთ ეჭირა და ხან მეორესა მიტრიდატის შვილმა ფარნაკმა, ბოსფორის ხელმწიფემ, სარგოიანად მოიხმარა ცეზარისა და პომპეის ურთი-ერთ შორისი ბრძოლა: მე 43 წ. ქრისტეს წინად, შემოესია ამ ქვეყანასა, გამოაგდო იქიდგან არისტარქი და თავისად დაიმორჩილა. მაგრამ იმ ცოტასხანში თვით მოკვდა და იმის ადგილი დაიჭირა იმისმა სიძემ და სარდალმა, ასანდრი პირველმა. იმავე დროსა ერთი დიდი მიტრიდატის შვილებთაგანი, მიტრიდატი, ცეზარისაგან განთავისუფლებული სომხეთის ხელმწიფის ტიგრანის თავდებობითა, შეუდგა კოლხიდის მითვისებასა.

ასანდრმა მოჰკლა ისა, მაგრამ რომის სენატისაგან შეშინებულმა მიიღო უბრალო წოდება არქონტისა. ავგუსტი, მოტყუებული რომისადმი იმის თვალთ-მაქცურის ერთგულობითა, მე 36 წელ. ქრისტეს წინად დააჯილდოვა ისა ხელმწიფის ტიტლოთი. ამ გვა-

(22) Strab. L. XI. p. 499.

რად იმან იმეფა 32 წელიწადი,—და ამ დროების განმავლობაში ისე აწარმოებდა საქმესა, რომა მომადრიელებული ჰყვანდა, როგორც თავისი ქვეშე ვრდომი ხალხი, აგრეთვე რომიცა და სხვა მეზობლად მყოფი ხელმწიფებიცა. მე 14 წელ. ქრისტეს წინად ის მოჰკლა უშვილოდ და სკრიბონიუსმა, რომელიც დიდი მიტრიდატის ძმის წულად ჰრაცხამდა თავის თავსა, დაიწყო მითვისება მეფობისა; მაგრამ რომის სპასპეტმა მარკ აგრიპპამ მოაკვლევინა ისა, და სოსფორის სახემწიფო კოლხიდითურთ მისცა პოლემონსა, ზენონ ლაოდიკიანელის შვილსა. კოლხიდის მიწის ნიადაგი თუ უკეთესი არა მდარე არას დროს არ არის სხვა შუაგულს საქართველოს საუკეთესო ადგილებზე, მაგრამ ამის აღუვავებაზედ ამ დროებაში არ შეიძლება ითქვას ისა, რაცა ვსთქვით საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობაზედა. სტრაბონი ცხადად ამბობს კოლხიდის გარდამეტებაზედა (23); სჩანს, რომა კოლხიდის მმართებლები თავის თავისათვის უფრო მომატებულად ზრუნავდნენ, ვიდრე იმ ქვეყნისათვის, რომელიც ბედის წერამ მიანდო იმათ განმგებლობასა.

(23) Strab. l. XI. p. 499.

# პერიოდი ფარსმან პირველის მეფობისა

## (3 წლიდგან ქ. წ. 60 წლამდინ ქრ. შემ:)

საქართველოს დასავლეთის ქვეყნებისა დაბრუნება—პართიანეთა ლაშქრობა—მითრიდატისა რომში წაყვანა.—იმისი განთავისუფლება და მეორედ გამეფება სომხეთში.—გადაყენება და სიკვდილი იმისი; რადამისტის სომხეთში მეფედ დანიშვნა.—სომხეთიდგან გაქცევა და დასაჯვა რადამისტისა. სომხეთის ნაწილი ემატება საქართველოს სამეფოსა.—მოგზაურობა წმინდა მოციქულთა ანდრია პირველ—სახელ-წოდებულისა და სიმონ კანანიტისა საქართველოს მხრებში.—გამოკვლევა იმისი, რომელი დასავლეთ საქართველოს ნაწილები დარჩა ფარსმანის მეფობის დროს პოლემონების მფლობელობის ქვეშა.—გაგანიერება მცხეთისა არაგვის გაღმა-გამოღმა.—დაწესება დუარხიულის მმართებლობისა საქართველოში.—სიკვდილი ფარსმანისა.

მეფობა ფარსმანისა (რომელსაც ქართველი მემატიანეები უწოდებდნენ ედერკის და «სომხურიქრონიკა ანდრიკოს»:), იწყობა, როგორც გვიმტკიცებს «ქართლის-ცხოვრება» სამეგრელოს და სხვა ყველა იმ ქვეყნების დაპყრობითა, რომელნიც ეკუთვნოდნენ საქართველოსა. ეს იქმნება ზოგიერთს ხარისხამდე მართალი იყოს ამისათვისა, რომა პირველს წელიწადს ქ. შ. იყო მოკლული პონტოის ხელმწიფე პოლემონ 1 და იმისი სახელმწიფო, რომელსაც შეადგენენ პონტო, კოლხიდა და ბოსფორის სამფლობელო, გაიყო ნაწილ-ნაწილად. პოლემონის ცოლს პითადორეს, რომელიც იმის შვილების მცირეწლოვანობისაგამო მმართებლობდა სახელმწიფოში, ძლივს-ძლიობით შეეძლო დაენარჩუნებინა თავისთვის პონტო და იმის მახლობლად მდებარე ქვეყნები: სარკომათმა მიითვისა ბოსფორი და ალბად ფარსმანმა სარგოიანად მოიხმარა ეს გარემოებ და დაიჭირა სამეგრელო და კლარჯეთი. ფარსმანი მეფობდა

63 წლიწადი. ქს დიდი-ხნის მეფობა, მდიდარია სხვა და სხვა ნაირი საქმეებითა, რომელთაცა აქვსთ მჭიდრო კავშირი ძველი ხალხის საზოგადო ისტორიასთან; ზოგიერთს ამ ნამოქმედებთაგანსა გვაცნობებს ჩვენა ტაციტი და იქამდისინ საინტერესო არის, რომა დაამშვენებენ საქართველოს ისტორიასა; მაგრამ გასაოცარია, რომა ქართულ მატიანეში სრულიად არაფერია ამაზედ მოხსენებული.

ტაციტი ამბობს, რომა მე 35 წ. პართიანის ხელმწიფემ არტაბანმა, მეზობლად მცხოვრებელ ხალხზედ აღტაცებულმა რამდენიმე გამარჯვებითა, დასვა სომხეთის მეფედ თავისი შვილი არშაკი და მოსთხოვა იმპერატორს თიბერიასა, რომ რომაელთა პატივი არ ეცათ სპარსეთ-მაკედონიის სახელმწიფოს სამძღვრებისათვის, რა იმისი კანონიერ მფლობელად მხოლოდ თავისთავს წარმოუდგენდა. მაგრამ იმის მამდურავ პართიანების პარტიამ სთხოვა იმპერატორსა, რომ დაენიშნა იმათთვის სხვა ხელმწიფე. ტიბერია, რასაკვირველია, უფრო მალე შეიქმნა თანახმა იმათ თხოვნაზედ, ვიდრე არტაბანის თამამსა და კადნიერ თხოვნაზედა. იმან დანიშნა ხელმწიფედ პართვი ტირიდატი, მაგრამ რადგანაც შიშობდა, რომ ამითი რომაელნი არ გააბას სისხლის მღვრელობაში კრასსის საშიშარ დამამარცხებელებთან, ჰსთხოვა საქართველოს მეფეს ფარსმანსა, რომ ტირიდატი თავის მფარველობის ქვეშ აიყვანოს და ამ სიკეთისათვის დაუთმო, რომ სომხეთის ტახტზედ საქართველოს ბატონისშვილი, ფარსმანის ძმა-მიტრიდატი დასვას.

ფარსმანმა მიიღო იმპერატორის წინა დადება და მოიხმარა ყოველი საქართველოს ძალა და თავისი ჭკუის მცბიერობა ამის აღსასრულებლად. თავდაპირველად მიმართა მზაკვრობასა და მოახერხა მოწამვლა არშაკისა, იმისი კარის ხალხის შესყიდვითა. შემდგომ ჯარით წავიდა სომხეთისაკენ, დაიპყრო იმის სატახტო ქალაქი არტაქსადი და დამკვიდრდა ამ ქვეყანაში. არტაბანმა, რო შეიტყო ქს ამბავი, შეჰკრიფა მრავალ რიცხვი ჯარი და ზედ დაუმატა იმათა ნაქირავები ჯარი სკოპტებისა, უბრძანა თავის მეორე შვილსა ოროდსა, რომა ამ ჯარს გასძღოლოდა ფარსმანისა წინააღმდეგად,

რომელმაც თავის მხრითა მოიწვია ალბანელები და სარმატები და აავსო ამ ხალხითა მთელი სომხეთი.

ოროდეს ჯარი იყო შედგენილი მხოლოდ ცხენოსანი ხალხისგან, ფარსმანმა, ჰყვანდა რა ჩინებული ქვეითი ჯარიცა რკინით მოსილი და შეგულიანებული აღტაცებულის სიტყვითა, იერიში მიიტანა. ქართველებმა გაიმარჯვეს და ოროდი ფარსმანისაგან მძიმედ დაჭრილი, მოკვდა ბრძოლის ადგილზედვე.

ამ ახალმა უბედურებამ საშინლად განაძვივნა არტაბანი. ის კიდეც მოემზადა თავისი სახელმწიფოს ყოველი ძალითა და ღონითა ფარსმანის შურის საგებელად; მაგრამ რომის სპასპეტმა ვიტელიმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თვალ-ყური ჰსჭეროდა აღმოსავლეთის ყოველ ცვლილებაზედა, ისე იხერხა და იცბიერა, რომ იძულებულ-ჰქმნა არტაბანი თავი დაენებებია არამც თუ ამ გულის-წადილისათვისა, არამედ სომხეთის მითვისების ყოველის ფიქრის და ზრუნვისათვისაც. მართლაც იმის შემდგომ არტაბანი იძულებულ იყო თავი დაენებებია პართიისათვისაცა და გაქცეულიყო სკვითეთში. ესე გათავდა ეს ლაშქრობა. სომხეთი დარჩა მიტრიდატისათვისა და პართია დარჩა ტირიდატსა, რომელნიც დასხდნენ მეფის ტახტებზედ, პირდაპირ ფარსმანის მფარველობის ქვეშა.

როდესაც მოკვდა ტიბერია და იმის მაგიერად გამეფდა კალიგულა, ფარსმანმა, რომელმაც არ იცოდა ახალი იმპერატორი რა თვალით უყურებს ამ საქმეებსა, უშიშროებისათვის მიუცილებელ საჭიროებად ჰპოვა, რომ არ გარეულიყო პართიისა და სომხეთის საქმეებში. ამასობაში არტაბანმა, როგორც გაიგო რომში მომხდარი ცვლილება, მსწრაფლად გამოჩნდა პართიაში სკვითის ურდოებითა, გამოაგდო ტირიდატი და ხელ-ახლად ხელმწიფის ტახტის მფლობელად შექმნილმა თაყვანის-ცემითა და საჩუქრებით მოიპოვა კალი-გულის მეგობრობა. ეს მეგობრობა დაეტყო ძლიერ ცუდად იმ ცოტას ხანშივე მიტრიდატსაცა, რომელიცა არტაბანის თხოვნითა 4ი წ. დაიჭირეს რომაელთა, შეჰჭედეს ხუნდებში და გაგ-

ზავნეს რომში, სადაც იყო დაპატიმრებული თითქმის შვიდი წელიწადი.

ფარსმანმა, კალიგულის სიკვდილის შემდგომ იმდენადვე გამძლავრებულმა და პატივცემულმა რომაელთაგან, როგორათაც უწინა ჰსთხოვა იმპერატორს კლავდისა ძმის განთავისუფლება. კლავდიმ მისცა მიტრიდატს თავისუფლება და ნება სომხეთის დაბრუნებისა, რომელიცა იმ დროს იყო არტაბანის მემკვიდრის, ბარდანის მფლობელობის ქვეშე.-და აქაც პართიანებზედ საქართველოს მეფის ახალმა გამარჯვებამ გაუხსნა მიტრიდატს გზა მეფის ტახტის დასაჭერათ.

ამის შემდგომ ფარსმანსა ჰქონდა განზრახვა ალბანიის დაპყრობისა; მაგრამ რაღაცა მიზეზით არ აღსრულდა. ამასობაში იმან შეამცნია, რომ იმისი უფროსი შვილი რადომისტი, დღე და დღე იმის სიცოცხლისათვისა და მეფის ტახტისათვისა უფრო და უფრო საშიშარი ხდება.

იმან დაიბარა ისა პირის-პირ სანახავათ და, რა არ უჩვენა სახე, რომ იცის იმისი განზრახვა, გამოუცხადა, რომ სომხეთი, იმის დაპყრობილი პართიანებისაგან, უკანონოდ მიეცა მიტრიდატსა, როდესაც ივი უნდა ეკუთნოდეს რადამისტსა; მოიგონა რა ბრძოლის მიზეზი, ფარსმანმა საქვეყნოდ გამოაცხადა დანაშაულობა მიტრიდატისა, ვითომც იმ უმადურმა ძმამ დააბრკოლა რომაელნი, როდესაც ისინი აძლევდნენ შემწეობასა ალბანელების წინააღმდეგად და შემდგომ უბრძანა რადამისტსა, რომ წასულიყო სომხეთში, გამოეგდო იქიდამ მიტრიდატი და დაეპყრა სამძღვარი. მიტრიდატმა, დამფთხალმა მოულოდნელის განსაცდელისაგან, გაანება თავი თავის სატახტო ქალაქსა და შეეფარა გორნეაზის ციხესა (ხორენი) რომელშიაც იდგა რომის ჯარი, პრეფექტის ცელია პოლიონ, და ცენტურიონ კასპერიისა ბძანებისა ქვეშე რადამისტმა დააპირა ამ ციხის აღება; მაგრამ ვერ შეიძლო, რისგამოც მიმართა რომაელების დაქრთამვასა. ამის მიზეზით რომაელთა ძალა დაატანეს, რომ ციხიდგან გამოსულიყო მიტრიდატი და მისცემოდა რადამისტის სულგრძელობასა.

ორნი მტერნი, რომ შეიყარნენ, თავდა-პირველად მოეხვივნენ ერთმანერთისა და დასდეს პირობა, რომ არ მოეშალათ ნათესაო-

ზრივი წმინდა კავშირი (მიტრიდატი იყო ძმა და სიძე ფარსმანისა და სიმამრი რადამისტისა): შემდგომ შევიდნენ მახლობლად მყოფს ტყეში, სადაც იყო მომზადებული სამღთო და სადაც დაზდეს პირობა, რომ ღმერთთა წინაშე შეეფიცნათ ერთმანერთისათვის შერიგება. ამ ფიცისა წესი იყო ეს: იმათ მისცეს ერთმანერთსა ხელი და მხლებლებმა შეუკრეს ცხენის ძუითა ცერები, ისე მაგრათა რომა დაუსისხლიანდათ ტყავი; და გამოჩნდა თუარა მაშინვე ერთიერთმანერთს გამოსწუწნეს სისხლი.—ეს კავშირი იყო თვით უგულითადესი მაშინდელებისათვის, როგორათაც პირობის დამდებელების სისხლით გამაგრებული და დამტკიცებული.

მაგრამ ამ წმინდა წესის აღსრულების შემდგომ მსწრაფელ სუყოველივე შეიცვალა: როცა ანიშნა რადამისტმა, ჯარის კაცები ეძგერნენ უმწეო მიტრიდატსა, შეჰკრეს ხუნდებითა და იმის ცოლისა და მცირე-წლოვანის შვილების თვალწინ წაიყვანეს დასასჯელად; აგრეთვე იმისი უბედური ცოლშვილიც მიეცა ამავე ბედისწერასა. ცოტას ხანში ისინი ყველანი გააფთხეს მიწაზე და ამოაჩხეს ტვირთის სიმძიმის ქვეშა.

სირიის მმართებელმა უმმიდიი კვადრატმა, როდესაც გაიგო ეს შეუბრალებელი ქცევა, მოსთხოვა ფარსმანსა, რომა დაენებებია თავი სომხეთისათვის და დაებარებია იქიდგან თავისი შვილი; მაგრამ მეორეს მხრით კაპადოკიის მმართებელი იული პელიგნუსი, რომელიც მივიდა რადამისტთანა, არწმუნებდა იმასა, რომ დაედგა გვირგვინი, და თვითვე დაესწრო ამ წესის აღსრულების ცერემონიაში, როგორათაც ქეშიკი,—და ესრეთ რადამისტმა, თუმცა ჰქონდა მრავალი დაბრკოლება, მაგრამ მაინც სომხეთის მეფობის წოდება იშოვა.

ამასობაში პართიანის ხემწიფემ ვოლოგეზმა იფიქრა, რომა მიეცა შემთხვევა იმ სახელმწიფოს დაბრუნებისა, რომელიც ერთს დროში ეკუთვნოდა იმის წინაპართა, შეჰკრიფა ჯარი და წავიდა სომხეთში იმ განზრახვით, რომ იქ დაესვა მეფედ თავისი ძმა ტირიდატი. რადამისტი იქმნა გამოგდებული, სომხეთსაც თითქმის

ხელთ იჭერდნენ პართიანები, მაგრამ მძაფრმა ზამთარმა დააბრკოლა ვოლოგეზი, რომ შეესრულებია თავის განზრახვა.

ვოლოგეზის იქ არ ყოფნაში რადამისტი ისევე მივიდა სომხეთში და შეუბრალებლად დასაჯა იქა მცხოვრებლები, რომელთაც ყველას რაცხდა მოღალატედ. უკანასკნელ მოთმინებიდგან გამოსულ სომხებმა მოჰკიდეს იარაღსა ხელი და გარს შემოერტყნენ მეფის სასახლესა; მაგრამ რადამისტმა მოასწრო გამოქცევა და თავისი ცოლის ზენოვიას წამოყვანა, რომელმაცა, რადგანაც ორსულად იყო, ვერ შესძლო ჩქარი ცხენით სიარული და დაბნდა. რადამისტი შეძრწუნდა და იმისაგან შეშინებულმა, რომ ცოლის გვამი არ დაინარჩუნოს მდევარმა, თავისი ხელით დასცა სატევარი, გვამი ჩააგდო არეზის წყალში, თვითონ კი გაიქცა საქართველოში.

რამდენსამე დღის შემდგომ, წყლის პირს მყოფთა მწყემსებმა იპოვეს ზენოვია, გრძნობაში მოსული წყლის სიოსაგან და მიიყვანეს ფარსმანის სასახლეში.

ბოლოს, როდესაც ტირდატი დამტკიცდა ნერონისაგან სომხეთის ტახტზედ, მაშინ იმან ჰპოვა მიუცილებელ საჭიროებად მდგომარეობის დასამტკიცებლად, ყურათღება მიექცია რადამისტისაკენ. ფარსმანიც თავისი მხრით ვერ ენდო თავის შვილსა, და განიძრახა იმისი დაღუპვა თავისი მოსვენებისათვისა. 58 წელს რადამისტი დასაჯეს, მამის ბრძანებითა, თითქო იმპერატორის მოსამადლიელებლად, რომლისათვისაც ფარსმანმა მიიღო იმპერატორი ნერონისაგან სომხეთის ნაწილი.

ფრანციის მწერალმა კრებილიონმა ეს ისტორია მიიღო საფუძვლად ტრაგედიისა, რომელსაც ეწოდება «რადამისტი». ამ მეფობის უწარჩინებულესს საქმეების რიცხვს ეკუთვნის უეჭველად გამოჩენა საქართველოს სამძღვრებში ქრისტიანობის პირველთ მქადაგებლებისა, თუმცა ამ საქმეს არა ჰქონდა არაფერი დიდი შედეგი.

თითქმის მე 40 წელსა წმიდა მოციქულები: ანდრია პირველ სახელ-წოდებული და სიმონ კანონიტი, ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლის ჩაბარებით, როგორც ამბობს ქართული

გარდამონაცემი, წარმოვიდნენ მგზავრად იმ ქვეყნებში, რომელნიცა წინათვე აღნიშნულნი იყვნენ ღვთის-მშობლის წილად, სახარების საქადაგებლად, მოვიდნენ ტრაპეზონიდგან აჭარაში და მრავალი დაბრკოლებისა და ჯავის შემდგომ მოაქციეს იქ მცხოვრებლები ქრისტეს სარწმუნოებაზედა. აჭარიდამ ისინი მოვიდნენ სამესხოში შემდგომ კლარჯეთში, ტაოსკარში, ჭოროხის წყლის პირზე: სამეგრელოში და აფხაზეთში და ყველგან კეთილად წარმართეს ის საქმე, რომელიც კისრად ედოთ. ხალხი ინათლებოდა, აქცევდა ტაძრებსა და პირქვე ამხობდა კერპებსა. არ შეიძლებოდა, ამ გარემოებას არ მიექცია ყურად-ღება ფარსმანისა,—და რადგანაც მოქმედება ახალის მორჯულეთა გარეგანი შეხედულობით არასფერს კეთილს არ წარმოადგენდა, ამისათვის ფარსმანი იყო განრისხებული კლარჯეთის ერისთავის გულ-გრილობაზე ანუ თანაგრძნობაზე, რომელმაც თავის მაზრაში სარწმუნოების გამოცვლისა ნება მისცა,— და ბრძანა, რომა მაშინვე აღმოეფხვრათ იმ ქვეყანაში ყოველი ნიშანი ქრისტიანობისა. ფარსმანს უნდოდა მოციქულების დაჭერა, მაგრამ ანდრია წავიდა ბოსფორაში და სიმონი გარდაიცვალა ნიკოფესსა. სახარების ქადაგების დევნა იმ დროების კუთვნილება იყო, მაგრამ სახარების დევნა საქართველოში ფარსმანის მხრით ისეთი სასტიკი იყო, რომა მცირეს ხანში სრულიად განქარდა ქრისტიანობის კვალიცა.

თუმცა ისეთს განძლიერებულს მდგომარეობაში იყო ფარსმანი თანა მედროვე აზიის ხელმწიფეებთა შორის და ისე განვრცელებული ჰქონდა სამძღვარი საქართველოსი, მაგრამ წმინდა მოციქულების მგზავრობის აღწერიდგან სჩანს, რომა საქართველოს ქვეყნები სამესხო და ტაოსკარი არ იყვნენ მომწყვდეულნი საქართველოს სამძღვრებშია. როდესაც მოციქულები მოვიდნენ ამ ორს მაზრაში, მაშინ, «ქართლის-ცხოვრების» ჩვენებით, ის ქვეყნები იყვნენ ერთი ქვრივი ქალის მფლობელობის ქვეშ. ვიცით, რომა იმ დროს პონტოის სახელმწიფოში მართებლობდა მოკლული პოლემონ I-ისა ცოლი პითოდორე, მაშასადამე საქართველოს ყველა დასავლეთ

ქვეყნები არა ჰქონდა ფარსმანს დაბრუნებული. მაგრამ კი იმისი სახელმწიფო უფრო განვრცელებული იყო უწინდელზე იმის წინაპართა სამეფოზედა: როგორც ჩვენა ვნახეთ, ზოგიერთ მაზრების გარდა, რომელშიაც სცხოვრებდა ქართველი ხალხი და რომელნიც განუდგნენ საქართველოსა მირვანის I-ის დროსა კიდევ მიემატა იმპერატორი ნერონისაგან სომხეთის ნაწილი. ფარსმანი არ იყო განსაკუთრებით გარეშე საქმეების მიმდევი, ის ზრუნავდა თითქმის იმოდენადვე საქართველოს შინაურ კეთილ-მდგომარეობისათვისაცა. იმის დროში მცხეთამ მიიღო დიდი სივრცე უწინდელზე და გაიწია არაგვის წყლის ორთავე ნაპირზე.

ფარსმანი გარდაიცვალა 60 წ. სურდა რა თავის სიცოცხლეშივე დაემკვიდრებია მშვიდობიანობა და უშიშრობა საქართველოში, სიკვდილის პატარა წინად თავის ორს შვილს: ბარტომას და კარტომას მტკვრით გაუყო თავისი სამეფო ორ ნაწილ დ და განუკვლივა ორივეს მოვალეობა, როგორც ურთიერთ შორის მიქცევ—მოქცევაში, ისე საერთო საქმეებშიაც, იმიტომ, რომ თავის სიკვდილის შემდეგ ორ ძმათა შორის არაფერი შური და მტრობა არ ჩამოვარდნილიყო.

# ბიძია თონიკეს სტატიისაგამო.

(«ცისკარი» 1862 წ. ივლისის წიგნი.)

ჩვენ გვეგონა, რომ ბაასი ილია ჭავჭავაძესთან გათავდა, თუ ვინ იყო ილ. ჭავჭავაძე და რევ. ერისთავი ისიც დაავიწყდათ; მაგრამ ჩვენი იმედი ტყუილი გამოდგა: 1862 წ. «ცისკრის» მეორე ნუმერში კიდევ გამოჩნდა სტატია ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგი. ის არა ყოფილა, რასაკვირველია, ყურადღების ღირსი; სტატია იყო დაწერილი კაცისაგან, რომლისაგანაც წერაში ვერ მოვითხოვდით ვერაფერს ღირსეულს ავტორს არას დროს არ უფიქრნია გამოსვლა ლიტერატურაში; მას შეუწირავს თავი ოჯახისათვის და ხელმწიფის ერთგული სამსახურისათვის; ეს იყო პირველი და, იქნება, უკანასკნელიც მისი საბაასო ნაბიჯი სალაყბო მოედანზედა; ეს იყო ნაბიჯი, რომელსაც არა თუ ჩვენ, თვითონაც არ მოელოდდა. როგორც კერძოობით კაცს და ჩვენს ნაცნობს უფ. ეფ. წერეთელს პატივსა ვცემდით და ეხლაც პატივსა ვცემთ,— მოხუცებულის კაცების დაცინვ ღმერთმა გვაშოროს. მაგრამ რა კი მან «ცისკარში» ფეხი ჩამოადგა, იქ ორივე გავსწორდით, იქ მოხუცებული ყმაწვილების გვერდით დადგა, იქ არც ნაცნობობაა. ჩვეულებრივმა და კერძოობითმა ცნობამ და პატივისცემამ არ უნდა აპატიოს კაცს ტყუილის ლაპარაკი არა თუ საზოგადო საქმეში, კერძოობითშიაც არა, მეტადრე ყმაწვილ-კაცს. მოხუცს კიდევ დაუთმობს კაცი რამდენიმეს რადგანაც ზოგი ჭეშმარიტება, რომელიც ყმაწვილებს მიაჩნიათ ჭეშმარიტებად, ის მოხუცისათვის ტყუილია და უკუღმაც. მაგრამ თუ ვინმე მართალს იტყვის, ვგონებ არავინ არ უთხრას მას, ტყუილს ლაპარაკობო. თავის სტატიით წინააღმდეგ ილ. ჭავჭავაძისა უფ

ქეფ. წერეთელი ეხებოდა საზოგადოდ ეხლანდელის ყმაწვილ-კაცების ცნებას და სწავლას. თუმცა მას მისი მეასედის თქმაც არ უნებებია, რასაც სხვებიც უბნობდნენ და უბნობენ ყმაწვილ-კაცობაზედ (ყმაწვილ-კაცობა სხვა და სხვა ნაირია) ტფილისის და ქუთაისის ბულვარებზედ და ამასთანავე «ცისკარშიაც», მაგრამ მისი სტატიის მიღების დროს მოთმინებიდამ გამოვედით და ვისურვეთ ორიოდე სიტყვის დაწერა. ბაასით და დაცინვით ხსენებულს სტატიაზედ ჩვენ არ გვსურვებია არც გინება ვისიმესი, არც გაუპატიურება გვინდოდა რომ დაგვხსნოდნენ.—

მეოთხე თვეზედ ჩვენის სტატიის შემდეგ გამოვიდა სტატია ბიძია თონიკესი «ტფილისის ტროტუარზედ მოგზაურობა». ამ სტატიაში ცხადად გამოიხატება თითქმის ყველა უკმაყოფილებაები, რაცა აქვთ საზოგადოდ ჩვენზედ ჩვენს დედ-მამებს და თანა-მემამულეებს. ამ გვარი უკმაყოფილებაები და . . . . . . «ცისკრის» დაბადებით-განვე ცხადდებოდა მკითხველთ საზოგადოების წინ. თუ ვისმეს ახსოვს ეს ხომ კარგი, თუ არა და გადაშალოს ყველა წლის «ცის-კარი» და უთუოდ იპოვის ლექსათაც და პროზათაც ჩვენს . . . . ყმაწვილკაცებს არ გაუცდიათ ხმა წასრულს წლამდის და, რაკი ერთმა მათგანმა ნაკლულევანება დაინახა ნათარგმნს ლექსში: უმეტესის გინების მიზეზიც იპოვეს და მაშინვე გამოგვეკიდნენ: აი შე უნივერსიტეტში გაზრდილო! აი შე ურწმუნო! აი შე . . . და რას არ გვეძახოდნენ, ღმერთმა იცის. მეორე და მესამე მაჩანჩალასავით გამოუდგნენ თავის მოძმეს ყმაწვილ-კაცს და იმათაც დევნა დაუწყეს. აქედამ პირ-აპირ სჩანს რომ, როგორც უფ. ბ. თონიკე გვიქადაგებს, რუტინისტებს ერთი სიტყვა, თუმცა მართალი, არ შეუწევიათ ყმაწვილ-კაცებისთვის; არა თუ იმათთვის, ვინა გამოაცხადა თავისი ჭაზრი ჟურნალში, სხვა მათი ამხანაგებისათვისაც არ დაუკლიათ თანასწორი ყვედრება და . . . —«ერთმა მათგანმ-თუ სთქვა, მაშა სადამე ყველა უნდა . . . . . .—ყმაწვილების კი ორ-სამ კაცის მეტს არ შევხებივართ და ისიც ჩვენს მოპირდაპირეებს. აქედამ ეს გამოდის, რომ ყმაწვილი კაცები უნივერსიტეტში

გაზრდილები, თუ მოსწავლეები სულგრძელები არიან და ისინი ვინც,
მათ ურცხვად . . . და ლანძღავს, სულმოკლეები, რადგან პირვე-
ლებმა შვიდი წელიწადი ითმინეს ლანძღვა და . . და მეორეებმა
ერთს წამსაც ვერ შეაჩერეს თავისი უმიზეზო და უსაფუძვლო მრი-
სხანებაა: «როგორ გაგვიბედა ვიღაც გუშინდელმა ბალღმა მხილე-
ბაო, ან სიტყვის შემობრუნებაო.—გამოდის, რომ ჩვენმა . . . .
. . . არ იციან ის ბიძია თონიკესაგან წოდებული ჭეშმა-
რიტების ნამტვრევი, რომ ყოველს ქვეყანაში და საზოგადოებაში,
ყოველს გიმნაზიელებში და სტუდენტებში, ერთსა და იმავე ოჯახში
კაცები ერთმანერთს არა გვანან ძლიერ ხშირად. ამისთვის არ შე-ი
იძლება, რომ ერთი და ორი რომ ცუდი გამოდგეს მათში, ყველას
ცუდი იყოს, ერთი მაინც ივარგებს. კაცი, რომელიც უსარგებლო
და ცუდი გამოდგა უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ, იმას რომ არ
ესწავლა უფრო უსარგებლო და უცუდესი იქნებოდა, ეს ყველამ
კარგად ვიცით; მაგრამ ბიძია თონიკე ამას რას დასდევს, მას წინ
უძევს რიტორიკა და მის კანონებს ეტანება, სხვა რა საჭიროა
მისთვის, ჭეშმარიტების ნამტვრევების მებნა, როგორც ის უბნო-
ბს, აბა რა მისი საქმეა? იმისთანა ჭეშმარიტებაებს, როგორც ის
აძებნინებს ჭეშმარიტების ნამტვრევების მაძებრებს და ტაკიმასხა-
რას, უთუოდ მხოლოდ ის ეძებს რიტორიკით აღჭურვილი, თო-
რემ ჩვენ იმედი გვაქვს და კიდევაც ვხედავთ ცხადად, რომ მისსა
და ჩვენს ჭეშმარიტებაებს შორის დიდი უშველებელი სამზღვარია. (*)
უთუოდ ეს ამბავი რომ მოგვიგონა, უნდოდა რომ ეთქო «ჩე-
მი შენ გითხარო, გული მოგიკალო».—კიდევ განვიმეორებ, რომ ბი-
ძია თონიკეს ერთისა და ორის ჟინით ყველა მისი ამხანაგები არ-
უნდა გაელანძღა. აი რას სწერს ის ჩვენზედ დაცინვით:

«არ მიეტევებათ უგაზეთობა ჩვენს ყმაწვილ კაცებსა! მაშ რი-
სთვის გავზარდეთ უმაღლესს სასწავლებელში; რად მოვითმინეთ

---

(*) ძლიერ შესაძლებელია, რომ ბიძია თონიკეს რიტორიკის ცოდნა სასიქა-
დულოდ მიაჩნდეს და ეს სიტყვები ქებად მიიღოს, მაგრამ რა გაეწყობა. ბიძია
თონიკეს მსგავსი უნდა იყოს კაცი, რომ ეს სიტყვები აგრე გაიგოს.—

მრავალი მწუხარება იმათის მოშორებიით! უნაყოფო ხეები არიან ლაპარაკი დიდი-დიდი აქვთ, საქმით კი ჩხირის გადაბრუნებაც არ შეუძლიანთ! ვინ უგუნური იტყვის რომ ისინი არ იყვნენ მეცნიერნი, მაგრამ რადგანაც უნაყოფოა იმათი მეცნიერება, ამიტომაც ხალხი ამბობს ფრანტობის მეტი არა უსწავლიათ რაო. ეხლანდელი ყმაწვილი კაცები მიდიან პეტერბურგს, შიიხედვენ-მოიხედვენ წვერს გამოუშვებენ და წამოვლენ. ეგ ის არის სასწავლებელი დაასრულეს, ყველა ისწავლეს, გოგრა სიბრძნით აივსეს. რა კი აქ ჩამოვლენ ჭადიან ტროტუარზედ და ჭეშმარიტების ნატეხებს ემებენო; თუ რომ იმათ რამე იცოდნენ მცირედი მაინცა, უთუოდ დასწერდენ (!), ჯერ არა დაუწერიათ რა; მაშა სადამე არა იციანრა (რიტორიკა!).— უგაზეთობაში და უჟურნალობაში სულ ჩვენი ჰაერში მომფრინო მცონარების მოყვარენი (ყმაწვილი კაცები) არიან დამნაშავეო; თუმცა ილ. ჭავჭავაძე ერთი ყმაწვილთაგანი აპირებს ჟურნლის გამოცემას, მაგრამ ვნახოთ, რა ნაყოფს მოგვიტანს მისი ჟურნალი და რავდენს ხელის მომწერს იშოვნის თავის ჟურნალის სიკარგით. თუ რამე იციან ახლა გამოჩნდებაო, სწავლა საქმით უნდა დამტკიცდესო (ეს ჭეშმარიტების ნატეხი სად უპოვია უფ. ბიძიას?)» ისე უიმედოა ჩვენგან ბიძია თონიკე რომ ამბობს: «ვაი, იმისთანა შვილების პატრონს საქართველოსო! და ღაღადებს: «ჩოჩეთს კალია დასცემია, ეხლა აშენდა ჩოჩეთიო.»—

როცა ერთი კაცი მეორეს უმტკიცებს ეს საქმე აგრე არისო, მაშინ სამართალი მოითხოვს, რომ თუ მეორეს არ მოსწონს მისი დამტკიცებაები, თქვას რაც შეუძლიან მისი წინააღმდეგი. თუ პირველმა არ ათქმევინა, ეგ ის იქნება, რომ ის პირველი ან მტყუანია, ტყუილს იგონებს, ან არა და გიჟია, რომ ნებას არ აძლევს პასუხის მოგებისას. ამისთვის ვითხოვთ უმორჩილესად უფ. ბიძია თონიკესაგან, ნება მოგვცეს, ვთქვათ ორიოდე სიტყვა თავის გასამართლებლად. მაგრამ მანამ ამ საგანზედ რასმეს მოისმენდეს ჩვენგან ბიძია თონიკე, ვითხოვთ უმორჩილესადვე უგანვ

მიიღოს ის სიტყვები, რომელთაც არა თუ მისგან, ტფილისის შუა ბაზრებში გართულისაგანაც არ მოველოდით. იმედი გვაქვს, რომ უარი არ გვითხრას ნების დართვაზედ და სიტყვების უკანვე წაღებაზედ. მაშ დავიწყოთ.

---

. , . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . , . . . . . . . . . . . , .

. . . . . . . . . . . . . . . . . . აბა ერთი მიჩვენე ჩემო თონიკე, ვინ რა გააკეთა? თუ არადა ჩვენ რას გვერჩი, ერთი მიბრძანე? რას ჩასცივები ხარ ჩვენს წვერებს და ულვაშებს? მითომ რა კარგია, რომ შენ არც წვერი გაქვს და არც ულვაშები, საჭურისს რომ დამსგავსები ხარ? ან კი რა უნდა გააკეთოს კაცმა შენს ხელში? თუ ჩვენგანმა რჩევა შეიტანა რისიმე, იტყვიან ჰაერში ციხე დარბაზს აშენებსო. თუ გითხრეს რამე და გაგამტყუნეს, როგორ გამიბედეს გუშინდელმა ბალღებმაო. თუ მოგახსენეს რომ შენის ტეხის დროს ილია ეტლით არ დახრიგინობსო შენ უღვთოებს დაუძახებ. ანტონი კათოლიკოსი თუ პოეტად არ იცნეს, გეგონება ქართულ ლიტერატურას აგინებენო, არ ყვარებიათ სამშობლოო. თუ ვისმეს ჩვენგანს ნაკლულევანება შენიშნე, აი, ბატონებო, უნივერსიტეტიდამ გამოსული, აი სულელ ბრძენი, აი ფრანტიო, ყველა ამისთანაები არიან ვინც უნივერსიტეტი გაათავაო. თითით საჩვენებელი შევიქენით, «შე უნივერსიტეტში ნამყოფო» საგინებელ სიტყვად გახადე ჩვენში შენ, ჩემო ბიძია! მაგრამ კიდევ გავიმეორებ, ვინ რა გააკეთა, ერთი მიბრძანე, თუმც ზოგიერთს არც სწავლა აკლიათ, არც განათლება? მაგრამ იმათ ამისთვის ამართლებ, რომ მათ თმა გაჰთეთრებიათ და ჩვენ მისთვის გვამტყუნებ, რომ ყმაწვილები ვართ. თუ რამეს გაკეთება მოვინდომეთ, რომ არ გაგვაკეთებინებ, რა უნდა ვქნათ? რა უნდა გააკეთოს კაცმა, როგორ გული არ უნდა გაუსქდეს კაცს, შერმე შეუძლებელს იქ, სადა უფ.

კერესელიძემ ან «საყდარში ან ტფილისის ტროტუარზედ დაგიჭი-
რა შენ, ჩემო ბიძია, და აქ მოგაწერინა ცისკარზედ ხელი?» --სა-
ცა შენ არ იწერდი ცისკარს, მაგრამ მისთვის კი არა რომ სიცუ-
ლე შეგენიშნოს ან შეძლება არა გქონებოდეს, არა,—ერთის სიტ-
ყვით არ გინდოდა პირში ჩადებულის გემოს გაშინჯვა ?---საცა შენ-
გან «შვიდი მანეთის ამოსაღებად სიარულში ფეხზედ ტყავი გადა-
ძვრა უფ. კერესელიძის ბიჭს»; შენ ეუბნები «ხვალ და ხვალო!» მაგრამ
ბიჭი ბუტბუტებს: « მე კი ჩემი დამემართაო ». —რა უნდა
გააკეთოს კაცმა იქ, «საცა სანა ორბელიანის თხზულების შენ-
თან მომტანი კინაღამ პანჩურის ცემით გაისტუმრე სახლიდამ ?»
როგორ უიმედო არ უნდა იყოს თავის მამულზედ უფ. გ. დიდებუ-
ლიძე, რომელმაც რამდენიმე ასი მანეთი საკუთარი ფული დახარჯა
წიგნის გამოსაცემად და ამით იქნება მიუცილებელს საჭიროებას
მოაკლდა და, რომ აღარავინ იყიდა, ნაცნობებს დაურიგა! ამაების
მიზეზი, ჩემო თონიკე, სულ ის არის, რომ ჯერ ჩვენში არც მა-
მულის სიყვარულია და არც სწავლის; შენ ამას ვერ ხედავ ჵ გვდევ-
ნი ჩვენ, რადგანაც შენი წინააღმდეგის აზრისანი ვართ. ცხადად
სჩანს, რომ არათუ ჩვენ, ყმაწვილებმა უნივერსიტეტში გამოსულებ-
მა ან მოსწავლეებმა, სხვებმაც რომ გააკეთონ რამე, პირში ჩაგედ-
ვან საჭმელი, ღრანჭს ისე გაანძრევ, ვერ დაღეჭ და საჭმელის მომ-
ტანსაც კეტითა სცემ, თუ არა და იმას ჭყვირი რომ რამე გადა-
გაყლაპონ; მაგრამ საუბედუროდ გემო სრულიად არა გაქვს, პირ-
დაღებულმა არ იცი რა ითხოვო, რა არა, არა თუ თანამემამულე-
თაგან, სხვისგანაც. შენთან ვერც ხელ-ძღვენიანი მოვა კაცი და ვერც
ხელ-ცარიელი; ერთის სიტყვით შენს მიზეზს კაცი ვერ მორჩება,
მექოთნემაც ასე იცის სითაც უნდა ყურს იქით მოაბამს ქოთანს --
აბა თუ კაცი ხარ და მართალი გინდა შეიტყო აკეთებენ ყმაწვი-
ლები რასმეს, ან შეუძლიანთ გააკეთონ რამე თუ არა, აი აგერ უ-
ილია ჭავჭავაძემ ჟურნალი გამოსცა და ნახე ერთი მაინც, გამო-
ცადე ყმაწვილები, ხელს ნუ შეუშლი, დარწმუნებით შეიტყე შეუძ-
ლიანთ რამე, თუ არა. მაგრამ რომ ვერც ამაში აუვლენ შენს ყველ-

რებას. თუ ამ ჟურნალმა პირველს ფურცლებზედ და ან პირველსავე წელიწადში ქვეყნის ფილოსოფიას არ მოგიყვა, არაფერი სცოდნიათ უმაწვილებსო. თუ იმ ხმაზედ დაიმღერა «საქართველოს მოამბემა, როგორც ამდენს ხანს იმღეროდა « ც ი ს კ ა რ ი » და ცოტათი უფრო სქელი იქნა ხომ კარგი; თორემ თუ ხმა გამოიცვალა და სისქით მაინცა და მაინც ვერ აჯობა «ცისკარს», შენს დევნას კაცი ვერ წაუვა, როგორც გადამდებს ჭირს, რადგან შენ, სპასალარი მილლიონს ბრძანებლობ და ყმაწვილები მხოლოდ ათნი, თუ ოცნი არიან.

ვიცი ამ ჩემს ნალაპარაკევს ჭეშმარიტების ნამტვრევებს დაუ-
ძახებ შენ, ჩემო ბიძია! რა გაეწყობა, მართლა დანაშაული ვარ,
რომ ამისთანაებს ვლაპარაკობ. მაგრამ, ვაი! იმ ხალხს, სადა მიუ-
ცილებელი საჭიროა რომ ამისთანა ჭეშმარიტების ნამტვრევები ი-
ლაპარაკონ, და მერმე ვინ? ვიღაც ბიძია თონიკემ და მე.

თერგ დალეული.

28 აგვისტოს 1862 წ.

ქ. პავლოვსკი.

# სხვა და სხვა ამბავი.

ამბავი! ამ სიტყვას ყოველი ქართველი შეჩვეულია და ხშირათაც ახმარებს.

სტუმარი რომ მოგსვლია, მკითხველო, გამარჯობის თქმის შემდეგ, რამდენჯერ წარგითქვამს იმისთვის ეს სიტყვა, კითხვით: ა მ ბ ა ვ ი? ერთი მოიფიქრე, რა აზრით გდომებია ამ სიტყვის ხმარება? უეჭველია, უფრო ხშირად უფიქრელად გიკითხამს და მაშასადამე უაზროთაცა; მაგრამ რის შეტყობა გსურვებია? სულ ერთი ყოფილა ხოლმე შენთვისა, რა ამბავიც უნდა ეთქვათ, თუ განსხვავება გიგრძვნია რამე?

«ის სტუმარი თუ ჩემთან ერთ რასმე განსაზღვრებულ დაიარება ჩემთანაო, მაშინ იმ საქმის ამბავსა ვჰკითხამო და ის მაშინვე მიხვდება და იმ საქმეზე მეტყვის რასმეო, თუ არა და . . . თუ ისე საზოგადოდ საინტერესო საქმე არა გვაქვს რა, მეტყვის რასმე რაღაო» . . . .

ვჰგონებ, მკითხველო, რომ კარგად მოიფიქრო, უთუოდ ეს მიპასუხებ, და გთხოვ, ეხლა ამ პასუხს მიაქციო ყურადღება და კარგად დაიხსომო, რომა სრული აზრიანობა მარტო მაშინა აქვს ხოლმე შენგან ამბავის მოთხოვნასა, როდესაც შენ თანამოსაქმე კაცს მიჰმართავ. ამ შემთხვევაში ის შენი თანამოსაქმე კაცი ხომ სტუმარი აღარ არის. თუკი სტუმრად მოგივიდა ვინმე, რომელთანაც მართლა რომ საზოგადოდ საინტერესო საქმე არა გაქვს რა, იმასთან მიმართული კითხვა «ამბავი?» ყოვლად უაზროა. ამას-

თანა ამ კითხვასა--ჩვენ ქართველობაში—მუდამ ერთი და იგივე პასუხის გება მოსდევს და მერე რა დიდი მნიშვნელობის პასუხის გება: მშვიდობა!

ჩვენცა, მკითხველო, შენთან საზოგადო საქმის დაჭერა ჯერ არა დაგვიდგენია რა, საზოგადოდ საინტერესო საქმე არა გვაქვს რა, და ამისათვის ჩვენცა სტუმარსავითა გვკითხამ, მასპინძელო მკითხველო, «ამბავიო?» ამაზე ჩვენ რა უნდა გიპასუხოთ, ჩვენა, რომელთაც შენთან განსაკუთრებითი თავის შეხლა გვაქვს-ყოველი თვისა და თვის თავზე, ჩვენ, გვინდა თუ არა. უნდა გიამბოთ რამე, შენ კი-გინდა წაგვიკითხამ, არ გინდა-მოგვისვრი და კუთხეში მიგვაგდებ, და ტყუილ უბრალოდ დაგვსაჯამ ამითი.

ჩვენ საუბედუროდ რომ ესე არ მოხდეს ხოლმე, ჩვენა ჩვენი საქმე უფრო მტკიცედ უნდა დავიჭიროთ. რომ მოვჰყვეთ და შენ კითხვაზე «ამბავი? ამბავი?» ჩვენ რომ ვიძახოთ: «მშვიდობა! მშვიდობა» ამითი შენც მოგაბეზრებთ თავსა და ჩვენ კაცობრივ ღირსებასაც ვერ დავაკმაყოფილებთ, რათგანაც ეს «მშვიდობა!» ტყუილი თქმა იქნება. სად არი, მკითხველო, ქვეყნიერებაზე მშვიდობა? ყოველ კერძოობით კაცსა ისეთი სენი უდევს სულში, რომა რა ეთქმის . . . როგორ მოგახსენო, მკითხველო. . . შენც იწყენ, და როგორ გაწყენინო ტყუილ უბრალოთა, მეტადრე, რადგანაც თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აღარა გეშველება. საზოგადოობისა რაღა მოგახსენოთ . . . სენი უარესია! . .

მაშასადამე მშვიდობის თქმა ჩვენ არ შეგვფერის.

ამბავიო! რა არის ამბავი? ეს სიტყვა რასა ნიშნავს? ამბავი ხომ სულ ყოველის ფერსა ნიშნავს, რაცკი მომხდარა მაგ. გუშინ პავლე სადილად პეტრესთანა ყოფილა; ერთმა კაცმა ჰსთქვა, მე ქვეყნიერებისა არა მწამს რაო; გუშინ ქუჩაში დავდიოდი და ერთმა კაცმა ქვას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა; დღეს ერთი პატიოსანი კეთილშობილი და საზოგადოდ სასარგებლო კაცი შიმშილისაგან მომკვდარა.—ეს სულ ამბებია.

ჩვენ საზოგადოებაში რომ შეიყრებიან ხოლმე ყმაწვილები — კაცებთა და ქალებთანა-რითი შეიქცევენ ხოლმე თავსა ? ამ კითხვის დაგება როგორღაც მესიამოვნა, მკითხველო, და პასუხის გებისაგან კი თავის განთავისუფლება მინდა და არ დამემდური. ამაზე პასუხის გება შენც შეგიძლიან ხომ, ოღონდ ერთხელ როდისმე ყური დაუგდე სტუმრების შეყრილობასა, ისეთ შეყრილობასა, რომელიც თითქმის ყოველთვის მოხდება ხოლმე, რომელიც სხვა და სხვა შემთხვევაზე და შეხვედრაზე ჰკიდია, ანა მასპინძლობის გამოსაჩენათ, ან პურ მარილობის დასავალებლათ.

ჩვენა ჯერ უნდა ვიცოდეთ, ვინ რა გვარ ამბებს მოგვითხოვს. ამისი ცოდნა იმისათვის არის ჩვენთვის საჭირო, რომა საქმე უფრო ბეჭითათა და განსაზღვრებით დავიჭიროთ. ეს ეხლა ცხადია, რომა თავის დღეში ისეთი კაცი არავინ გამოვა ჩვენში, რომელმაც მთელი ქართველობა დააკმაყოფილოს. ჩვენ საზოგადოებაში მოთხოვნილებაები იმოდენად არეულან, რამდენიც კერძოობითი პირია,- მე — სხვა და სხვა ამბვის მოამბემ — რა ღონის-ძიება მოვიხმარო? ქვეყნის დაკმაყოფილებას რომ დავადგე, ცხადია, ყოველი ჩემი მეცადინეობა ფუჭად ჩამივლის, ან რა საჭიროა ქვეყნის დაკმაყოფილება !

მაშა სხვა რამე უნდა ვიფიქროთ. კარგად გავშინჯოთ, რა არის ამბავი, ყოველი იმისი მნიშვნელობა, ზედ გავლენა.

როგორც ზემოთა ვჰსთქვით, ამბავი არის ყოველის ფერი, რაც კი მომხდარა, და რაცა ჯერ იმას შეტყობილი არა აქვს, ვისაც მოამბე უამბობს. მაშასადამე, ჩვენ რომ გიამბოთ რამე, მკითხველო, ჯერა-მარტო შენთვის იქნება ამბავი; მასუკანა, ის ამბავი ჯერა შენგან შეუტყობი უნდა იყოს. ამისი აღსრულება ძნელია. როგორ უნდა მივხვდე ეს და ეს ამბავი მკითხველს ვისმე შეუტყვია, თუ არა ? თუ შეუტყვია ვისმე იმასთან ეხლავ მოვიხდით ბოდიშსა, რომ მოგვიტევოს, თუ ერთი რამ ჩვენგან ნაამბობი ამბავი შეუტყვია. ბოდიშის მოხდა კერძოობით პირებთანა ადვილია, მა-

გრამა მთელ საზოგადოებასთან ბოდიშის მოსახდელად, ვეცდებით, საქმე არ გავიხადოთ.

ჩვენ საზოგადოებაში ყოველი ადამიანი დაგვეთანხმება ამაზე, რომა როგორი ამბავიც უნდა უამბოს კაცმა, უთუოდ აზრი უნდა ჰქონდეს რამე, ისეთი აზრი, რომელიც საზოგადოა ჯერ ამისათვისა, ვინც ამბობს და მერე იმისთვისაცა, ვისაც ეუბნებიან. თუ იმ აზრზე ორივე მხარეს ჭკუა-გონება შენათესავებული აქვს და ამბავიც იმ აზრს ეხმარება, მაშინ იტყვიან საინტერესოაო. მაშასადამე ჯერ აზრებიი უნდა შევნათესავდეთ ჩვენა და შენა, მკითხველო, რაკი შევნათესავდებით აზრებითა, მაშინ მკითხველმა შეიძლება გვითხრას ესა და ეს ამბავი საამბობი არ იყოვო.

მაგრამა, მკითხველო, შენ კი ერთი ხარ, შენთან კერძოობითი ცნობა არა მაქვს, და მე და შენ საზოგადოდ საქმე არა დაგვიჭერია რა — ჯერა — უნდა იფიქრო, რამდენი სხვა მყავს მკითხველი. ყველანი ერთად იმ საზოგადოებას წარმოადგენთ, რომელმაც სხვათა ღონის-ძიებათა შორის, ლიტერატურასაც ქართველობის წინამავლობისათვის ღონის ძიების მნიშვნელობა მიეცით. სხვა აზრი არა შეიძლება რა გქონდესთ.

მაშასადამე ჩვენ ამბებს რომა კითხულობდე ხოლმე, მკითხველო, ფიქრად საზოგადოდ ქართველობა უნდა გქონდეს განუწყვეტელადა. ამითი, იქმნება, მეტად მძიმე ტვირთი დაგვედოს, მკითხველო, მაგრამ, რა გაეწყობა, უნდა ჰზიდოთ, ჰწიოთ. ყოველმა აზრიანობამ ესე იცის.

მარტო შენთან აზრებით შენათესავება ჩვენთვის საკმაო არ არის. მთელი საზოგადოება უნდა დავინათესავოთ. მაგრამა ეს ისე ადვილი არ არის. ამას ბევრი შემზადება უნდა, და რამოდენათაც ჩვენზე კიდია, ყოველი მეცადინეობა უნდა მოვიხმაროთ, რომა აზრებით შენათესავებას რითიმე, ცოტაოდენად მაინც მოვეხმაროთ.

ყოველ კაცსა, რომელიც მწერლობის გზას დაადგება, აზრების შემკვიდრებული მექონეობა მოეთხოვება. ყოველის ფერი, რასაც კი იტყვის, იმ აზრებზე უნდა იყოს დამყარებული და იმ აზრებითგან

გამოწურული, და თუ ისე უფიქრელად წამოსთქვა რამე კაცმა, იმას უაზრობა ეთქმის. იმ აზრების ხასიათსა, იმასა, რა ბურჯზე, სამირკველზე იმართებიან იმისი აზრები და იმ ბურჯისაგან ეს აზრები როგორ, რა განზრახვით გამოიწურებიან,-იმასა ჰქვიან მიმართულობა. ერთსა და იმავე მიმართულობაზე დააყენე, კაცო, მთელი საზოგადოება, და ამითი შემკვიდრებული გზა გაუხსენი წინამავლობასა და ვითამც ყოველი საზოგადოებისათვის სარეტარო კეთილ-მდგომარეობის შესრულებით დაგიდგენია.—

რათგანაც ჩვენა აზრების გარდაცემა გვინდა მკითხველებისათვისა, ამიტომ ჯერ იმ აზრების ახსნას დავადგებით, რომელნიც ბურჯად უდევს სხვა აზრებსა. ამას რომ ვამბობ, რასაკვირველია, ამ აზრების გარდაცემა, მაშინ იქნება საინტერესო, თუ ამ აზრსა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ჯერ განხორციელება არა აქვს, მარტო მაშინ შეიძლება ჩვენ ნაწერსა ამბავის მნიშვნელობა მიეცეს.

ზოგი აზრი არის ისეთი, რომელიცა სარწმუნოებად უდევს კაცსა და რომელიც სხვა აზრებსა საფუძვლათა აქვსთ. ამათ ქონებასა და ხმარებასა ხალხი სვინიდისიანობას ეტყვის. ყოველს ამ გვარ აზრსა ერთი და იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამ ერთისა და საზოგადო საფუძველი აზრის მოპოვება არ არის ადვილი. საზოგადოება, ხალხი ჩვენ დროში ამ დედა-აზრს ვერა ჰგრძნობს. საზოგადოება ყოველთვის სხვა და სხვა კაცობრივი ქმნილობის განხილვაშია და იმისი განაზრვაში დედა-აზრამდინ ვერ ჩადის. იმის საფუძვლიანობაში ყოველთვის კიდევ სხვა საფუძვლიანობა უნდა მოიძებნოს. ბევრსა რამდენი სხვა და სხვა ნაირი საფუძვლიანობა აქვს, რომელს იქითაც ვერ წავა. ბევრსა უღრმეს საფუძვლათა აქვს: ჰადათი, წესი, კანონი, ჩვეულება, ღვთის მოყვარება, კაცობრივი სიყვარული, ქვეშევრდომილებითი გრძნობა. ყოველი კაცი ამ გვარ საფუძვლიანობისაგან, ამ გვარ დედა-აზრისაგან გამოიკვლევს თავის ვალდებულებასა თავის სიცოცხლეში და ესე დაიფუძნებს თავის სარწმუნოებასა.

*****

ჯერა ამაზე ლაპარაკის შეძლებისათვის ის უნდა ვჰსთქვათ, რომა ყოველ კაცობრივ ვალდებულობასა ორ გვარი მნიშვნელობა აქვს, ყოველი კაცის ქმნილობასა ორ გვარი ხასიათი, ორ გვარი საფუძვლიანობა აქვს. ერთითა შეეხება ზეციერებასა, მეორით ქვეყნიერებასა, ერთის საგანი, გულის წადილი და უკანასკნელი საფუძვლიანობა არის საიქიო სასუფეველი, სულის ცხონება; მეორის საგანი, უკანასკნელი საფუძვლიანობაა ქვეყნიერებაში კაცობრივი კეთილ-მდგომარეობა, ქვეყნიერებაში სიცოცხლის კეთილ-წარმართება. ჩვენა საგნად გვექმნება მუდამ ეს უკანასკნელი: ქვეყნიერებაში კაცობრივი კეთილ-მდგომარეობა, რათგანაც ამბავი თუ მოხდა რამე ეხლა, მარტო ქვეყნიერებას შეეხება, და არა ზეციერებასა, რათგანაც მარტო ქვეყნიერება არის ნაკლულოვანი, და მაშასადამე ჩვენგან გასაჩხრეკი და გასარჩევი, ზეციერება კი ყოვლად უსრულია და არა რა კაცობრივი გაჩხრეკა და გარჩევა არ მიუდგება.

ამ აზრით განიმსხვავებიან: სარწმუნოება სამღთო და რჯული სამოქალაქო. პირველისათვის არიან: ეკკლესია, იმის მსახურნი და ნასწავლნი ღვთის მეტყველნი. მეორისათვის არიან საერო სწავლა და საერო ლიტერატურა. ამაზე ლაპარაკის დასასრულებლად ისიც უნდა ვჰსთქვათ, რომ კანონი სარწმუნოების საღმრთო სარწმუნოებაზე დაფუძნება, — რათგანაც ეს საგანი პირველს შეეხება განსაკუთრებით, — საერო სწავლისა და ლიტერატურის საგნად აღარ არის. —

კაცობრივობასა, რა ხანიცა ჰსცხოვრებს დედა-მიწაზე, თავის ცხოვრებისა ბევრი ცვლილება გამოუვლია. ადამიანების შეხედვითა ქვეყნიერებას შეადგენს ბუნება და იმისი გვირგვინოსნური მეუფე-ცხოველი — კაცობრივობა, - ერთი არის მასალა ცხოვრებისა, მეორე მემოქმედე. კაცობრივობა მოქმედობს და ამ მოქმედებითა ცხოვრება ეცვლება. ყოველ გვარ ცვლილებაში თუ აზრიანობა, კანონიერება არ არის, ყოველისფერი, რაშიაც ეს ცვლილება მოხდება, არ შეიძლება არ განადგურდეს. აზრიანობა, კანონიერება ამკვიდრებს ქვეყნიერების სიცოცხლეს. რაკი ქვეყნიერება ცვლილებაზე და აზრია-

ნობაზეა-ამისგან აუცილებლად წარმომდგარი კანონი:--წარმატებაა.

ჩვენ საზოგადოებაში კი ერთი მეტად უკუღმართი აზრი ტრიალობს სხვათა შორის, რომელსაცა დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჩვენგანა იმითი, რომა მთელ ჩვენ საზოგადო ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვს: ჩვენ თანამედროვე მოთხოვნილებასა, ცხოვრების ყოველი სარწმუნოებითი აზრების განხორციელებას უშლის, ფეხებს უჭრის და უკვეთავს. ეს უკუღმართი აზრი ის არის, ვითამც ქვეყნიერება წინ კი არ მიდის, უკუიქცევაო. ამისი მიზეზი აი რა არის: ქართველობას ასე ჰგონია, რომა მთელი კაცობრიობის წარმატებითგან მოშორებული იყო, რომა მთელი კაცობრიობის წინამავლობაში ყოველი მონაწილეობისაგან მოწყვეტილი იყო. მაგრამა ჩვენმა ქართველობამ ისიც არ იცის მგონია, რაში მდგომარეობს წინამავლობა კაცობრიობისა, და ეს წინამავლობის სარწმუნოებითი აზრები ჩვენ საზოგადოებასაც შეეხება როგორმე, თუ არა? ჩვენთვის ბევრჯერ უკითხამთ, აბა ერთი სხვა ქვეყნების ამბავი გვიამბე რამეო. ამასთან ყოველთვის დარწმუნებულნი ვყოფილვართ, რომა ეს თხოვნაც ისე უაზრო ყოფილა, როგორათაც მოუფიქრებელათ და უაზროთ მასპინძელი თავის სტუმარსა ჰკითხამს ხოლმე: «ა მ-ბ ა ვ ი !»

ახლა ჩვენ ამ წინამავლობის ხარისხების ჩვენებას ვეცდებით მთელს კაცობრიობაში. ჩვენ ქართველობასა და ბევრ სხვა ხალხსაც სულაც არ მოვიხსენიებთ, რადგანაც, როგორც ერთ საზოგადოებაში კერძოობითნი პირნი არიან ხოლმე თავის ხალხის წინამავლობაში წინამძღვრათა, ისე მთელ კაცობრიობაში, წინამავლობის ყოველ ხარისხში, ცალკე, კერძოობითი ქვეყნები იყვნენ ხოლმე წინამძღვრათა.—

ჩვენ რასაც ვიტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომა ყოველის ფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში; ამისათვის, გთხოვ, რომა სხვა და სხვა ქვეყნებისა სხვა და სხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგი-

ნო ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე, იმის თანამედროე მაცოცხლებელსა, თუ მამაკვდინებელ აზრებზე, თუცა უაზრობაზე, მოიფიქრე ხოლმე და შენ ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ. არა მგონია კი რომ არ შეგეშინდეს, თუმცა ხანჯალიც კიდევ გარტყია ხოლმე და თოფიარაღსაც თვეში ერთხელ გაიწმენდამ ხოლმე. იქნება, შენი უწინდელი, ძველებური ჩვენებური მამაცობისაგან მარტო ეგ გარეგანობა, ტრაბახობაღა დაგრჩენია, იქნება ეგ კაცის მადიდებელი გრძნობა დამდაბლებელ ღარიბობათა და სიმხდალედ გარდაგქცევია! თუ არა, ფიქრი არ არის, თუ ჴო, მშვიდობით, ქართველობავ!

მანამ პირველ დაარსებული ადამიანობა საზოგადოებად შეკავშირდებოდა, აბა, რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ადამიანებისა? ყოველ იმის სარწმუნოებასა, ე. ი. ყოველ იმის ქმნილობასა, კერძოობითი პირის მხეცებთან გასწორების ბეჭედი ედვა. ვერც ერთი კერძოობითი პირი ვერ გამოიჩენდა თავის კერძოობით ხასიათსა. იმათი ზნეობითი წრე შემოკლებული და შემმუსვრილი იყო ბუნების მოვლენაებისაგან, რომელთა კანონებსაცა და აზრსა იმათი მცირე ჭკუა ვერა ჰსწვდებოდა. ბუნება ყოვლის იმის ნივთიერებითა და მოვლენაებითა ჰსუფევდა კაცზე. ეს, რასაც ბუნებაში თავისი ხუთი გარეგანი გრძნობითა ჰგრძნობდა, იმასა ჭკუით ვერ განირჩევდა და მეტი ღონე არა ჰქონდა თაყვანისცემით შეითვისებდა. მაგ. ქარი ქრის, ცეცხლი ანთია, მზე ანათებს, წვიმს, ქუხს, ელვარებს,-ყოველსა ამას კაცი ვერ განარჩევდა, ჭეშმარიტებით ვერ იგონებდა და კაცის ჭკუა-გონება იმოდენად უძლურობდა, რომა ყოველსა ამას:— ქროლასა, ცეცხლსა, მზესა, წვიმასა, ქუხილსა, ელვარებასა თაყვანსა ჰსცემდა. თაყვანის ცემა არის ერთი და მარტოდი კაცის სულის მოქმედება ძველებურ დროში. ამ თაყვანის ცემაში ტრიალებს ყოველი, მთელი მაშინდელი სარწმუნოება, როგორც საღმრთო ისე კაცობრივი, სამოქალაქო. ერთ ადამიანსა, მეორის ღირსება არ გა-

ეგება: ერთი მეორეს მოჰკლავს, აწვალებს, როგორც შეხვდება. უაზრო შემთხვეულობაზე იყო ყოველის ფერი დამოკიდებული. შეხვედრაზე ჰკიდია ყოველი მოქმედების დაწყება და კაცები ერთმანერთში ძალადობით გაათავებენ ყოველ საქმესა.

შემთხვეულობა არის უაზრობა, წინააღმდეგი შემეცნება ყოველი აზრიანობისა, კანონიერობისა, წესიერობისა. კაცობრიობის წინამავლობა სულ იმაზე ტრიალებს, რომ კაცი შემთხვეულობაზე არ იყოს დამოკიდებული, კაცსა აზრიანობაზე დამყარებული თავის უფალი ნება მიეცეს.

ყოველთვის ყოველი წინამავლობის ხარისხი, კაცობრიობისაგან ყოველი წინ წადგომა საჭიროებისაგან მოვა. საჭიროებამ დაადგინა სახლობა, და იმაში ერთ ერთის უფროსობა. მაშინა სახლის სხვა წევრებსა მოეთხოვებოდათ მორჩილობა, რომ სახლის უფროსსა მნიშვნელობა ჰქონოდა რამე. ეს სახლის მამა-უფროსი იყო წარმომადგენელი მთელი სახლობისა, რომელსაც რასაც მოინდომებდა, აუსრულებდა და ვინ იყო მკითხველი. რასაკვირველია, ეს მამა სახლისა იყო დესპოტი, რომელსაც თავის სახლობაში სხვა აზრიანობა, სხვა სარწმუნოება არა ჰქონდარა, მძლავრობის მეტი. ამას შემდეგ, თითო თითო სახლობაში იქმნება რიგიანობა კი იყო (რიგიანობა, რასაკვირველია, თავისებური), მაგრამა სახლობასაცა, კერძოობით აღებულსა, ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც კერძოობით პირებსა. ერთი ერთმანერთში საქმის გარიგებაში ულეტამდნენ და სწყვეტამდნენ სუყველასა, სისხლის გადახდასა იმათში ბოლო აღარ მოეღო, მანამ იმათგან მკვიდრი საზოგადოება არ შესდგა.-

მანამ ეს საზოგადოება შესდგებოდა შიგ სახლობების შეურილობაში ერთი რამ მოხდა, მეტად შესანიშნავი. როდისაც, როგორც ზემოთა ვჰსთქვი, ადამიანების სულის მოქმედებას მხოლოდ თაყვანისცემის მნიშვნელობა რომ ჰქონდა, მაშინ, ამავე თაყვანისცემის რიგიანობისათვის, სიმკვიდრისათვის და ცხოვრებაში ცხადად განხორციელებისათვისა, დაარსდა ადამიანობაში კასტობა. პირველი ხარისხი კასტობისა, არის მოგვობა, ეს მოგვები იყვნენ შუამავალნი იმ ბუნების მოვლენაებისა, რომელთაცა მაშინდელი ადამიანობა თაყვანს ცჰსცემდა, — და თვით თაყვანის მცემლებისა; იმათ უგუნურობაში და

მხეცობაში იყო განხორციელებული მაშინდელი თაყვანისცემის ყოვლად მხეცური უაზრობა. ამასა საზოგადოების შედგენისათვის პირველი ფეხის გადადგმის მნიშვნელობაცა აქვს.

როგორც იყო, ბოლოს ადამიანობამ თავის წინამავლობა მაშინ გამოიჩინა როდისაც რამდენმამე ნათესავმა სახლობამა შეერთების საჭიროება რომ იგრძნო, თუ ერთმა რომელმამე პირმა იმოდენად იმძლავრა სხვებზე, რომ სხვები დაიმონავა, თუ სხვა რომლისამე მიზეზით და როგორც იყო საზოგადოება შესდგა — გაჩნდა სხვა და სხვა ხალხის სახელმწიფონი.

იმათში, ყველგანა, ერთი კაცი იყო მეუფე, მეფე. სხვები არიან იმისი მონები: ეს მონაობა არის უმთავრესი თვისება ძველებური საზოგადოებაებისა, როგორც მთელი ხალხისა საზოგადოდ, ისე კერძოობითა და განსაკუთრებით კაცისა. მაშინდელ კაცსა ერთი ვალდებულობა აქვს მორჩილობა ყოვლად უაზრო. ამავე გვარ მორჩილობას გამოიჩენდნენ ხოლმე ძველებურ მოგვებს წინაშე, მაგრამა იმ მორჩილობას სხვა ბეჭედი ადევს, უფრო უგუნურებასა, და აქა, საზოგადოებაში მორჩილობასა სხვა, უფრო უძლურობისა. ორსავე რასაკვირველია, მაშინ აუცილებელი საჭიროება მოიტანდა, მაგრამა რა მიზეზითაც იყო - ესე იყო. მეფე რაში ახმარებდა თავის ძალასა? მოიფიქრე, მკითხველო, რა ღირსებაებზედაც მითქვამს რამე, ის ღირსებაები უნდა ჰქონდა მხედველობაში, რათგანაც სხვა არარა კაცობრივი ღირსების გაგება არა ჰქონდარა კაცსა, მოგვთ-უხუცესი იქმნებოდა, მეფე, თუ სხვა ვინმე.

ამასობაში შესაძლებელი იყო რომა ზემოხსენებულ თაყვანისცემასა და კერპთ მსახურებასა მნიშვნელობა ჰქონოდა რამე, თუ არა? რასაკვირველია! ამ აზრის გულში ჩანერგილების გამო საზოგადოებაშიაც იმონავა კაცმა, თორემა მთელი საზოგადოების დამონება სხვა მიზეზით ძნელი წარმოსადგენია.-მანამ კაცი გონებიანობას განივითარებდა, საზოგადოებაში იმ მოგვების მტკიცედ დადგენა ადვილი იყო, რომლებსაც რა წესის დადგენაც მოუვიდოდათ გონებით გაუხსნელ თავში, დაადგენდნენ იმ ძალითა, რომა ვითამ ზეციერს ღმერთსა, ცისა და ქვეყნის შემოქმედსა ესე ენებებაო. ვითამ ამ ნებით

კაცებსა სხვა კაცები ცეცხლში ჰსწვამდნენ, ატყავებდნენ, ერთი სიტყვით ისე ექცეოდნენ, როგორც მხეცსა, როგორც ნივთეულობას რასმე

კაცობრიობის განათლებამ იცისკრა პირველად ბერძნების ქა-ლაქებში, და რომში.-აქ არის დასაბამი კაცობრიობის წინამავალი განათლებისა. აქა კაცმა პირველად თავისი გონება და კერძოობი-თი ძალა გამოიჩინა. რაკი კაცსა კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა საზოგადოებაში, მაშინ გამოჩნდა წინ წადგომა კაცისა. ყოველმა ი-მის ბუნებისაგან შთაბერვილმა ძალამა აზრიანად დაიწყო მოქმედე-ბა და ამაში დაადგინა კაცმა თავისი ჭკუის მიმდინარეობა. მაშინ კაცი ჯერ იმ აზრს მიხვდა, რომა კაცი მარტოდ მარტო უძლური ცხოველია, რომელსაც ძლიერება მაშინ მიეცემა, როდესაც სხვათა შორის იცხოვრებს და იმათთან თანასწორობით. ყოველის ფერი კეთილი მომდინარეობს კაცთ საზოგადოებისაგანა. ამის მიხედვით ძველმა ბერძნებმა აღადგინეს აზრი ხალხის საზოგადოობისა, რომ-ლის წინაცა კაცი სხვა არა არის რა, თუ არ წევრი იმ საზოგადო-ებისა. ეს წევრი თავის საზოგადოებას ყოვლის ძალითა და ღონით ემსახურება და ყოველ წუთსა მზა არის, რომა ყოველის ფერი სა-ზოგადოების სარგებლობისათვის შეჰსწიროს: არც ქონებასა, არც ცოლსა, შვილსა, თავის თავსა,-არაფერს არ დაიშურვებს თავის ქვეყნი-სათვისა. ყოველი საზოგადოება შეკუმშულია ერთ ქალაქში. კაცი კერ-ძოობითი ამ ქალაქისათვის ყოვლად განწირული მონაა, რომელსაცა სხვა მეუფე არავინ ჰყავს თვით საზოგადოების მეტი, რომლის წევრი თვითონაც იმოდენად არის, რამოდენათაც სხვა მოქალაქე. თავისუფა-ლი არის თვითონ ქალაქი; ამ ქალაქის თავისუფლებაში, იმისი გაკეთე-ბისა დ გამძლავრების სურვილში მდგომარეობს ეს პირველი კაცობრი-ვი ღირსება—სარწმუნოება ადამიანისა. ადამიანსა თავისი კერძოო-ბითი საქმე, გულის წადილი არა აქვსრა; თუ ადამიანსა, როგორც იმისი ღირსება-სარწმუნოება მოითხოვს, საქმე აქვს რამე,—ეს საქმე, ეს გულის-წადილი საზოგადოების მოთხოვნილებისაგენა აქვს მიმართული. ყოველ მოქალაქესა თავის ქალაქის დიდება ადიდებს. რასაკვირველია, აუცილებელი საჭიროებისაგან იყო გამოთესილი ქის დებულება, რომა ყველა მოქალაქეებსა სრული თანასწორობა

ჰქონდათ ერთი ერთმანერთში. ამ ურთი ერთი თანასწორობი თრეშწ-
დგენილი საზოგადოება-იყო რესპუბლიკა (respublica). ძველი სა-
ბერძნეთის ქალაქებსა და რომსა ერთისა და იმავე აზრის განმა-
ხორციელებელი მნიშვნელობა ჰქონდათ; მაგრამა ერთი იყო და-
მაარსებელი აზრისა, მეორე იმისი შემსრულებელი. რითაც მთელ-
მა საბერძნეთმა გაათავა თავისი მნიშვნელობა, იმითი, იმ მდგმოი-
არობით იწყო რომმა. იმის მოქალაქეებისაგან მამულის სიყვარულ-
მა ეს ქალაქი ისე აღამაღლა, რომა იმათმა მამულმა (patria) იმა-
თის პატრიოტობით სრული დიდება მიანიჭა მაშინ ქვეყნიერებაში:
ამ სამოქალაქო სარწმუნოების ძალასა იმის მეტი სხვა რაღა მო-
ეთხოვებოდა, რომა ამ სარწმუნოებით ანთებულმა რომმა მთელი
მაშინდელი ქვეყანა დაიპყრა. ყოველი ადამიანი რომის საზოგადო-
ების წევრი, იყო მოქალაქე და არა კაცი. ერთმანერთსა პატივსა
ჰსცემდნენ, როგორც მოქალაქესა და არა კაცსა. რასაკვირველია, კაცთ
მოყვარება, რომელიც ქრისტიანობამ შემოიტანა, მაშინ რათ იქნე-
ბოდა! ამ კაცთ მოყვარებისა არავის არა გაეგებოდარა მაშინა. ამა-
ზე მეტი ამისი დამტკიცება რა იქმნება: უცხო ადამიანსა, სხვა ქვე-
ყანაში მცხოვრებელსა, სხვა ხალხის კაცსა და მტერსა ერთი და ი-
გივე სახელ-წოდება ჰქონდათ რომის ენაში (hostis). აქა სამოქა-
ლაქო ღირსების განმღვიძებელი რა იყო? რასაკვირველია, სხვა ქვეყ-
ნების შემინება, სხვა ხალხების შეპყრობა დამონება. რაკი ბოლოს
მაშინდელი ქვეყნიერება რომის მონა შეიქმნა, ამითი ეს საგანი დაი-
ლია და მაშინ განმღვიძებელი საგანი სხვა არა ჰქონდარა და აირია
იმის ჭკუა გონების ერთი მიმართულობა, და საზოგადოების კავ-
შირი გაწყდა, თვითონ საზოგადოება დაირღვა და ხალხი გარყვნი-
ლობის გზას დაადგა. რაკი გარყვნილობა შეადგება კაცსა, მაშინ ვე-
ღარა ეშველებარა ხოლმე, თუ არ ძირიანი ამოთხრა და განადგუ-
რება იმ წესისა და რიგისა, რა წესი და რიგიც საზოგადოებას
გარყვნის მიზეზს აძლევს.-

მაშინდელს უკუღმართ ზნეობის განმაცოცხლებელ აზრად კაცობ-
რიობაში შემოვიდა ქრისტიანობა ეს განმაცოცხლებელი აზრი ა-
რის კერძობა კაცისა, რომლითაც ყოველ კაცსა, კერძობი თაყ-

კანილსა, მთელი კაცობრიობაში მიეცა მნიშვნელობა. ამ აზრის
გულში ჩანერგილებას, რომელიც სარწმუნოებამ ვალდებულებად და-
უწესა კაცსა, დაერქვა კაცთმოყვარების გრძნობა.

რათგანაცა, მკითხველო, ყველანი, მგონია, დარწმუნებულნი იყ-
ვნენ, რომა «გული მაგ გრძნობითა სავსე მაქვსო, მაშასადამე ვგრძნო-
ბო და მაშასადამე, როგორ არ მეცოდინება, რასაცა ჰნიშნავს კაცთ-
მოყვარებაო?!» და რათგანაც ისიცა მგონია, რომა ბევრი ძალიანა
ჰსცდებოდეს თავისებურად კაცთმოყვარების წარმოდგენილობაში, ნე-
ბა მომეცეს, ორიოდე ამ ქრისტიანობის აზრის გასამარტებელად ო-
რიოდე სიტყვა კიდევ მოვიხსენიო. (*)

ჯერა ბერძნებისა და რომის სამოქალაქოსამდინ ქვეყნიერება
სრულიად მონაობაში იყო ჩავარდნილი. მასუკან ბერძნების ქალა-
ქებში და რომში წადგა წინა მოქალაქობა. მაგრამ მაშინაც კი ვისც
მოქალაქე არ იყო, ის იყო მონა, რომლის მდგომარეობაც იყო უ-
უბედურესი. მოქალაქეები სხვებს ისე ეკიდებოდნენ, როგორც ნივ-
თეულობასა. მაგ. რომში მოქალაქეები, სხვათა შორის, ამითი ირ-
თობდნენ თავსა: შემოიყვანდნენ წრედ შემორტყმულ მეიდანზე დამ-
შეულ ლომსა და მიუგდებდნენ მონასა. როგორ მოეკიდებოდა და
უალერსებდა ლომი კაცსა, ეს შენ თვითონ წარმოიდგინე, მკითხვე-
ლო! იმ გალავანსა გარშემორტყმული იყო რომის მოქალაქობა,
რომელიც უყურებდა და ამითი სიამოვნების გართვაში იყო იმისი
სული და გული. გარეშე კაცსა ისე ეკიდებოდა ყოველი რომის მო-
ქალაქე, როგორც მტერსა: მოჰკლამდა, აწვალებდა, ჩამოახრჩობდა,
ჯვარს აცვამდა. ამას სხვა იმისი თანამოქალაქე ისე გულგრილად მი-
იღებდა, ვითომც მგელი, ტურა, მელა მოეკლა, ხე მოეჭრა.-ქრის-

---

*) ამასთან აქვე ისიც უნდა ვჰსთქვა, რომა გრძნობა რისამე
და იმისი ცოდნა, შემეცნება სულ სხვა და სხვანი არიან. ვჰსთ-
ქვათ . . . . ამას კი ვეჭობ, მაგრამ ვჰსთქვათ მაგალითად; მე შენ გიყ-
ვარვარ. თუ გიყვარვარ, ჩემდა სიყვარულსა ჰგრძნობ, რასაკვირ-
ველია. მაგრამა, აბა ამიხსენი, რა არი სიყვარული? აბა მოიფიქრე,
შენი ახსნით ხომ ვერ დამაკმაყოფილებ.

*** **

ტიანობამ სხვებრ შეხედა ადამიანსა. ქრისტიანობასა ეს შევიწროებული და კაცობრიობიდამ გამორიცხული ადამიანობა ჰქონდა აზრათა და იმის აღდგენისათვის იყო მოსული. ყოველ ადამიანს კაცობრიობაში წევრობის მნიშვნელობა მიეცა და მასუკანა—ყოველი ადამიანი-შიგნითი მონა იყო, თუ გარეგანი, უცხო ქვეყნისა,-ყოველი შეიქმნა კაცად კაცადი. ამითი წარმოსდგა კაცობრიობა. მანამდინ იყვნენ ცხოველნი, ადამიანები, მოქალაქეები, უფლები, მონები, ქრისტიანობას შემდეგ უნდა ყოფილიყვნენ კაცნი. მასუკანა ერთ ხალხსა ისეთივე ნაწილობითი მნიშვნელობა მიეცა მთელ კაცობრიობაში, რა მნიშვნელობაც ერთ ადამიანსა ჰქონდა მთელ ხალხში. მასუკან კაცებში ინერგება ურთიერთი სიყვარული, ურთიერთი პატივისცემა, ურთიერთი თანასწორობა. მასუკანა სამოქალაქო სარწმუნოებაში განირჩევიან: ვალდებულობა კერძოობით პირებს წინაშე, ვალდებულობა საზოგადოებას წინაშე და ვალდებულობა მთელი კაცობრიობას წინაშე.

ქვეყნიერებაში ყოველ ამ გვარ ვალდებულობასა, ყოველ სამოქალაქო სარწმუნოებასა თავისი სიმკვიდრე, ცხოვრებაში განხორციელებლობა ყოველთვის აუცილებელ საჭიროებაზე დაეფუძნება. სარწმუნოებად მანამდინა რჩება ყოველი შეგონება, ყოველი შემეცნება, მანამ იმას, რაც შეიგონა, ჭკუა ვერ გაჰსჭრის: ვერ ახსნის და ბუნებითსა და სხვა მტკიცე კანონებზე ვერ დაამყარებს.-ეს გვახსოვდეს.

ამ ქრისტიანობასა შეემატა ბარბაროსული ხალხების საზოგადოებითი დაწყობილება, რომელშიაც კერძოობას დიდი თანასწორობითი მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოობა მანამდინ აზრად, სარწმუნოებად წარმოდგენილი ამ ხალხების საზოგადოებაებში იყო განხორციელებული. ამ ხალხებმა დაშალეს დაობებული რომის უფლება და დაიმონავეს მთელი იმისი ხალხი, და მიწები თვითონ საკუთრად იპყრეს. ამისაგან შესდგა ბატონ-ყმობა (ფეოდალიზმი). აირია ორი სულ სხვა და სხვა გვარის წესი. რამდენნაირი და სხვა და გვარის ღონისძიება მოხმარდა იმათი შეთანხმობასა; მაგრამა

ჭეშმარიტ რიგიანობაზე და წესიერებაზე შეკავშირება კი ჯერ შორს იყო. თუ შეთანხმოება მოხდა რამე, უფრო გარეგანობის მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე აირია სხვა და სხვა დროების მოთხოვნილობაები, რომელნიც მაშინდელ კაცობრიობას შემკვიდრებულათა და შეკავშირებით სისხლში და ხორცში არა ჰქონდა ჩანერგულები. მაშინდელი ფეოდალიზმი ყოველგზის წინა აღუდგებოდა საზოგადოებით რიგსა, ყოველი სარწმუნოების მოთხოვნილებასა, ყოველ სამართლიანობასა; ამ ფეოდალიზმმა ერთი სამართალი იცოდა-მძლავრობა და სხვა არაფერი. ამ დროში, საკვირველია, ქრისტიანობის აზრი მაინც განხორციელების გზაზე იყო დაყენებული. მაგრამა, ამ განხორციელების ყოველ გამოჩენილობასა გარეგანობის ბეჭედი ადევს. მაგ. ქრისტიანებსა, რომელთაცა მაჰმადიანობა ავიწროებდა და აწვალებდა მთელმა ევროპამა ისეთი თანაგრძნობა გაუწია, რომ აქვეყანა ევროპაში. ყოველის ფერსა ჰყიდის, ყოველ ქონებასა, ნათესავობასა სწირავს ქრისტიანების კეთილმდგომარეობისათვისა და მიდის რამდენისამე თვის სავალზე გამოუთქმელის გაჭირებითა და ებრძვის თავის თანა მერწმუნეების მტერსა. თითქმის მთელი ორი საუკუნის განმავალობაში იჩენს მთელი ევროპა ამ თანაგრძნობასა. მაგრამა . . . . ჯერ კი რა გამოდიოდა ამისაგანა ?

იმ დროსა, ძველი (და თვით უძველესიცა) რწმუნობაები ახალ სარწმუნო აზრებში ისე იყო გადარეული, რომა დიდი ჭკუის მძლავრობა უნდოდა, რომა დროების სარწმუნოება განეჩხრიკა და იმის საჭიროების აუცილებლობა შეეგრძნო, შეემცნო რომა მკვიდრათა და მტკიცედ ემოქმედა კაცსა თავის საზოგადოების ცხოვრებაში, თავის თავისუფლების დაურღვეველათა და კაცთმოყვარების მოთხოვნილობაზე. ეს მანამდინ ვერ მოხდებოდა, მანამ კაცობრიობასა ჭეშმარიტი სწავლისა, ბუნების მტკიცედ შემეცნების ახალი, ძლიერი ღონისძიება არ მოჰხმარებოდა, მეტადრე როდისაც იმ დროსათვისაც დაძველებულმა რწმუნობამ იმძლავრა—ცალკე პაპის უფლების გაძლიერებითა და ცალკე საეროდ მემამულეთა და მძლავრების დესპოტური ძალადობაებით. პაპას კერპობას აღუდგა ლუტერი, რო-

მელმაც თავის დროების შეხედვით განსწმინდა ფრანგობის სარწმუნოება, რომელშიაც უსამართლოება იქამდინ მივიდა, რომა ადამიანები (პაპია და იმისი სიწმინდის მორწმუნენი) საიქაობას აქვე განაგებდნენ, ისე რომა ყოველი ღვთის ნება იმათ ნებაზე იყო დამოკიდებული.- სხვა ქვეყნიერების უსამართლოებასა აღუდგა სწავლა და ხელოვნება, რომელთაცა კაცთა წარმოუდგინეს ბუნება ისე კი არა როგორათაც მინამდინ წარმოიდგენდნენ, ისე როგორათაც მართლად და ჭეშმარიტად არსებობს და რომელთაცა საზოგადოების დაწყობილების ჭეშმარიტებაზე და სიმართლეზე დადგენის აზრები შემოიტანეს. მაშინ, როგორც კერძოობითი კაცისა, ისე მთელი ხალხობის თავისუფლება კაცობრივ სამართალზე დაყენების შეთანხმოებას შეუდგა. სხვაზე უფრო მომატებულად შესანიშნავი ღონისძიება, რომელიც ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად მოიგონა კაცმა, იყო-ბეჭვდაცა.-ამითი განვრცელდა ჭეშმარიტი შემეცნებაები სწავლისა და კაცთ მიმართულობაში საზოგადოობა დამკვიდრდა. მასუკან ყოველ დროების მოთხოვნილების გარდაცემა საზოგადოებაში ადვილად შესაძლებელი არის. ამას ემსახურება-ლიტერატურა.—

მაგრამა, მკითხველო, რომლისამე აზრის დადგენა, და იმ აზრის განხორციელება. იმ აზრის სამუდამო საყოველჟამო აღსრულება ადვილი არ არის, მსწრაფლად არ მოხდება ხოლმე. ხალხი რაკი ერთ აზრს შეერწმუნება ხოლმე, იმ აზრისაგან გადარწმუნდება სხვა, ახალი დროს აზრის დადგენითა-დიდი აღმაშფოთებელი ამბავია ხოლმე და ძნელად მოსახდენი. რამდენი წარჩინებული, იმ საქმეში წინამავალი პირი ეწამება ხოლმე ამ დროებისაგან დაწესებულ კანონსა! კაცობრივობის წინამავლობაში მაგალითი მრავალია, იმდენი მაინც, რამდენი აზრის დადგენაც მომხდარა. ქრისტიანობის აზრის დადგენა რომ მოხდა, რასაკვირველია, იმ ჟამად იმას განმაცოცხლებელი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრივობისათვისა, მაგრამ იმის საზოგადოდ, საყოველთაო განხორციელება კი ჯერაც სად არის-მაგრამა, ამ სარწმუნოებისათვის შეწამებულნი, მოიფიქრე, რამდენნი ყოფილან ჯე-

რა, მკითხველო,! მეთექვსმეტე საუკუნემდისა, ბევრი ისეთი აზ-
რები შეეკიდა კაცობრიობასა, რომელიც მთელ კაცობრივ ცხოვ-
რებასა, როგორც საზოგადოდ, ისე ნაწილობითად განმაცოცხლე-
ბელის მნიშვნელობით შეეხებოდა; ეს. ერთი მხრით. მეორე მხრითა
ყოველმა უგუნურებამა, ყოველმა უსამართლოებამა, ყოველმა უმსგავ-
ლობამა, რაც კი კაცობრიობასა დაარსებითგან შეჰპირვოდა, — ე. ი.
ყოველმა ბოროტობამ იმოდენად იმოქმედა საზოგადოებაში, რო-
მა პირ და პირ წინააღუდგებოდა ყოველსავე კეთილსა და სძალავდა.
მაგალითებრ-ვისმე რომ კაცობრივი სიყვარულისა, კაცობრივი თა-
ვისუფლების მოთხოვნილება საზოგადოების ვალდებულებად რომ გა-
მოეცხადა ამას საზოგადოების უმეტესი ნაწილი სისულელეთა
და უგუნურებად, გარყვნილობად მიიღებდა. ამ გვარ გრძნობას თუ
გამოაჩენდა ვინმე აშკარათა, საზოგადოდ, იმასა ჰკლამდნენ, ამოუ-
მებდნენ, აწვალებდნენ.-რა უნდა ექმნა ამასობაში კაცსა ?

მანამდინა ყოველივე კეთილი რაც კი კაცობრიობაში ამოქმე-
დობდა და რომელიც კაცობრიობას აცოცხლებდა, ხალხისაგან მხოლოდ
რწმუნებით იყო მიღებული, და არა ცოდნითაცა, სწავლითაცა. ამ კაცის
ბუნების ღირსება ისე საბოროტოდ (უსვინიდისობითა თუ უგუნორო-
ბითა, ჯერ ეხლა სულერთია) ახმარეს ხალხების წინამძღვრებმა, რომა
ყოველი ჭკუა გონება აერია კაცსა; სხვათა შორის ისეთი რამე არწ-
მუნეს ბევრი, რომელსაცა კაცი ცხადათა ჰხედავდა, რომა მიუღებე-
ლი იყო. მაგ. საზოგადოებაში რასაც მეფე ისურვებს, უთუოდ ხალ-
ხის კეთილ მდგომარეობის სასარგებლოდ ისურვებსო. ხალხსა ამ
ჭეშმარიტების რწმუნებას მოსთხოვენ და ხალხიც-სრულიად დამონე-
ბული, რასაკვირველია-ერწმუნა; რასაც სხვა და სხვა მმართებელი
იმოქმედებსო, იმას მეფის ნებით მოქმედობსო და თუ მეფის ნე-
ბით არის, მაშასადამე, სამართლიანიაო,-ამ რწმუნებაში ხალხი ი-
ქამდინ მიდის, რომა თუმცა მზად არის მუშაობაზე, მაგრამა
სამუშაოს ვერსა შოულობს და ლუკმა პური ეჭირვება, თავის უფ-
ლებას ვიღა ჩივის!-ვინც წინაური იყო, ისა ცხადადა გრძნობდა, რო-
მა საზოგადოება ამ გვარი დამონებითა, უმოქმედობითა ხდება, ირ-

ჭკნება, ირღვევა, ყოველივე კეთილი როგორც კერძოობითი პი-რის შესახებ, ისე საზოგადოებისა, თუ მთელი კაცობრიობის შე-სახებ-რაც კი კაცობრიობასა წარმოდგენილი, და გულში ჩანერ-გული აქვს, სუყველაფერი ფუჭად მიდისო,— თუ საზოგადოებას ეს დაწყებულობა არ გამოეცვალათ. მაგრამა, როგორ უნდა გამო-ცვლილ იყო იმ საზოგადოების დაწყებულობა, რომელშიაც მონე-ბის უღირსობა ისე ჰქონდა კაცსა გულში ღირსებად ჩარწმუნებული, რომა ჭეშმარიტი ღირსებისა აღარა გაეგებოდა რა. მიხვდები, მკით-ხველო, ჩემ აზრსა. სიმოკლესათვის ბოდიშს ვიხდი.—

ამისთანა უბედური მდგომარეობისაგან დახსნისათვის სხვა ღო-ნის-ძიება არა ჰქონდათ რა იმ ზემოხსენებულ მოწინავეებსა თუ არ ესა. იმათ იფიქრეს, რომა ყოველივე კეთილისა, რაც მანამ-დინ კაცობრიობას წმინდა სარწმუნოებად მიაჩნდათ და სარწმუ-ნოების ვალდებულობით აღსრულებდნენ იმისი აუცილებელი საჭი-როება უნდა დავუმტკიცოდ, რომა ყოველმა კაცმა თავის მოქმედე-ბაში და შრომაში ყოველი ბუნებისაგან მინიჭებული ძალა და ღო-ნე გამოიჩინოს, რომა შრომა უფრო ნაყოფიერად ახმარონ. ამის ჩვენებისათვის ყოველ რწმუნებას იჭვი ჩაუგდეს და გონებითგან გა-დაიგდეს, წარმოიდგინეს, რომა კაცმა არა იცის რაო, მაგრამ ყო-ველის ფერის ც ო დ ნ ი ს ა თ ვ ი ს ღონის-ძიება აქვსო: ეს ღონის ძიება მდგომარეობს კაცის გარეგან გრძნობილობაში და შიგნეულად ჭკუაში. ამ აზრით დაარსდა ახალი ჭეშმარიტი სწავლა, რომლის საგანიც არის ცხადი ცოდნა. მერე და მერე ურწმუნებოდ ამისი საქმე არ გათავდა, რათგანაცა რწმუნება კაცობრიობის ბუნებაშია, და სწავლასა რწმუნებაც ეხმარება, ის რწმუნება, რომელსაც ფესვი ჭკუაში უდევს, და იმაზე არის დამოკიდებული (аналогія).—

როდისაც ეს იჭვნეულობა განვრცელდა საზოგადოებაში, და ი-მითი ხალხის დამამონებელი რწმუნება დაირღვა და გულითგან მო-თხარა ხალხსა, მაშინ ხალხი მოჰყვა ქვეყნიერების ბოროტობაზე, იმათი თავისუფლების მომსპობლებზე ღრენასა, და რაკი, როგორც ზემოთა ვჰსთქვით, საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილო-

ბის ურიგობა იქამდინ მივიდა, რომა ხალხსა თავის დამონებაში-ლუკმა პურის მოგების ღონის ძიება აღარა ჰქონდა-მაშინ მოხდა, ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია. საზოგადოების დაწყებულობაში ყოველ წესიერებას იჭვი ჩაუგდეს და გარდააგდეს ყოველი ძველებური დაწყებულება, და რასაც მაშინდელი თანამედროვე სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დააწყეს. მაშინ განხორციელდა ხალხში ყოველი ზნეობის სამოქალაქო სარწმუნოება: პატივისცემა კაცისა, როგორც კაცისა, და მეტადრე—როგორც საზოგადოების წევრისა.

მაშინ წამოდგა თავისუფლება როგორც კაცისა კერძოობით, ისე ხალხისა საზოგადოდ. მასუკანა ამ საუკუნებისაგან შედგენილ მოთხოვნილების განხორციელებასა და განვრცელებასა დაადგა კაცი. ამ განხორციელებისა და განვრცელებისათვის ორი დიდად შესანიშნავი აზრი ჩამოდგნენ ამ ჩვენ საუკუნეში: ერთი მოითხოვს საზოგადოებისაგანა და მეტადრე ზოგი ერთი კეთილ—მდგომარე პირებისაგანა დიდ განწირულებასა სხვათა თვის, რომელთაცა ნაკლები კეთილ-მდგომარება აქვს. ამის განხორციელების სიძნელემა მეორე აზრი დაადგინა, რომელიც გამოირკვია ბუნებითი სწავლისაგან, რომა ყოველი კეთილი წარმატებისათვისა ჯერ ხალხში ყოველი კეთილისა, ყოველი სარწმუნოებითი აზრის საჭიროება უნდა დამტკიცდეს, იმისი სარგებლობა უნდა ცხადად წარმოსადგენი იყოს, რომა როგორც კაცებმა კერძოობით, ისე მთელმა ხალხებმა საზოგადოდ, ცხადად იგრძნონ და უფრო მტკიცედ, გონებიანად, აზრიანად აღსრულებაში მიიყვანონ.

ესე ვათავებთ კაცობრივობის წინამავლობის ჩვენებასა. მკითხველს არ უნდა ეგონოს კია, რომა ვითამ მთელ კაცობრივობაში სხვა შესანიშნავი არა ყოფილიყოს რა წინამავლობის დასამტკიცებელი. ამისი გაშინჯვა უფრო ვრცლია თაისე, რომა მთელი ნამყოცხოვრება წარმოსდგეს, იმისათვის არის დაარსებული სწავლა-ისტორია. ჩვენი-როგორც მოამბისა-სრულ სხვა საგანია. ჩვენა იმ აზრის გაშინჯვა ავიღეთ საგნათა, რომა წინ მიდის კაცობრივობა, თუ

არა? რას მიზეზითაც ამოვირჩიეთ საამბობელად ეს საგანი, ის ზემოთ არის ნათქვამი.

ეხლა ამ ჩვენ ნათქვამსა ერთი სხვა მნიშვნელობა გვინდა მივცეთ კიდევ. წინამავლობა წარმოსდგება იმ დედა აზრებისაგანა, რომელნიც სხვა და სხვა დროსა, სხვა და სხვა ხალხებში, იმათ მაცოცხლებელად შემოდიოდნენ. მასუკან ერთი ხალხისაგან სხვებში, მთელ კაცობრიობაში უნდა განვრცელებულ იყვნენ. უწინა ამ განვრცელებისათვის ღონის-ძიება არა იყო რა და ამის მიზეზით ბევრი ხალხი რჩებოდა ძველებურ მდგომარეობაში, როგორც მაგალითებრ, აქამდინ არიან, უკურჩენილნი მთელი აღმოსავლეთის ხალხები და სხვათა შორის, თუმცა ჩინეთისავით კი არა, მაგრამ იმასთან კარგა დაახლებით კი-ჩვენი ქართველობაცა.

თუ მართლა ჩვენი ქართველობა უკან არის დარჩენილი კაცობრიობის წინამავლობაში ჩვენი დროების ხარისხისაგანა, მაშასადამე ნაკლებულებაც ბევრი უნდა ჰქონდეს, იმდენი, რამოდენათაც არის უკან დარჩენილი. ამ ნაკლებულებაების ჩვენება, ცხადად წარმოდგენა ლიტერატურის ვალია, მაშასადამე ჩემიცა.

ქართველობის ზნეობაში სენი ბევრია. ამ სენსა მე რითი უშველო. თვითონ ქართველობა არა გრძნობს, რასკვირველია. თუ არა გრძნობს უბრალო ჩვენება, ტყუილად გააკაპასებს, არც სენი მოეთხრება და მე კი მომიშორებს თავიდამა, და მეც საქმეს წამიხდენს და იმითი თვითონაც საქმე წაუხდება, რათგანაც ჩემსა და იმის სარგებლობასა ჩვენს ურთიერთობაში აქვს წყარო. მაშინ, იქნება, შენცა ჰსთქვა, მკითხველო, რომა ტყუილათა გვლანძღამს ქართველებსაო. ეს ჩემი შრომა, რასაკვირველია, თითქმის ტყუილად ჩამივლის, რათგანაც ქართველობის სენის ჩემგან უბრალო ჩვენებით ვერ დაგიმტკიცდება არც საზოგადოდ ქართველობისა, არც კერძოობით — შენი უკუღმართობა. რომ მაშინვე დამერწმუნო, ჩემსა ჩვენებამ — მაშინ კი, იქნება, გასჭრას, ცოტაოდენად მაინც. მაგრამა, შენ მე რად უნდა დამერწმუნო: არცა ვარ წარჩინებული წევრი საზოგადოებისა, და, მადლობა უფალსა! არც დიდი ძალის პატრონი

ვარ, რომა ჩემდამი შიშმა მაინც დაგაჯეროს ყოველის ფერზე, რაც წამოვსთქვა ხოლმე. არც მინდა, სწორე მოგახსენო, ისე დავიჭირო საქმე, რომა თუ არ რწმუნებითა, სხვით ვერაფრით გავიტანო ცხოვრებაში ჩემი ნათქვამი.

რასაც ვიტყვი იმ დედა აზრებზე დაფუძნებული იქმნება ყოველი ჩემი აზრი, და იმ დედა აზრებს კი ისეთი თვისება აქვსთ, მკითხველო, რომა იმათ გადაგდებას ვერავინ ვერ გაჰბედავს, მეტადრე—ქრისტიანი. არა გჯერა, მკითხველო? იჭვიანობისათვის პატივის ცემას განგიცხადებ! მაგალითით აღგიხსნი ამასა. საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არა შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა, და იმ შრომასაც რომ—თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთი ერთ ნება-ყოფლობაზე დამოკიდებული, რომ არ იყოს საზოგადოებისათვის ცუდია, თუ არა? ამ კითხვაზე, შენა, მკითხველო, რასაკვირველია, შედგები, იქნება—შეჰკრთე კიდეცა, პასუხს კი ვერას მომიგებ ჯერა, ვიცი. ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის—ხენია. აი რათა. ჯერა, მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ამას გარდა სხვა ვინ შეიტყობს, მე ვითარი შრომის ნიჭი მაქვს? რასაკვირველია, არავინა ჩემი გუნებისა და სურვილის მეტი, ჩემი ნებაყოფლობის წინააღმდეგობით პატრონმა კალოზე პურის გამნიავებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი პატრონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომა სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმხნევებდა, და თავისუფალ შრომას გასწევდა, რა გამოვიდა აქედამა? ჯერ ისა, რომა თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია. მერე ისა, რომა მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფალთა და მაშასადამე ნაყოფიერათაცა. და თუ საზოგადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა. საზოგადოების კეთილ მდგომარეობასა კერძოობითი პირების

კეთილ მდგომარეობაც უნდა მოჰყვეს თანა. სწორედ ისე, როგორათაც ერთ სახლობაში, ყოველი წევრი რომ ნაყოფიერათა შრომობდეს, მთელი სახლობა კეთილ მდგომარეობაში შევა, და ამ სახლობის კეთილ მდგომარეობასა, რასაკვირველია, იმ სახლობის წევრების კეთილ მდგომარეობაც თან მოჰყვება. თუ ვინიცობაა, არ მოჰყვა, სახლობის ყველა წევრებზე არის დამოკიდებული, რომა მთელი სახლობის რიგსა ისეთი დაწყობილება მისცენ, რომელმაცა ყოველი წევრის თავის უფლება არ დაარღვიოს. ამ თავისუფალი შრომის მოკვეთა ჩვენ საზოგადოებაში ასი ათასი გლეხს მოსდიოდა და იმათ მებატონეებსა მრავალ თავადსა და აზნაურსა; ამას უთუოთ, ჰგრძნობს ქართველობის კეთილ-შობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ. დროების დედა-აზრი, როგორა ჰმოქმედობს ამ მაგალითში, მკითხველო, იმას ეხლა შენც ადვილად მიხვდები.

მაგრამა, ამავე მაგალითზე, მაინცა და მაინც რომ გამოჩნდეს იმავე დედა-აზრის განუხორციელობა, მაშინა სხვა ღონის-ძიებას შეუდგება ლიტერატურა. აიღებს იმ სენსა, რომლის სენობაც ცხადია და დაუწყებს შიგვე გვამში კეპასა. ამ ღონის ძიებასა ჩვენ საზოგადოებაში ზოგი, რომელიც უფრო ტლანქი ქცევისა და ენისა არის, ლანძღვას არქმევს, სხვები კიცხვას ეტყვიან. ამის სწორე დასახელება რა საჭიროა. ჯერ ვნახოთ, შემდგომ ჩვენ ამბებში როგორ იმოქმედებს ეს ღონის-ძიება და ვინ რას იტყვის იმაზე, და მერე ვნახოთ რა შესაბამი სახელი მიუგება. ეს ღონის-ძიება შენზე რომ მოვიხმარო, მკითხველო, ჩემი თავის გასამართლებლად, იმავე გვარი პატიოსანი სვინიდისიანობა მექმნება, რა სვინიდისიანობაც ექიმსა აქვს ხოლმე, როდესაც ვისიმე სხეულითგან სენიან ალაგს ამოსჭრის ხოლმე, რომა მთელმა სხეულმა კიდევ იცოცხლოსო.

დავით ყიფიანი.

იმ ხის ნახვით რომ გაძღნენ, ტოლომიესმა დაიძახა: — ვისაცა გ სურდეთ, ცხენზედ შევჯდეთ და გავისეირნოთო! პატრონს გა-ურიგდნენ, შესხდნენ და გაემგზავრნენ ისსაში. იქ ერთ ბაღში ორ-წაბლის ხეზე საქანელა იყო გამართული, ვაჟებმა თითო-თითო აქანეს თავისი ქალები საქანელზედ და ტოლომიესი ისეთ აღტა-ცებაში მოვიდა, ისე გამხიარულდა, რომ ისპანიურს სიმღერას მო-ჰყვა, რადგანაც ტულუზელი იყო. მარტო ერთმა ფანტინამ არ მო-იწადინა გაქანება.

— ნეტავი შენ არ იპრანჭებოდეო, გაჯავრებით უთხრა ფავუ-რიტამ.

აქედამ მერე სენაზე ნავით გავიდნენ და პარიჟამდის ქვეითი მივიდნენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალ-გაზდანი დილის ხუთ საათიდამ ფეხზედ იყვნენ; მაგრამ რა უშავს! კვირაობით ადამიანი არ დაიღალებაო და იმ დღეს დაღალვას ძალა არა აქვსო, ფავუ-რიტა იტყოდა ხოლმე. შუადღის უკან საათის სამზედ იმათ დაა-პირეს რუსულ მთებზედ სეირნობა.

იმ დღეს დრო გამოშვებით ფავურიტა მალ-მალ წამოიძახებდა ხოლმე:

— ჩვენი საჩუქარი და მოსართმევი რა იქნა? დღეს უთუოდ უნდა მოგვერთვასო.

— მოთმინება გქონდეს! ტოლომიესი უპასუხებდა ხოლმე.

როცა რუსულ მთებიდამ დაბრუნდნენ, ახალ-გაზდები სადილის ფიქრს შეუდგნენ, ეს ჩვენი მხიარული საზოგადოება ცოტათი დაქან-ცული ბომბარდის ტრახტირთან მივიდა, რომელიც ელისეისის მინდორზე იყო გამართული და ერთ გამოჩენილ მეტრახტირეს სახელად ბომბარდს ეკუთვნოდა,

რადგანაც კვირა დღე იყო და ტრახტირის ცოტაოდენად სუფთა ოთახები ხალხით გატენილი იყო, ამის გამო ისინი შევიდნენ ერთ დიდ საძაგელ ოთახში, რომელსაც კედელში წალო ჰქონდა დაყო-ლილი, იქვე კუთხეში ლოგინი იყო; ორი ფანჯარა ჰქონდა წყლის პირისაკენ გადასახედი, იმ ფანჯრებს მზის შუქი ადგა. ოთახში ო-

რი სტოლი იდგა, ერთზე ხვავსავით თაიგულები ეგროვა, კაცების და ქალების შლიაპებთან თან არეული; მეორეზედ ზედაღორდეთ, ბლუდებით სხვა და სხვა საჭმელები ეწყო: თეფშები, ბოთლები, სტაქნები არეულ-დარეულად იყო და იმ სტოლის გარშემო ჩვენი ახალ-გაზდები ისხდნენ. საღამოს ხუთის ნახევარზედ ამისთანა დროს გატარებაში იყვნენ. მზე დასავლეთისკენ ჩადიოდა და იმ ახალ-გაზ-დებსაც თან და თან მადა ეკარგებოდათ.

სადილის ჭამის დროს ლაპარაკი მეტადრე არშიყობაზე ძნელი გასაგონი და ასაწერია. არშიყობის ლაპარაკი სწორედ ღრუბლებია და სადილზედ ქალებთან ლაპარაკი,—კომლია.

დალია და ფამელი დამღეროდნენ, ტოლომიესი სვამდა, ზე-ფინა კასკასებდა, ფანტინას ღიმილი მოსდიოდა, ლისტოლიე სენ კლუში ნასყიდ სალამურზე უკრავდა, ფავურიტა ნაზად უყურებდა ბლაშეველს და ეუბნებოდა:

—ბლაშეველო, მე შენ ძალიან განსხვავებით მიყვარხარ და პა-ტივსა-გცემ. ამაზედ ბლაშეველმა ჰკითხა:

—ფავურიტავ, მე რომ შეგიძულო და აღარ მიყვარდე, ნეტავი ვიცოდე შენ მაშინ რასა იქ?

—მე! ფავურიტამ დაიყვირა. არა მაგას ხუმრობითაც ნუ გა-მაგონებ, ნუ მეტყვი! შენ რომ მე თავი დამანებო და აღარ გიყ-ვარდე, მაშინ არ ვიცი რას ვიქ! მე შენ მოგგვარდები, გაგწევ, დაგ-ფხრეწამ, წყალს შემოგასხამ და ციხეში ჩაგასმევინებ.

ბლაშეველმა ფრიად სასიამოვნო თავ მოწონებით გაიღიმა. ფავურიტამ დაიწყო:

—ჭო, მე მაშინ სალდათებს დაუძახებ! არა, ნუ გგონია შენ პი-რი შეგინახო და გაპატიო! არა.

სიხარულით აღტაცებული, ბლაშეველი სკამს გადეყუდა და სია-მოვნით, ამაყად თვალები დახუჭა.

დალიამ ჭამას თავი არ დაანება და ჩუმად ჰკითხა ფავურიტას.

—მაშ შენ მართლა აგრე ძალიან გიყვარს შენი ბლაშეველი?

—მე? მე ეგ მძულს, მეზიზღება,—ფავურიტამაც ჩუმად უპა-

სუხა. ეგ საშინელი ძუნწია. ჩვენ სახლის პირდაპირ ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცია, მე ის მიყვარს. ასეთი ლამაზია, რომ რაღა ვსთქვა. შენ იმას არ იცნობ? როგორცა ჰსჩანს ის აქტიორად ემზადება; მე აქტიორები ძალიან მიყვარან. იმას ერთი ბებერი დედა ჰყავს, როცა ის ყმაწვილი შინ დაბრუნდება ხოლმე, დედა ეუბნება:

—ოჰ ღმერთო ჩემო! ეხლა თავს წამართმევსო, მოსვენებას გამიწყვეტსო, კიდევ ყვირილს დაიწყებსო. შვილო შენის ყვირილით მე მალე თავი გამისკდებაო.

მართლათაც, ის ყმაწვილი კაცი ოთახში დადის, ხან ჩარდახში აირბენს ხოლმე, ან საცა მოხვდება, სულ დამღერის და თეატრში წარმოსადგენლად სიტყვებს ზეპირად ამბობს და ერთის ხმით ისე გაჰკივის, რომ იმისი ხმა ქვეით ჩამოდის. ქაღალდების გადაწერით ის დღეში ოცს სუს იღებს. ის ყმაწვილი წმინდა იაკობის საყდრის მგალობელის შვილია. ოჰ! არ იცით თუ რა მშვენიერია. ისეთი უყვარვარ, ისე პატივს მცემს, ასე გამინჯე: ერთხელ როცა რძიან ბლინებისთვის ცომს ვამზადებდი და იმან დამინახა, ასე მითხრა: «ქალო, თქვენი ხელ-თათმანების ბლინებიც რომ გამოაცხოთ, მე დიდის სიამოვნებით გიახლებითო». მართლა არტისტებს შეუძლიანთ და იციან ამისთანა სიტყვების თქმა! არა ძალიან მშვენიერია! იმის ენით მე თითქმის ჭკუაზედ შევსცდე. ეჰ! სულ ერთია! ბლაშეველს კი მე ვარწმუნებ და ვეუბნები, შენთვის მე გაგიჟებული ვარ მეთქი. როგორ ვატყუილებ? როგორ ვსტყუი? მოგწონს თუ არა?

ცოტას ხანს ფავურიტა დაჩუმდა და მერე კიდევ მოჰყვა ლაპარაკს:

—დალიავ, მე ძალიან მოწყენილი და ნაღვლიანი ვარ. მთელი ზაფხული წვიმა მოდიოდა, მერე ქარმა შემაბეზრა, ბლაშეველის სიწუწკემ და სიძუნწემ ხომ რაღა ვსთქვა, გამიჭირა. სიძვირე ცალკე და ერთი აქ უყურე: საძაგლობა არ არის ამ ოთახში პურის ჭამა, საცა ლოგინი აგია? ეს მე სიცოცხლეს მიმწარებს და მაზიზღებს·

სადილს უკან, როცა ახალ-გაზდები ბაღში იყვნენ, ტრახტორის ახლო, რიყეზე ერთი ბებერი და გამხდარი ჭაკი ცხენი წაიქცა, რადგანაც ძალიან მძიმე პოვოსკაში იყო შებმული. დაღალულ დატანჯულმა ცხენმა თურმე ბომბარდის ტრახტირთან მიახწია თუ არა, წასვლა ველარ შეიძლო და შედგა, ამის გამო ხალხი გარს მოგროვდა. მაშინ როცა ცხენი იმ ფიქრით წაიქცა, რომ ფეხზედ აღარ ამდგარიყო, გაჯავრებულმა ცხენის პატრონმა სამდურავის ხმით ცხენს დაჰკივლა: «ჰკაი შე ოხერო და დაწყევლილოო» და თან შოლტიც გადაასწნა. ხალხის ხმაურობაზე ახალ-გაზდებმა გადიხედეს ოთახის ფანჯრიდამ.

ფანტინამ იმ წამსვე გულ-ამოხვრით ჰსთქვა:

—საცოდავი ცხენი!

ამ თქმაზე დალიამ დაიძახა:

—ერთი აქ უყურეთ,-ფანტინას ეხლა ცხენებიც ებრალება, ომათზედ ჰსწუხს! აბა ამისთანა სისულელე იქნება და! ან შეგიტყვიათ?

იმ დროს ფავურიტამ გულ ხელი დაიკრიფა, თავი უკან გადიგდო და ტოლომიეს ბრძანების ხმით ჰკითხა:

—მართლა, ჩვენი მოსართმევი რა იქნა?

—ჭეშმარიტი ბრძანებაა, ტოლომიესმა უპასუხა. . . დრო მოახლოვდა. ყმაწვილებო დროა საჩუქრებითა გავაკვირვოთ ჩვენი ქალები. ქალებო, ცოტას ხანს მოგვითმინეთ.

—საჩუქარი ჯერ კოცნით უნდა დაიწყოს,ბლაშეველმა ჰსთქვა.

—დიაღ, შუბლში ჩაკოცნით დავიწყოთ, ტოლომესმა დაასკვნა.

ყმაწვილი კაცები მივიდნენ, ყველამთავთავის საყვარელის მედიდურად შუბლში ჩაჰკოცნეს და მერე ოთხივენი ერთი ერმანერთის უკან, თითი ტუჩზედ მიდებული ოთახიდამ გავიდნენ.

იმით გასვლის შემდეგ, ფავურიტამ სიხარულით ტაში შემოჰკრა და სთქვა:

—აი ეხლა მესიამოვნება!

—დიდხანს იქ ნუ დარჩებით და მოლოდინს ნუ გაგვხდით, ფან-ტინამ წაიჩურჩულა, ჩვენ თქვენ მოგელით.

## სიამოვნების მხიარული დასასრული.

ახალგაზდა ქალები მარტოდ რომ დარჩნენ, წუვილ-წუვილად ფანჯრებში გადეყუდნენ, ერთი ერთმანერთში მუსაიფობა დაიწყეს და თან ქუჩის გამვლელ გამოვლელს უყურებდნენ.

როცა ახალ-გაზდები ხელი ხელ გაყრილნი ტრასტირის ქუჩის კარებიდამ გადიოდნენ, ქალებმა დაინახეს; მერე ვაჟებმა ქუჩიდამ შემოხედეს და საყვარლებს გაუცინეს, ხელებით რაღაებიც ანიშნეს და მერე უჩინარი შეიქმნენ იმ კვირადღის მტვრიან ხალხში, რომლითაც მუდამ კვირაობით იმსება ელისიის მინდვრები.

—დიდხანს ნუ დარჩებით! ფანტინამ მისძახა:

—ნეტავი ვიცოდე რა საჩუქარს მოგვიტანენ? ზეფინამა ჭს-თქვა.

—უთუოდ კარგ რასმე მოგვიტანენ,—დალიამ უთხრა.

—მე,-ფავურიტამა ჭსთქვა,-მინდა რომ ოქროს ნივთი იყოს რამე.

ამათ გულის-ყური მალე გაერთოთ იმ სანახავით, რომელიც იმ დროს რიყეზე იყო და მოჩანდა. დილიჟანსების წასვლის დრო იყო; მუდამ წამს თითო უზარმაზარი კარეტა შავი და ყვითელი წამლით შე ღებილი, მძიმეთ გამსილი და გამოჩურთული სხვა და სხვა ბარგით, რომელშიაც ბევრი ადამიანის თავები სჩანდა დ თან იმალებოდა, ქვებით მოკირწყლულ ქუჩებზე მსხვრევა ტეხით, ზანგალაკების ხმით მი-გორავდა, ქვებს ლეწავდა, გზაზედ ხალხსა ჭყოფდა, ცეცხლებსა ჭყრი-და თითქო სამჭედლოაო, თან საშინელ მტვერს აყენებდა და სა-ზარელი სანახავი იყო. იმ დილიჟანსების ხმაურობამ გაართო ახალ გაზდა ქალები. ფავურიტამ დაიძახა:

—რა ხმაურობაა! ასე ჯოჯია ჯინჯილების ჩხარაჩხურიაო. ერ-

თი იმ გვარ კარეტებისაგან ცოტა ხანს შედგა და მერე ისევ საჩქაროდ გასწია. ამაზე ფანტინა გაოცდა;

—ეს საოცარია! იმანა სთქვა. მე ისე მეგონა დილიჟანსი არას დროს არ გაჩერდება!

ფავურიტამ მხრები აიწია და სთქვა;

—რა უცნაური რამ არი ეს ფანტინა! მე ეს ეხლა უფრო შევაცნიე. სულ-უბრალო რამე ამას აოცებს და აკვირვებს. აქ საოცარი რა არის? აი ვსთქვათ მაგალითად: მე მოგზაური ვარ და დილიჟანსის კონდუკტორს (*) ვეუბნები: «მე წინ წავალ, როცა რიყის ქუჩაზე გაიაროთ, მე იქ ვიქნები და მაშინ წამიყვანეთ». დილიჟანსი მოდის, მე მხედავს თუ არა, დგება, მელის, მე შიგა ვჯდები და მივდივარ. ესეთი შემთხვევა მუდამ დღე მოხდება ხოლმე. ჩემო კარგო, მაშ შენ სულობით ქვეყანაზედ არა ყოფილხარ და არც ცხოვრება იცი.

ამ გვარად გაიარა რაოდენამე დრომა; უეცრად ფავურიტა თითქო გამოფხიზლდაო და იკითხა:

—მართლა ჩვენი მოსართმევი საჩუქარი სად არის? ჰა?

—ჰო მართლა, ძვირფასი, სახელოვანი საჩუქარი რა იქნა?

დალიამ დააყოლა.

—იმათ ასე რად დაიგვიანეს, ფანტინამ სთქვა. როცა ფანტინამ ეს სიტყვები დაასრულა, პატარა ბიჭი, რომელიც ამათ სადილად ემსახურებოდა, ოთახში შევიდა. ბიჭს ხელში წიგნის მზგავსი რაღაც ქაღალდი ეჭირა.

—ეგ რა არის? ფავურიტამ ჰკითხა.

ბიჭმა უპასუხა:

—ეს ქაღალდი ბატონებმა თქვენ ქალებს დაგირებესთ.

—თქვენ ეგ რატომ იმ წამსვე არ მოიტანეთ?

—ამიტომ, რომ ბატონებმა მიბძანეს, ერთის საათის შემდეგ მიართვიო, პატარა ბიჭმა უპასუხა.

ფავურიტამ ის ქაღალდი ხელიდამ გამოჰგლიჯა. მართლა წიგნი იყო.

(*) კონდუკტორი — დილიჟანსის ზედ-მხედველია.

—ზედ არა სწერია ვის ეკუთვნის ეს წიგნი? მაგრამ, ჰო, გვერდზედ აწერია.

—«ეს არის ჩვენი მოსართმევი საჩუქარი».

საჩქაროდ წიგნი გახსნა, გაშალა და წაიკითხა (კითხვა იცოდა):

ჩვენო სასურველნო და სანატრელნო საყვარელნო!

«შეიტყუეთ, რომ ჩვენ დედ-მამები გვყვანან. თქვენ ჯერ კარგად არ იცით რა არიან მშობელნი. სამოქალაქო კანონებით და პატიოსნობით იმათ დედებს და მამებს უწოდებენ. მშობელნი ჩვენთვის კვნესიან, ოხრამენ; მოხუცნი ჩვენ გვიბარებენ, ის კეთილი კაცები და დედა-კაცები ჩვენ ურჩ და გარყვნილ შვილებს გვეძახიან, ჩვენი იქ სახლში მისვლა და ნახვა იმათა სურთ; თუ ეს თხოვნა აუსრულეთ, ისინი გვპირდებიან სამღვთოს დაგიკლამთო, ოღონც მოდითო. რადგანაც ჩვენ კეთილნი და მადლიანები ვართ, ამიტომ იმათ ვმორჩილდებით. როცა თქვენ ამ წიგნის კითხვაში იქნებით, მაშინ ხუთი ფიცხი და მარდი ცხენები მიგვაქროლებენ ჩვენ დედმამებთან. ჩვენ ვკურცხლავთ, როგორც ბოსსუეტი ამბობს: მივფრინავთ. ტულუზის დილიჟანსი ჩვენ უფსკრულიდამ გვიხსნის, ეს უფსკრული თქვენა ხართ, თქვენა, ჩვენო კარგნო და ლამაზნო! ჩვენ საზოგადოებაში ვბრუნდებით; ვბრუნდებით კალდებულებისათვის და წესისათვის. ვეშურებით, მივდივართ საათში სამ ლიოსს. მამულისათვის საჭიროება მოითხოვს, რომ ჩვენ, როგორც სხვები, პრეფექტებად, მამებად და მსაჯულებად ვიყვნეთ. პატივის ცემა არ მოგვაკლოთ, ნუ დაგვივიწყებთ. ჩვენ თავს მსხვერპლად ვწირამთ. მალე გვიგლოვეთ, გვიტირეთ და ეცადეთ რაც შეიძლება საჩქაროდ იშოვნოთ ჩვენი მაგიერნი. თუ ამ წიგნმა თქვენ გული დაგიკოდოსთ, თქვენც იმ წამსვე ეს დაჰკოდეთ და დაგლიჯეთ. მშვიდობით!

«თითქმის ორი წელიწადი ჩვენ თქვენ გაბედნიერებდით. ამისთვის ჩვენზე ნუ განრისხდებით».

მოაწერეს: «ბლაშეველმა.
«ფამელმა.
«ლისტოლიემ,
«ფელიქს-ტოლომიესმა.

«P. S. სადილის ფული მიცემულია»,

ახალ-გაზდა ქალებმა ერთი ერმანერთს შეჰხედეს ფავურიტამ პირველმა შესწყვიტა სიჩუმე და დაიყვირა:

—როგორია? რას იტყვით? რაც გინდათ სთქვით, მაინც კარგი ხუმრობაა.

—ძალიან საცინელია, ზეფინამ სთქვა.

—ეს უთუოდ ბლაშეველის მოგონილია, ფავურიტამ წამოიძახა.-ამითი თითქმის ის ძალად თავს მაყვარებს, როცა წავიდა და აქ აღარ არის, მაშინ შევიყვარე. რა კაი ამბავია!

—არა, დალიამ სთქვა: ეს ტოლომიესის ჰაზრი იქნება, ზედვე ეცნევა.

—მაშ რაკი ეგრეა, ფავურიტამ სთქვა: კაი ბლაშეველს! და ღმერთმა ადღერგძელოს ტოლომიესი!

—ღმერიმა ადღერგძელოს ტოლომიესი! დალიამ და ზეფინამ გაიმეორეს და დაიწყეს ხარხარი.

ამათში ფანტინაც იცინოდა.

ერთის საათის შემდეგ ფანტინა თავის ოთახში შევიდა და ტირილი დაიწყო. ჩვენ წინად ვსთქვით, რომ ტოლომიესი, ამისი პირველი საყვარელი იყო. ეს საცოდავი ტოლომიესს ისე მიენდო და ჰმონებდა, როგორც ქმარს საბრალო ფანტინას იმისაგან შვილი ჰყვანდა.

(პირველი ნაწილის დასასრული).

## ზოგჯერ ნდობა, თავის თავის ღალატზე უარესია.

# I.

### ორთა ძველთა შეხვედრა.

ამ საუკუნის პირველ წლიწადებში, პარიჟის ახლო მონფერმელში, ცოლ-ქმარ გვარად ტენარდიებს, მიკიტნის დუქანსავით რაღაც სამზარეულო ჰქონდათ გამართული, რომელიც ეხლა აღარ არი. ის დუქანი ბულანჟეს ქუჩაში იყო. კარებების თავზედ, კედელზედ ლურსმებით ფიცარი ეკრა და ზედ რაღაც ადამიანის მსგავსი იყო გამოსახული, იმ კაცს ზურგზე სხვა კაცი. სქელ ღენარლის აპოლეტიანები ზედ ვეება ვერცხლის ლურსმებით დაკრული, ზურგზედ უჯდა და მიჰყავდა; დახატული წითელი დიდრონი ლაქები, მგონია სისხლსა ნიშნავდა, დანარჩენი სურათის ადგილზედ, გარშემო სულ კომბლი ეხატა; ამით კაცი მიხვდებოდა რომ ომი იყო გამოსახული. ქვეშ ეწერა: «ვატერლოოსის სერჟანტი».

ტრახტინის ან მიკიტნის დუქნის წინ, იშვიათი სანახავი არ არი ურემი ან პოვოსკა. წელსა 1818-ში ერთი პოვოსკა, უფრო სწორეთ ვსთქვათ ვეება პოოსკის წინა თვლები, «ვატერლოოს სერჟანტის» დუქნის წინ იდგა. იმ პოვოსკის წინა თვლებს, რომელსაც ახლო-მახლო ტყეებიდამ ხეების მოსატანათ ხმარობდნენ, მსხვილი რკინის ღერძი ჰქონდა და შუაში შესაბმელად ლატანი,- იმ ღერძს თავით და ბოლოზე ორი ვეება გორგოლაჭი ჰქონდა გაყრილი და ის იმაგრებდა. ავდრის დროს ბევრის ხმარებით, თვლები და ღერძი ტალახით იყო ამოთხუპნული. ღერძის ქვეშ მსხვი-

ლი რკინის ჯინჯილი ეკიდა; ისეთი მსხვილი თითქო მდევების დასაბმელი იყოსო. ეს ჯაჭვი ღერძ ქვეშ ძალიან დაშვებული იყო მიწაზედ და იმ საღამოს იმ ჩამოკიდებულ ჯაჭვზე, როგორც თოკის საქანელაზედ, ორი პატარა ქალები ისხდნენ; ერთი იქნებოდა ორის წლისა და ნახევრისა, და მეორე წელიწად ნახევრისა; უნცროსი ყმაწვილი უმფროს მიჭკროდა. ამითმა დედამ ის საშინელი ჯინჯილი რომ დაინახა, ასე სთქვა: «რა კარგი სათამაშოა ჩემ ყმაწვილებისათვისაო»!

ორნი პატარა ქალნი, სუფთად და კეკლუცად მორთულნი მხიარულობდნენ და ბრწყინავდნენ; რომ შეგეხედათ იმათთვის, იმ რკინის ჯაჭვზედ, ყვავილები გეგონებოდათ; ქორფა წითელ ლოყებს და მეტადრე თვალებს ძალიან ბრწყინვა გაჭქონდათ, ერთს თავზე თმები წაბლის ფერი ჭქონდა და მეორეს მოშაო. თვრამეტის თვის პატარა ქალს, უმანკო და უსუსურ ყმაწვილურ კადნიერობით აეწია თავის წინა კალთები და პატარა ლამაზი მუცელი უჩნდა.

რავდენსამე ნაბიჯზედ, სამზარეულოს კარის ღრუბლში, იმ პატარა ქალების დედა იჯდა; ეს დედაკაცი ლამაზი და მიმზიდველი სახისა არ იყო. ჯაჭვზე მობმულ გძელის თოკით ის აქანებდა თავის შვილებს და როგორც დედის ჯიგარსა ჭსჭირს, მოუსვენარის სახით თვალს არ აშორებდა, ეშინოდა ყმაწვილები არ ჩამოცვივნილიყვნენ და არა დაშავებოდათ რა. ყოველ გაქანებ—გამოქანებაზედ, ჯინჯილის რგოლები ისეთს საზარელს ხმას იღებდა, თითქო გაშფოთებული ვინმე გაჭკივისო; პატარა ქალები კი იმ ხმაზე მხიარულდებოდნენ; დაწურვილ მზესაც იმათთან თითქო უხაროდაო; საოცარი მშვენიერი სანახავი იყო, საცა ტიტანების ჯაჭვი, ბუნებას ანგელოზების საქანელათ გადაექცია.

დედა თან აქანებდა თავის ყმაწვილებს და თან, იმ დროს გამოჩენილ ახალ რომანსს დამღეროდა ბრუდე ხმით:

## Jl le faut disait un guerrier (*)

სიმღერის და ყმაწვილებზე თვალის ჭერის გამო დედამ ვ,რ შეიტყო და ვერ დაინახა ქუჩაში რაამბავიც იყო.

მაშინ, როცა იმ სიმღერის პირველი ლექსები დაიწყო, იმას ახლო, თითქმის ყურში ხმა შემოესმა:

— ქალბატონო! რა ლამაზი და მშვენიერი ყმაწვილები გყავსო.

## A la belle et tendre Jmogeae.

ამ ლექსის სიტყვებით, რომელსაც დამღეროდა, დედამ უპასუხა და მერე მიიხედა.

თავის ახლო ნახა დედაკაცი. იმ დედაკაცსაც ერთ ხელში ყმაწვილი ჰყავდა. ამის გარდა მეორე ხელში დიდი პარკი ეჭირა, რომელიც ძალიან მძიმესა ჰგავდა.

იმ დედა-კაცის ყმაწვილი უმშვენიერესი ცხოველი იყო, რომელსაც იშვიათათ შეხვდებით ხოლმე. პატარა ყმაწვილი იქნებოდა ან ორის ან სამის წლისა. სახით და ჩაცმით მეორე დედაკაცის ორ პატარა ქალებზედ ეს უკეთესი იყო. სუფთა და სპეტაკი თეთრი პერანგი ეცო ლენტებით მორთული, წინ პაწაწა წმინდა ტილოს ფართუკი ეკრა და მოხდენილი კრუჟაოს მოსახვევი თავზე ეხურა. იუფკის კალთა ცოტა აწეული ჰქონდა და თეთრი და პატარა, ლამაზი ფუნჩულა ფეხი უჩანდა.

საოცარ ფეროვანი და ჯან მთელი ყმაწვილი იყო,-ადამიანი იმ პატარა ქალის წითელ და ფუნთუშა ლოყის კბენას მოინდომებდა. იმის თვალებზედ კაცი ამის მეტს არას იტყოდა რა, რომ ძალიან დიდრონი თვალები ჰქონდა, მშვენიერი და დიდრონივე წამწამებით. ყმაწვილს ეძინა.

იმ აუშფოთებელ და სანდომიან ძილით, როგორც ამის ხნოვანობის უსუსურებს შეეფერებათ ხოლმე, დედის გულზედ მიკვრა ძალიან

(*) ასე უნდაო ეუბნებოდა მეომარი.

(**) მშვენიერ და ნაზ იმოჟინას.

ტკბილია; ამიტომაც უმაწვილები ძალიან გულიანათ იძინებენ დედის გულზე მიკრულნი.

უმაწვილის დედას დაღონება და სიღარიბე ეცნევოდა. ტანთ ისე ეცვა, როგორც მაღაზიის მკერვალ ქალებს აცვიათ; მაგრამ იმ ჩაცმაში ეტყობოდა, რომ ისევ სოფლის ღარიბი დედა-კაცი უნდა გამხდარიყო. ახალ გაზდასა ჰგავდა. ლამაზიც იყო? იქნება, მაგრამ იმ ჩაცმაში და ტანისამოსში სილამაზე არა სჩნდა. ერთი ქერა ნაწნავი თავსახურავის ქვეშ ჩამოჰკვებოდა და სჩნდა, რომ ძალიან ხშირი თმები უნდა ჰქონოდა; ის თმები, თავზე მოსახვევით უშნოთ ჰქონდა შეკრული. თუ ადამიანს თეთრი და მშვენიერი კბილები აქვს, სიცილის დროს გამოუჩნდება ხოლმე, მაგრამ ეს არ იცინოდა. თვალებზედ ცრემლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა. ფერ მკრთალი და გაყვითლებული იყო; ძალიან დაქანცულს და თითქმის ავათ-მყოფსა ჰგავდა; თავის მძინარე პატარა ქალს ისე დასცქეროდა, როგორც, თუ გინახავსთ, როცა ძუძუ მაწოვარი დედა დასცქერის თავის შვილს. განიერი ლურჯი ხელცახოცი, რანაირსაც ინვალიდები ცხვირის ხელცახოცათ ხმარობენ, ორათ მოკეცილი, უშნოთ ეკრა წელზედ. გაშავებულ ხელზედ ჭორფლი ეყარა და სალოკე თითი გაშეშებული და ნემსით დაჩხვლეტილი ჰქონდა. მიხაკის ფერი მსხვილი მაუდის წამოსასხმელი ეხურა, სამოსლის კაბა ეცვა და სქელი ფეხსაცმელები. ეს დედა-კაცი ფანტინა იყო.

მართალია, ფანტინას ძლივს და იცნობდით, მაგრამ თუ კაცი კარგათ დაჰკვირვებოდა, ნახავდა, რომ მაინც ისევ ლამაზი იყო.

ადრინდელი მშვენიერი ტანისამოსი აღარ ეცო. პარიჟელების «კარგ ხუმრობის» შემდეგ ათმა თვემ გაიარა.

რაც იმ ათ თვეში მოხდა ადვილი მისახვედრია.

როცა საყვარელმა თავი დაანება, ფანტინა სიღარიბეში და გაჭირებაში ჩავარდა. ახალ-გაზდა კაცების წასვლის შემდეგ ქალებმაც: ფავურიტამ, დალიამ და ზეფინამ ერთი ერთმანეთის მეგობრობისაგან ხელი აიღეს, რადგანაც მიზეზი და საჭიროება აღარ მოითხოვდა. ორი კვირის უკან იმ ქალებისათვის ვისმეს რომ ეთქვა:

თქვენ როდისღაც მეგობრები იყავითო, ისინი გაიოცებდნენ. ფანტინას ყმაწვილის მამა წავიდა. ამ გვარი თავის დანებება აუცილებელია ხოლმე!-ეს დედა სრულიად მარტოთ მარტო დარჩა. ხელსაქმობაზედ და ჯაფაზედ გული აუცრუვდა. ტოლომეისისაგან დროს გატარებას დაჩვეული, ფანტინამ აითვალწუნა ხელსაქმის აღება, ან თუ იღებდა კიდეც, ისე კარგად ველარ მუშაობდა და პატრონის დროზე არ აბარებდა, ისე, რომ სამუშაო საქმე სულ დაჰკარგა და გაიწყვიტა. შემოსავალი არ საიდამ არა ჰქონდა. ფანტინამ მარტო კითხვა იცოდა, წერა კი სულ არა; ყმაწვილობაში მარტო თავის სახელისა და გვარის მოწერა ესწავლებინათ. ერთს საზოგადო მწერლის ხელით ტოლომიესს ჯერ პირველი წიგნი მისწერა, მერე მეორე, მერე მესამე; ტოლომიესმა არც ერთის წიგნის პასუხი არ მოსწერა. ერთხელ ფანტინას ნათლი-დედები ყმაწვილს უყურებდნენ და ეს სიტყვები ყურით გააგონეს:

—განა მაგისთანა ყმაწვილებს რიგიანათ შეხედამენო? და თუ ვინმე შეხედავს იმწავს მხრებს აიწევსო. მაშინ ფანტინამ იფიქრა, თუ ტოლომიესი, რა რიგი გულ გრილია—რიგიანათ არა ჰყურობს და არ აგონდება თავის უსუსური ყმაწვილიო; ამ ფიქრმა ის კაცი შეაძულა. მაგრამ რამ უნდა მოეხერხებინა და გაებედნა. არ იცოდა ვის მისდგომოდა? ვის მიმართოდა? მართალია შესცდა, დამნაშავე იყო, მაგრამ თუ მოვაგონდებათ, ბუნებითად კეთილი, უმანკო და ნამუსიანი ქალი იყო. წარმოიდგინა და იგრძნო, რომ ერთი ორი დღის უკან განწირულ მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო და დაცემულიყო. სიმხნევე საჭირო იყო და გამხნევდა. ისევ თავის სამშობლო ქალაქში დააპირა წასვლა. იქნება იქ ვინმემ მიცნოსო, შემიწყნაროსო და სამუშაო მამცესო. თავის დანაშაული უნდა დაემალა და საჭიროება მოითხოვდა, რომ თავის ქალს გაშორებოდა. ეს გაშორება უფრო მწარე და საშინელი ეჩვენა, ვირემც პირველი, ტოლომიესისა. კარგა გული ქონდა, მაგრამ საქმეს მაინც გაბედვით შეუდგა. ფანტინას როგორც ნახავთ თამამობა და გამბედაობა არაკლდა. თავის უწინდელი ტანისამოსებისაგან უარი ჰყო, სულ უბრალო კაბა ჩაიცვა და რაც ფარჩა ან ლენტები, ან კრუჟავები

ჰქონდა, სულ ერთიანათ თავის ქალს მოახმარა და მორთო. ეს პატიოსანი, ამაყი თავმამწონობა და ჰქონდა თავის შვილისთვის! დანარჩენი, სულ ერთიანათ რაც კი ებადა, ორას ფრანკად მიჰყიდ-მოჰყიდა. იმ ფულებით ვალები მოიშორა და სახარჯოთ ორმოცი ფრანკი დარჩა. ოცდა ორის წლის ფანტინა, ერთ გაზაფხულის მშვენიერ დღეს, პარიჟიდამ გამოდიოდა და თავს ანებებდა; ხელში თავის ყმაწვილი ეჭირა. ეს დედა და შვილი მაშინ ვისმეს რომ ენახა შეებრალდებოდა. დედას იმ ერთის შვილის მეტი ქვეყანაზედ არავინ არ ეგულებოდა, როგორც იმ ყმაწვილს დედის მეტი, სხვა არავინ. ფანტინა თავის ქალს თითონ აწოებდა ძუძუს, ამაზედ გულის ტკივილი აუტყდა და ცოტათი ახველებდა კიდეც.

უ. ფელიქს ტოლომიესზე ჩვენ აღარ შეგვემთხვევა ლაპარაკი. მარტო ამას ვიტყვით: ოცის წლის შემდეგ, ლუდვიგო-ფილიპეს მეფობის დროს, ტოლომიესი ადვოკატათ (*) იყო, მდიდარი, სახელოვანი, კეთილ-გონიერი და ისევ ნიადაგ კეთილ-ცხოვრების და დროს გატარების მოყვარული.

ფანტინა ქვეითი მიდიოდა; და ხანდის ხან როცა ძალიან დაიღალებოდა ხოლმე, პატარა პარიჟის კარეტებში ადგილს იჭერდა და თითო ლიოზედ აძლევდა სამს ან ოთხს სუს. შუადღე მოახლოვებული იყო როცა მონფერმელეში მივიდა, ბულანჟეს ქუჩაში.

ტენარდების სამზარეულო დუქნისაკენ გაიარა და იმ საშინელ საქანელაზედ მსხდომნი, ის ორი პატარა ლამაზი ქალები დაინახა, იმ ყმაწვილებმა ეს დედა-კაცი მიიზიდეს.

ფანტინამ გულმტკივნეულობით დაუწყო იმათ ცქერა. ადგილი საცა ანგელოზები არიანო, სამოთხის ყოფნას ნიშნავსო. იმას ეგონა, რომ იმ დუქნის თავზე ეს იდუმალი სიტყვები აწერიათ: «განგება და შენი ბედი აქ არისო». ფანტინა იმ პატარებს სიხარულით უყურებდა; ისინი ამას აოცებდნენ და გული იქნობამდის აძრა, რომ იმ დროს, როცა ყმაწვილების დედამ სიმღერის დროს

(*) ადვოკატათ.

შეისვენა, ფანტინას გულმა არ მოუსვენა და იმ პატარა ქალების დედას უთხრა:

—ქალბატონო, რა ლამაზი და მშვენიერი ყმაწვილები გყავსო!

ვინც პირველ უბოროტესს ადამიანს შვილებს უქებს და იმათ უალერსებს იმის გულს ის იმით მოიმხრობს და გაიმეგობრებს.

იმ ყმაწვილების დედამ თავი აიღო მიიხედა, მადლობა გადუხადა იმ სიტყვის თქმისათვის და მიიპატიჟა სკამზე, რომელიც კარებ წინ იდგა, იმ მიზეზით,—რომ თითონ შიგ კარის ღრუბლში იჯდა. ორთავე დედაკაცებმა მუსაიფობა დაიწყეს.

—მე ტენარდიე მქვიან, პატარა ყმაწვილების დედამ უთხრა, ეს დუქანი ჩვენია.

მერე ისევ თავის სიმღერას ჩუმათ მოჰყვა;

Jl le faut, je suis chevalier,
Et je fars pour la Palestine. (*)

ეს ტენარდიეს მეუღლე ქერა დედაკაცი იყო, მაღალ-მაღალი მსუქანი და გონჯი, როგორიც კი შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ,— დედაკაცი სალდათი. და გასაოცარი საქმეა! ერთის შეხედულობით გრძნობელ ადამიანსა ჰგავდა; ეს მგონია, უფრო რომანების კითხვით მოეპოვა. თუმცა კაცის იერი ჰქონდა, მაგრამ პრანჭვა და ბრეცა არ აკლდა. ჯერ ახალ გაზდა იყო, ოცდა ათ წლამდის იქნებოდა მიტანებული. თუ ეს დედა-კაცი არა მჯდარიყო და ფეხზედ მდგარიყო, გასაშტერებელი არ არის, რომ იმის საოცარი ტანის სიმაღლე და სქელი მხრები შეაშინებდა ჩვენ მოგზაურ ფანტინას, ასე, რომ ნდობას დაუკარგავდა და ეს არ მოხდებოდა რაც ეხლა უნდა გიამბოთ.

ფანტინამ თავის თავ გარდასავალი დაწვრილებით უამბო, თუმცა ცოტათი შეცვლილით.

ასე უთხრა: ადრე მკერვალი დედაკაცი ვიყავიო, მერე ვითომც

---

(*) ასე უნდაო, მე რაინდი ვარო
და მივემგზავრები პოლესტინაშიო.

ქმარი მოჰკვდომოდეს; პარიჟში სამუშაოდ ხელსაქმე ვეღარ ვიშოვეო და ამიტომ მუშაობის საშოვნელად მივდივარო ჩემ სამშობლო ქალაქშიო; პარიჟიდამ დღეს ქვეითი გამოვედიო და რადგანაც უმაწვილი ხელში მყავდა და დავიღალე ამ მიზეზით როცა გზაზედ ვილმომბლის კარეტა შემხვდა, შიგ ჩავჯექიო და აქმონფერმელში ვილმომბლიდამ ფეხით მოვედიო; ჩემი უმაწვილი ჯერ ისე პატარაა, რომ ფეხით ბევრი სიარული ვერ შეუძლიანო, ამიტომაც სულ ხელში აყვანილი მომყავდაო და ამ ჩემ ძვირფასს გზაზე დაეძინაო.

ამ თქმის შემდეგ დედამ ისე გულიანათ აკოცა თავის პატარა ქალს რომ იმას გამოეღვიძა. უმაწვილმა დიდრონი და ფირუზი თვალები, როგორიც დედასა ჰქონდა, გაახილა და შეხედა; რას უყურებდა? უმაწვილურის უმანკოებით უყურებდა ყველაფერს და არაფერს. პატარა ქალმა სიცილი დაიწყო და მერე თუმცა დედა თავს არ ანებებდა, ისე გულიანათ გადმოცოცდა დედისაგან, თითქო თამაშობა მოუნდაო; უცებ საქანელაზედ ორი პატარა ქალები დაინახა თუ არა, შედგა და გაოცების ნიშნად ენა გამოუყო.

ტენარდიე მივიდა თავის ქალები საქანელიდამ შეხსნა, ჩამოსვა და უთხრა:

— სამთავე ერთად ითამაშეთო.

ამ ხნოვანობის პატარა უმაწვილები ძალიან მალე დამეგობრდებიან ხოლმე; პატარა ხანს უკან ტენარდიეს ქალები, ახალ ნაცნობ უმაწვილთან ერთად პატარა ორმოებს სთხრიდნენ და ამითი დიდ სიამოვნებაში იყვნენ.

იმათი ახალათ გაცნობილი ქალი მეტად მხიარული რამ იყო; ზოგჯერ დედის გულკეთილობა, უმაწვილს მხიარულობაში ეცნევა. ნიჩბის მაგიერათ პატარა ჩხირი ეჭირა და ხალისიანათ ორმოს სთხრიდა, რაშიაც ბუზი ძლივს დაეტეოდა. როცა საფლავის მთხრელის საქმეს უმაწვილი აკეთებს, სასიამოვნო და საცინელია.

დედები ისევ ლაპარაკში იყვნენ.

— თქვენ ქალ სახელათ რა ჰქვიან? ტენარტიემ ჰკითხა.

— კოზეტტა.

სახელი კოზეტტა და ეფრაზია ორივ ერთია. ფანტინას ყმაწვილს ეფრაზია ერქვა, მაგრამ დედამ ამ სახელიდამ დაარქვა კოზეტტა, ისე როგორც დაბიო ხალხში იციან ხოლმე ჟოზეფის მაგიერად პეპიტას ეძახიან. ჩვენ ერთ ბებიას ვიცნობდით, რომელსაც ფეოდორიდამ გადაკეთებინა სახელი გნონა.

—რავდენი წლისაა?

—სამისა მალე შესრულდება.

—ჩემი უფროსი ქალის ტოლა ყოფილა.

ამდროს სამი პატარა ქალი ერთი ერთმანერთის ახლო იდგნენ შეჯგუფებულნი ძ დედამიწაზე ერთ ალაგას გაოცებულნი და შეშინებულნი დასცქეროდნენ; თურმე ამის მიზეზი ეს იყო, რომ მიწიდამ დიდი ჭია გამომძვრალიყო და იმათ თურმე დაინახეს. ყმაწვილებს თან ეშინოდათ და თან უხაროდათ.

—ეს ყმაწვილები რა მალე მეგობრდებიანო! ტენარდიემ დაიძახა,-ერთი უყურეთ და, ასე გონია, თითქო სამნივე დები იყვნენო.

ეს სიტყვა სწორეთ ნუგეშის ნაპერწკალი იყო, რომელსაც მეორე დედა ელოდა. ფანტინა ტენარდიეს მივარდა, ხელი დაუჭირა, კარგათ დააცქერდა და უთხრა:

—არ შეიძლება ჩემი ქალი თქვენ აიყვანოთ?

ტენარდიე გაოცდა, მაგრამ გაოცებაში არც ფანტინას თხოვნის ასრულება ეცნეოდა, არც უარის თქმა.

კოზეტტას დედამ უთხრა:

—აი რა არი, მე არ მინდა ჩემი ქალი ქალაქში თან წავიყვანო, ხომ იცით, მუშაობაში ეს მე დამიშლის და მე, რომ თან ყმაწვილი მყავდეს, ძნელათ თუ სადმე ადგილი მამცენ. ჩვენ მხარეს საოცარი ხალხია! ამ თქვენ ტრახტირში თვით ღმერთმა მომიყვანა. როცა მე თქვენი ლამაზი და სუფთად ჩაცმული ქალები დავინახე, უნდა იცოდე თუ ჩემს გულში რა მოხდა! მე იმწამსვე ვიფიქრე და ვსთქვი: «ამითი დედა რა კეთილი ადამიანი უნდა იყოს». თქვენ მართალი ბრძანეთ, დიაღ: ესენი სამნი დანი იქნებიან. ესეც

უნდა იცოდეთ, რომ მე ისევ მალე დავბრუნდები. გინდათ აიყვანოთ ჩემი ყმაწვილი?

—მაგაზედ ჯერ უნდა მოვიფიქრო, ტენარდიემ უპასუხა.

—მე თქვენ თვეში ექვს ფრანკს მოგართმევთ. ფანტინამ უთხრა.

ამ სიტყვის თქმაზე სამზარეულოდამ ვიღაცა კაცმა დაიძახა:

—თვეში შვიდ ფრანკზე ნაკლებ არ იქნება და ექვსი თვის ფულიც ამ თავით უნდა დაგვითვალო.

—ექვსჯერ შვიდი ფრანკი,-ორმოცდაორი, ტენარდიეს ცოლმა სთქვა.

—მე შემიძლიან მაგდენი გაძლიოთ. დედამ უთხრა.

—და ამის გარდა პირველათ თხუთმეტი ფრანკი უნდა მოგვცე, იმისთვის, რაც თქვენს ქალს მოუნდება სახარჯოთ; კაცმა დააყოლა შიგნიდამ.

—სულ ერთიანათ შედგება ორმოცდა ჩვიდმეტი ფრანკი, ტენარდიეს ცოლმა სთქვა და ამ ანგარიშის დროს მაინც კიდევ ჩუმათ დამღერა თავისი რომანსი:

Jl le faut disait un guerrier.

—მაგაზედაც თანახმა ვარ კოზეტტას დედამ უთხრა, მე ოთხმოცი ფრანკი მაქვს; ეს ფული გზის სახარჯოთაც მეყოფა მანამ შინ მივიდოდე, მეტადრე, რომ ფეხით ვიარო. ქალაქში მე მუშაობით ფულებს ავიღებ და რაკი ცოტაოდენს მოვაგროვებ, მაშინ ჩემის ძვირფას ქალის წასაყვანათ აქ უკანვე მოვალ. სამზარეულოდამ კაცმა კიდევ ხმა ამოიღო:

—პატარა ყმაწვილს საცვლები და ტანისამოსი აქვს?

—ეგ ჩემი ქმარია, ტენარდიემ ფანტინას უთხრა.

—რაღა თქმა უნდა, აქვს. მე იმწამსვე მივხვდი რომ ეს თქვენი ქმარი უნდა ყოფილიყო. მერე რა ტანისამოსი! ჩემ ქალს ძვირფასი მზითევი აქვს, სუყველა თორმეტ-თორმეტი; იმისთანა ფარჩის კაბებიცა აქვს, როგორც მდიდრის ქალებსა,-სუყველაფერი აი აქ პარკში მაქვს ჩალაგებული.

—ეგ ტანისამოსი ჩვენ უნდა მოგვცეთ. სამზარეულოდამ დაიძახა ტენარდიეს ქმარმა.

—მაშ არ მოგცემთ? რაღა თქმა მინდა? დედამ უპასუხა, ჩემ ქალს შიშველს და უარარაოთ დავანებებ? ისე ღმერთი როგორ გამიწყრება.

ტენარდიეს ქმარმა კარებში თავი გამოყო და უთხრა:

—კარგი.

ვაჭრობა და პირობაები გაათავეს. კოზეტას დედა იმ ღამეს დასაძინებლათ იმათას დარჩა, ექვსი თვის ფული დაუთვალა, მზითევიც ჩააბარა და თავის ქალი იმათსა დაანება; პარკს პირი მოჰკრა, რომელიც იქიდამ ამოღებულ ტანისამოსისაგან კარგა დავიწროვდა და შემსუბუქდა. მეორე დღეს დილით გაემგზავრა თავის სამშობლო ქალაქში, იმ იმედით, რომ ისევ მალე დაბრუნებული-ყო თავის ქალთან. მართალია დედამ მშვიდობიანათ დაანება თავის ქალი, მაგრამ გულში სხვა სიმწუხარე უტრიალებდა! ერთ ტენარდიების ვიღაცა მეზობელს დედაკაცს შეხვედროდა გზაზე ფანტინა, როცა თურმე მიდიოდა, იმ მეზობელმა დედაკაცმა ასე სთქვა:

—მე ეხლა ქუჩაში ერთი დედაკაცი შემომეყარა, ის საცოდავი ისე ტიროდა, რომ იმის ნახვაზედ ქვაც კი ატირდებოდა. მეც გული მამწყდა და დამეწყო, ასე შემებრალდა.

როცა კოზეტას დედა წავიდა, ქმარმა ცოლს უთხრა:

—ამ ფულებით მე ჩემ ასოთხმოცდაათ ფრანკის ვალს გადასწყვეტო, ვექსილს ვადა ხვალ უთავდება. ორმოცდა ათი ფრანკი მაინც მაკლდა და თუ იმ დედაკაცს ეს უმაწვილი ჩვენთვის არ მოებარებინა და ფულები არ მოეცა, იცი? მე სასამართლოში გამაბამდნენ. შენ უმაწვილებისაგან, კარგი თაგვის მახე გამართე.....

—მოულოდინებლათ მოხდა, აბა მე ამას სად მოვიფიქრებდი ცოლმა ასე უპასუხა.—მახით დაჭერილი თაგვი პატარა იყო და გამხდარი, მაგრამ კატისათვის გამხდარი თაგვიც კაი რამ არის და მოხარულია.

ეს ტენარდიები ვინ იყვნენ?

ჯერ ეხლა ერთ ორ სიტყვით აგიწერთ და მერე უფრო კარგათ გაიცნობთ. ეს ადამიანები უკანონო ხალხის ნაწილს ეკუთნოდნენ, რომელიც შედგენილია გაუთლელ და გაუზდელ ადამიანებიდამ, რომელნიც ტოტაოდეთ დიდი სიღაზრიდამ გამოსულან და აწეულან; ამის გარდა, შემდგარია დაცემულ, ჩქვიან და დავარდნილ ადამიანებიდამ; ეს ადამიანები შეადგენენ შუა ნაწილს შუათანა ხალხის და დაბალ ხალხის შუა. იმათში მუდამ ჰპოებთ იმ ნაკლებულებას რაც შუა საზოგადოების ხალხსა აქვს და-დაბალი ხალხის წესსა.

ტენარდიეს ცოლი იყო დასაბამი პირუტყვისა და თითონ ქმარი,-დასაბამი უგვანისა და გლახისა. ყოველსაირ სიავეს მალე მიითვისებდნენ ხოლმე და რაც კი ხელიდამ სიავკაცე გამოუვიდოდათ არა ზოგავდნენ და სჩადიოდნენ.

ტენარდიე, თუ ამის ნათქვამს სიტყვებ დაუჯეროთ, ადრე სალდათათ ყოფილა და მერე სერჟანტობა მიუღია, მგონია ომიანობაში 1815-ში, და როგორც თითონ ამბობდა, ვითომც ძალიან ვაჟკაცი ყოფილიყოს. დუქნის თავზედ დახატული ფიცარი, ერთ ომში ამის გამარჯვებას აწვავებდა. ის სურათი თავის ხელით დახატა; ყველაფერის გაკეთება ტოტაოდე იცოდა, რასაკვირველია ცუდათ.

ამის ცოლი იმოდნათ განათლებული იყო, რომ იმ დროში, ძველი კლასიკური რომანების კითხვა შეეძლო და ასე გაშინჯეთ, მთელი ჯკუა, რაც კი იმის თავში იპოვებოდა, რომანებში ჰქონდა დაბნეული და შთანთქმული, ისე როგორც რომანებს თითონა სთლქამდა.

## II.

## ტოროლა.

კეთილ-მდგომარეობისათვის, მარტო ცარიელი სიავკაცობა ჯერ კიდევ არ არის საკმაო ადამიანისათვის. ტენარდიების ვაჭრობა მაინც ცუდათ მიდიოდა.

ფინტინას მიცემულ ორმოცდა ჩვიდმეტი ფრანკით ტენარდიეს ქმარმა გადიხადა თავისი ვალი, დროზე მისცა და ხალხში თავი არ შეირცხვინა. მეორე თვეში კიდევ დასჭირდათ ფულები. ტენარდიეს ცოლმა კოზეტტას ტანისამოსი და იმის დედისაგან გამოტანებული მთელი მზითევი წაიღო პარიჟში — და დააგირავა სამოც ფრანკად. როცა ეს ფულებიც დახარჯეს, ცოლ-ქმარი ფანტინას ქალს იმ თვალით უყურებდა თითქო სამადლოთ და შებრალებით ჭყოლოდეთ აყვანილიო და ამის დაგვარათაც ექცეოდნენ. რადგანაც ტანისამოსი აღარა ჰქონდა დ დაგირავებული იყო, კოზეტტას თავიანთ პატარა ქალების ძველ-ძულ იუპკებს და პერანგებს აცვამდნენ, ე. ი. ფრატებს. თავიანთ ძაღლზე ცოტათი უკეთესად აჭმევდნენ დ კატაზედ უარესად,-საჭმელად იმას მიუგდებდნენ ხოლმე, რაც სადილს შემდეგ თვითონ მორჩებოდათ; ძაღლი და კატა კოზეტტას სამუდამო ამხანაგები იყვნენ სადილზე. ფანტინას ქალი სტოლ ქვეშ იმათთან ერთ კერძიდანა სჭამდა, იმ ხის ჯამიდამ, რაშიაც ძაღლსა და კატას აძლევდნენ.

კოზეტტას დედა თავის ქალის ამბის შესატყობლად ტენარდიებთან, სხვის ხელით, მუდამ წიგნს იწერებოდა. ცოლ-ქმარი სულ ერთ ნაირ პასუხსა სწერდნენ: «კოზეტტა ძალიან კარგათ არის დ ბედნიერიაო».

ექვსმა თვემ ასე გაიარა; მეშვიდე თვეზე დედამ შვიდი ფრანკი გამოუგზავნა, და მერე მუდამ თვე რიგზე უგზავნიდა ფულებს. ჯერ წელიწადს არ გაევლო, რომ ტენარდიეს ქმარმა სთქვა:

— ასე ჰგონია სამადლოთ გზავნიდესო! რა მადლსა სჩადის! მოწყალებაა? შვიდი ფრანკი რა ფულია, ან რა უნდა გაგვიხდეს? მისწერა და ფანტინასაგან მოითხოვა თვეში თორმეტი ფრანკი. დედა, რომელსაც არწმუნებდნენ: კოზეტტა ბედნიერებაშია და კარგათ არისო, თანახმა გახდა და თორმეტი ფრანკი გაუგზავნა.

ზოგიერთ ადამიანებს, რამოდენაც სიყვარული აქვსთ, იმოდენაც სიძულვარე სჭირთ. ტენარდიეს ცოლს მეტათ გაგიჟებით უყვარდა თავისი ქალები და ეს სხვათა ქალი კი სძულდა. მართალია, კოზეტტაზე საიმისო ბევრი არა ეხარჯებოდათ რა, მაგრამ ტენარდიებს ისრე ჰგონათ, რომ იმისი იქ ყოფნით თავის

ქალებს რამ აკლდებოდა და სხვათა ყმაწვილი თავის სუნთქვით იმათ შვილებს თითქო ჭკერს ართმევდაო, უკლებდაო და იმისგნით იმათი შვილები ვითომც ნაკლებულებაში იყვნენო.

ამ დედაკაცმა, როგორც ბევრმა იცის, მუდამ დღე თავის დროზე, საკმაოდ ალერსი იცოდა, და საკმაოდ ცემა, ტუქვა და წყევლა. თუ კოზეტტა არა ჭყოლოდა, უთუოთ თავის ქალებს მიადგებოდა, თუმცა ძალიან უყვარდა, იმათზედა დახარჯავდა ალერსსაც და სიჯავრესაც; კოზეტტამ ტენარდიეს ქალები დაიხსნა,-ასე, რომ ვინც რასმეს დააშავებდა, იმათი დედა იმ საწყალს გადაახდევინებდა ხოლმე, მისტყეპდა და ალერსი კი თავის ორ ქალისთვის რჩებოდა. საწყალი კოზეტტა ისე არ განძრეულიყო, რომ ცემა და ტყეპა არ მიეყენებინათ. მშვიდობიანს და უღონოს, რასაკვირველია, არაფერი არ გაეგებოდა, არც ამ ქვეყნისა და არც ღუთისა; კოზეტტა, რომელსაც მუდამ სწყევლიდნენ, ლანძღავდნენ, სჯიდნენ, სტყეპდნენ, თავისთან ახლო ორ პატარა გაჩენილ სულდგმულებს ჰხედავდა თავის მზგავსებს, რომელნიც იმაზე ამხიარულათ და კარგად სცხოვრობდნენ. დედ-მამის მიხედვით, ქალები: ეპონინა და აზელმა ავათ და ურიგოთ ექცეოდნენ იმ საცოდავს.

ერთმა წელიწადმა გაიარა, მერე მეორემ.

სოფელში ზოგნი ერთნი ასე ამბობდნენ:

—ეს ტენარდიები რა კეთილი ადამიანები არიანო, თითონ შეძლება არა აქვსთო და სხვის მიბარებულ საწყლის შვილს ზრდიანო!

ყველას ასე ეგონა, რომ დედამ ის ყმაწვილი დაივიწყა და იმისგნით ხელი აიღოვო.

ამასობაში, ტენარდიეს ქმარმა, ღმერთმა უწყის, როგორ შეიტყო ან გაიგო, რომ კოზეტტა უკანონო შვილია, და იმის დედას თავის ქალის გამოაშკარება ერიდება და ვერც შეუძლიან; ამის გამო ფანტინასაგან შვილის შესანახავათ თვეში თხუთმეტი ფრანკი მოითხოვა; ასე მისწერა: «ყმაწვილი იზდება და მომტებითა სჭამსო», თან დაემუქარა: თუ არ გამოგზავნე რასაც მე ვთხოვულობო, შენ შვილს უთუოდ გამოვისტუმრებო. «თუ ჭკუა აქვს ნუ გა-

მაჯავრებსო!—ტენარდიე იძახდა:—თორე იმის ქალს გავაგდეფო და აბა მაშინ წავიდეს და როგორც უნდა დამალოსო! მე ფასი მომიმატოსო!» კოზეტტას დედამ ხუთმეტი ფრანკი გაუგზავნა ტენარდიებს.

ყმაწვილი თან და თან იზდებოდა, ტანჯვა და მწუხარებაც რიგზე ემატებოდა,

მანამ კოზეტტა ძალიან პატარა იყო, პატარა ქალების მაგიერად იტანჯებოდა, რაკი ცოტათი მოიზარდა, ისე რომ ჯერ მეხუთე წელიწადში იდგა, სახლის მოახლე შეიქნა.

თქვენ იქნება არ დაიჯეროთ, გაოცდეთ და სთქვათ: ხუთის წლისა? დიახ ხუთისა, ეს მართალია!

კოზეტტას მუდამ ასაქმებდნენ: აქა იქ გზავნიდნენ, ოთახებს აგვევინებდნენ, ეზოს, ქუჩას, ჭურჭელს არეცხინებდნენ, ერთის სიტყვით რაშიაც კი გამოიყენებდნენ იმ უსუსურს არა ჰზოგავდნენ. ტენარდიები იმ მიზეზით და უფლებით უფრო ასე ექცეოდნენ, რომ ყმაწვილის დედა, რომელიც ჯერ კიდევ ქალაქ მ-ში სცხოვრებდა, ამათ ისე რიგზე აღარ უგზავნიდა ფულებს და რავდენიმე თვის ფული ჯერ არ მიეცა და ვალათ ედვა.

თუ ფანტინა სამის წლის შემდეგ დაბრუნებულიყო მონფერმელში, თავის ქალს სრულებით ველარ იცნობდა. ხომ ისე ლამაზი და მშვენიერი იყო, როცა დედამ ტენარდიებს მიაბარა, ეხლა კი გაყვითლებული და გამხდარი იყო. სახეზედ მოუსვენრობა ეტყობოდა. «აი შე თვალთ მაქცო, ფარისეველო!» როცა იმას ამ გვარ სახით ტენარდიები ჰხედავდნენ, ეუბნებოდნენ ხოლმე.

უსამართლო ქცევით კოზეტტას მოჩხუბარი ხასიათი დასჩემდა და სისაწყლემ გახადა საძაგელი და გონჯი. მარტო თვალებიღა ჰქონდა მშვენიერი, რომლის ნახვაზედაც კაცს გული ასტკივდებოდა. მეტადრე რომ დიდრონი ჰქონდა და თითქო ბევრი წილი ვაება იმ თვალებში უჩანდა. გულის დასადაგავი სანახავი იყო ის პატარა საცოდავი ყმაწვილი, რომელიც ჯერ ექვსი წლისა არ იყო, როცა ზამთარში დაგლეჯილ-დაფლეთილ ძონძებში, ფეხშიშველს აკანკალებდა და თან დალურჯებულ და გაწითლებულ პატარა თითებით ვეება ცოცხი ეჭირა და

სამზარეულოს წინ ქუჩასა ჰგვიდა, თვალებიც ცრემლით ამსებული.

სოფელში ამას ტოროლას ეძახოდნენ. ხალხმა ეს სახელი იმიტომ უფრო დაარქვა, რომ ძალიან პატარა იყო, თითქმის ჩიტზე ცოტათი სქელი; გაუისებული და დაშინებული მუდამ დილით ყველაზე ადრე დგებოდა იმ სოფელში და მუდამ დილით ან ქუჩაში უნდა ენახათ, ან გაუთენებლივ მინდორში.

მაგრამ საწყალი ტოროლა არას დროს არა მღეროდა.

## III.

### შავ შუშეულის ნივთების ქარხანის უკეთეს მოყვანაზე.

ფანტინა რა იქნა, ან რას ჩადიოდა?

თავის პატარა კოზეტტა რომ ტენარდიეს მიაბარა, ქვეითი გასწია და მივიდა ქალაქ მ-ში.

თუ არ დაგვიწყებიათ ეს იყო წ. 1818-ში.

ფანტინას თავისი სამშობლო ქალაქი ათი წელიწადი არ ენახა, რომელიც იმ ხანში შეცვლილიყო. მაშინ, როცა ფანტინა თანდათან სიღარიბეში შედიოდა, იმის სამშობლო ქალაქი უფრო და უფრო მდიდრდებოდა და კეთდებოდა; მეტადრე უკანასკნელ ორ წელიწადში პირველი სავაჭრო ქალაქი გახდა. ამ გვარათ:

ქალაქ მ-ში. ჯერ ძველ დროშივე ყოფილა შავი შუშის ქარხანები საცა სხვა და სხვა ნივთებს აკეთებდნენ; მაგრამ, რადგანაც შუშის გასაკეთებელი მასალები ძვირი იყო, ამ მიზეზითაც იმ ქარხანებს კარგი ალებ მიცემობა არა ჰქონდათ და არც შავი შუშის ნივთების გასავალი იყო; გაკეთება რომ იეფათ არ უჯდათ, ნივთებიც ძვირად უნდა გაეყიდნათ. როცა ფანტინა დაბრუნდა ამ ქალაქში, შავი შუშეულის ვაჭრობა სულ შეცვლილიყო. 1815 წლის ბოლოს, ერთი ვიღაცა უცხო ქვეყნის კაცი დაბინავებულიყო ქალაქ მ-ში, და შავი შუშის გასაკეთებლათ ახალათ მოეგონა იეფი ფასის მასალეები, რომ ამ ხელოვნობის ნივთებს ფასი დააკლდა, ბევრი იყიდებოდა და ამის გამო ქარხანებში მუშაც ბევრი სჭირდებოდა; დღიურ ხელოსნებს ფასი ემატებოდათ და ნივთებიც უფრო და უფრო კარგები გამოდიოდა. ერთის სიტყვით იმ კაცის მოგონებამ ძალიან დიდი სიკეთე ჰქნა და ხალხის მდგომარეობა შესცვალა.

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე ჲ თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ **112** გვ.—**160** გვერდამდე, თუ შეგვეძლება მაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. სავარსამიძის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსულ ადრესით გამოგზავნონ:

***Въ редакцію грузинскаго журнала „Грузинскій Вѣстникъ."***